



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

კატანი და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ

**CASE OF CATAN AND OTHERS v. MOLDOVA AND RUSSIA**

*(საჩივრები № 43370/04, 8252/05 და 18454/06)*

გადაწყვეტილება  
(ამონარიდები)

სტრასბურგი  
19 ოქტომბერი 2012

*ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და შეიძლება დაექვემდებაროს  
მხოლოდ რედაქციულ გადასინჯვას*

**საქმეში კატანი და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ:

ნიკოლას ბრატცა, *პრეზიდენტი*,

ფრანსუაზა ტიულკენსი,

ჯოზეფ კასადევალი,

ნინა ვაიჩი,

დინ შპილმანი,

ლეს გარლიცკი,

კარელ იუნგვერტი,

ანატოლი კოვლერი,

ეგბერტ მეიერი,

დავიდ თორ ბიორგვინსონი,

იან სიკუტა,

მარკ ვილიგერი,

იზაბელ ბერო-ლეფვერი,

მირიანა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,

ლედი ბიანკუ,

მიჰაი პოალელუნგი

ჰელენ კელერი, *მოსამართლეები*

და მაიკლ ო'ზოილი, *გამწესრიგებელი*,

2012 წლის 25 იანვარსა და 5 სექტემბერს გამართული საიდუმლო თათბირის შედეგად,

აცხადებს შემდეგ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ბოლოს მოხსენიებულ დღეს:

**პროცედურა**

1. საქმეს საფუძვლად დაედო სამი საჩივარი (№ 43370/04, 8252/05 და 18454/06) მოლდოვას რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი იქნა არაერთი მოლდოველი მოქალაქის („მოსარჩელები“) მიერ 2004 წლის 25 ოქტომბერს.

2. მოსარჩელები, რომელთაგან ერთ-ერთს მიენიჭა სამართლებრივი დახმარება, წარმოდგენილი იქნენ ადვოკატების ბ-ნი ალექსანდრუ პოსტიკასა და ბ-ნი იან მანოლეს მიერ, რომლებიც საქმიანობენ კიშინიოვში, და აგრეთვე, ბ-ნი პადრაიგ ჰუიჯისა და ქ-ნი ჰელენ დაფის მიერ, რომლებიც არიან ლონდონში დაფუძნებული ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის “Interights“-ის ადვოკატები. მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობა წარმოდგენილი იქნა მისი აგენტების, ბ-ნი ვლადიმირ გროსუსა და ბ-ნი ლილიან აპოსტოლის მიერ, ხოლო რუსეთის ფედერაციის მთავრობა კი - ადამიანის უფლებათა ევროპულ

სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის ბ-ნი გიორგი მათიუშკინის მიერ.

3. მოსარჩელები, მოლდოველები, რომლებიც ცხოვრობდნენ დნესტრისპირეთში და საჩივრების შეტანის დროს იყვნენ სამი მოლდოვურ-ენოვანი სკოლის მოსწავლეები, და მათი მშობლები (იხ. დანართი), ასაჩივრებენ - როგორც 1-ლი ოქმის მე-2 მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე ცალკე აღებული, ისე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში - ამ სკოლების დახურვასა და მათ შევიწროებას დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან.

4. საჩივრები გადაეცა სასამართლოს მეოთხე სექციას (რეგლამენტის 52-ე (§1) მუხლი). 2010 წლის 15 ივნისს, მისაღებობისა და არსებით საკითხებზე საქმის მოსმენის შემდეგ (რეგლამენტის 54-ე (§3) მუხლი), ისინი გაერთიანებულ იქნა და გამოცხადდა ნაწილობრივ მისაღებად ამ სექციის პალატის მიერ, რომელიც შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან: ნ. ბრატცა, ლ. გარლიცკი, ა. კოვლერი, ლ. მიიოვიჩი, დ. ბიორგვინსონი, ი. სიკუტა, მ. პოალელუნგი, და ასევე ტ.ლ. ერლი, სექციის გამწესრიგებელი. 2010 წლის 14 დეკემბერს პალატამ იურისდიქცია დაუთმო დიდ პალატას, რაც არცერთ მხარეს არ გაუპროტესტებია (კონვენციის 30-ე მუხლი და რეგლამენტის 72-ე მუხლი).

5. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებისა და რეგლამენტის 24-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

6. მოსარჩელებმა და თითოეულმა მოპასუხე მთავრობამ წარმოადგინეს შემდგომი წერილობითი განმარტებები არსებით საკითხებზე (რეგლამენტის 59-ე (§1) მუხლი).

7. საქმის საჯარო მოსმენა გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 25 იანვარს (რეგლამენტის 59-ე (§3) მუხლი).

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

(a) *მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან:*

ბ-ნი ვ. გროსუ, აგენტი  
ბ-ნი ლ. აპოსტოლი, მრჩეველი

(b) *რუსეთის ფედერაციის მთავრობის მხრიდან:*

ბ-ნი გ. მათიუშკინი, აგენტი  
ქ-ნი ო. სიპოტკინა,

ქ-ნი ი. კორიევა,

ქ-ნი ა. ძუცევა,

ბ-ნი ნ. ფომინი,

ქ-ნი მ. მოლოდცოვა,

ქ-ნი ვ. უტკინა,

ბ-ნი ა. მახნევი, *მრჩეველები,*

(c) *მოსარჩელეთა მხრიდან:*

ბ-ნი პ. ჰიუჯი, *დამცველი,*

ქ-ნი ჰ. დაფი

ბ-ნი ა. პოსტიკა,

ბ-ნი ი. მანოლე,

ბ-ნი პ. პოსტიკა, *მრჩეველები.*

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ჰიუჯის, ბ-ნი ა. პოსტიკას, ბ-ნი გროსუსა და ბ-ნი მათიუშკინის მიმართვები.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

#### A. ისტორიული ფონი

8. ქვეყანა, რომელიც შემდგომში გახდა მოლდოვას რესპუბლიკა, 1040 წლის 2 აგვისტოს შეიქმნა როგორც მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ბესარაბიის ნაწილისა და დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მიწის ზოლისაგან (იხ. *Tănașe მოლდოვას წინააღმდეგ* [GC], № 7/08, §§ 11-17, ECHR 2010-...). ეს მარჯვენა რეგიონი, რომელიც ცნობილია დნესტრისპირეთის სახელწოდებით, 1924 წლიდან მოყოლებული, სხვა ტერიტორიებთან ერთად, რომელიც ამჟამად უკრაინის ნაწილია, იყო მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი. დნესტრისპირეთის მოსახლეობა, ძირითადად შედგებოდა ეთნიკური უკრაინელებისა და მოლდოველებისაგან/რუმინელებისაგან, მაგრამ 1920-იანი წლების შემდგომ მან განიცადა ინდუსტრიის სფეროში დასაქმებული მუშების -

განსაკუთრებით კი რუსებისა და უკრაინელების - სერიოზული მიგრაცია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. საბჭოთა კავშირის მიერ 1989 წელს განხორციელებული აღწერის მიხედვით, დნესტრისპირეთის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 679,000-ს; ეთნიკურად და ლინგვისტურად მის 40 %-ს შეადგენდნენ მოლდოველები, 28%-ს - უკრაინელები, 24%-ს - რუსები, ხოლო 8%-ს - სხვები.

9. მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით აქ არსებობდა ორი ოფიციალური ენა: რუსული და „მოლდოვური“ (მოლდოვური/რუმინული ენა წერისას კირილიცას ალფაბეტის გამოყენებით).

10. 1989 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, მოლდავეთში აღდგენილ იქნა ლათინური ალფაბეტი მოლდოვური/რუმინული ენის დამწერლობისათვის, რომელიც გახდა პირველი ოფიციალური ენა სახელმწიფოში.

11. 1990 წლის 23 ივნისს მოლდავეთმა გამოცხადა სუვერენიტეტი. 1991 წლის 23 მაისს მან შეიცვალა სახელი და გახდა მოლდოვას რესპუბლიკა. 1991 წლის 27 აგვისტოს მოლდოვას პარლამენტმა მიიღო მოლდოვას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის ტერიტორია მოიცავდა დნესტრისპირეთსაც.

## **B. დნესტრისპირეთის კონფლიქტი**

12. ფაქტები, რომლებიც შეეხება 1991-92 წლების შეიარაღებულ კონფლიქტსა და 2003 წლამდე პერიოდს, დაწვრილებით არის გადმოცემული საქმეში *Ilaşcu და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ* ([GC], № 48787/99, §§ 28-183, ECHR 2004-VII) და აქ მხოლოდ ძირითადი მოვლენების შეჯამებაა გადმოცემული შესაბამისი მითითებებისათვის. სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის მიერ თავის მოსაზრებებში გადმოცემული განმარტების მიხედვით, ხსენებულ შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტები არ იყო შესაბამისი იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც წინამდებარე საქმეში იყო წამოჭრილი.

13. 1989 წლის შემდგომ, დნესტრისპირეთში ჩამოყალიბდა მოძრაობა მოლდოვას დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. 1990 წლის 2 სექტემბერს დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა გამოაცხადეს დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკის“ (“MRT”) შექმნა. 1991 წლის 25 აგვისტოს „MRT“-ს უზენაესმა სასამართლომ“ მიიღო “MRT“-ს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. 1991 წლის 1 დეკემბერს დნესტრისპირეთის პროვინციებში ორგანიზებული იქნა „საპრეზიდენტო არჩევნები“ და ბ-ნი იგორ სმირნოვის მტკიცებით, იგი არჩეულ იქნა MRT-ს პრეზიდენტად“. ეს არჩევნები მოლდოვას ხელისუფლებამ უკანონოდ ცნო. MRT არ იქნა აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

14. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დროისათვის, მოლდოვას არ გააჩნდა საკუთარი არმია. სსრკ-ს მე-14 არმია, რომლის მთავარსარდლობის შტაბი 1956 წლიდან კიშინიოვში იყო დაფუძნებული, რჩებოდა მოლდოვას ტერიტორიაზე, თუმცა, 1990 წლიდან დაიწყო იქიდან სამხედრო აღჭურვილობისა და პერსონალის გაყვანა. 1991 წელს მე-14 არმია მოლდოვაში მოიცავდა ათასობით ჯარისკაცს, ქვეით შენაერთებს, არტილერიას (სახელდობრ, ანტი-საჰაერო რეაქტიულ სისტემას), ჯავშნიან ტრანსპორტსა და ავიაციას (მათ შორის თვითმფრინავებსა და ბომბდამშენ შვეულმფრენებს). მას გააჩნდა უამრავი საბრძოლო მასალა, მათ შორის, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ოდენობით სწორედ კოლბასნასა და დნესტრისპირეთში.

15. 1991 წლის 14 ნოემბრის № 234 დეკრეტით, მოლდოვას პრეზიდენტმა საბრძოლო იარაღი, სამხედრო ტრანსპორტი, სამხედრო ბაზები და სხვა ქონება, რომელიც მოლდოვას ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების სამხედრო დანაყოფებს ეკუთვნოდა, გამოაცხადა მოლდოვას რესპუბლიკის საკუთრებად. ეს დეკრეტი დნესტრისპირეთში არ ამოქმედებულა.

16. 1991 წლის 5 დეკემბრის დეკრეტით, ბ-ნმა სმირნოვმა გადაწყვიტა დნესტრისპირეთში განლაგებული მე-14 არმიის სამხედრო შენაერთები გადაეცა „დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების დეპარტამენტის“ განკარგულებაში. ბ-ნმა სმირნოვმა მე-14 არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი დანიშნა „TRM“-ს „ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების დეპარტამენტის“ თავმჯდომარედ. 1991 წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტი იაკოვლევი დაპატიმრებულ იქნა მოლდოვას ხელისუფლების მიერ, რომელმაც ბრალი დასდო მას დნესტრისპირელი სეპარატისტებისათვის დახმარების გაწევაში შეიარაღებულიყვნენ მე-14 არმიის იარაღის მარაგის გამოყენებით. თუმცა, შემდეგ ის გათავისუფლებულ იქნა რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობით.

17. 1991 წლის ბოლოსა და 1992 წლის დასაწყისში მოხდა შეტაკება დნესტრისპირეთის სეპარატისტულ ძალებსა და მოლდოვას უშიშროების ძალებს შორის, რასაც რამდენიმე ასეული ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

18. 1991 წლის 6 დეკემბერს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე მოლდოვას მთავრობამ გააპროტესტა 1991 წლის 3 დეკემბერს მე-14 არმიის მიერ გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვის მეთაურობით დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მოლდოვური ქალაქების გრიგორიოპოლის, დუბასარის, სლობოზიას, ტირასპოლისა და რიბნიცას ოკუპაცია. მათ ბრალი დასდეს სსრკ-ს ხელისუფლებას, კერძოდ, თავდაცვის მინისტრს ამ მოქმედებების წახალისებისათვის. მე-14 არმიის ჯარისკაცები დადანაშაულებული იქნენ სეპარატისტებისათვის სამხედრო აღჭურვილობის

გადაცემისა და სეპარატისტების ორგანიზაციისათვის იმ სამხედრო დანაყოფებში, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობას ატერორებდნენ.

19. 1991-92 წლებში მე-14 არმიის არაერთი სამხედრო დანაყოფი შეუერთდა დნესტრისპირელ სეპარატისტებს. *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაში სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ დნესტრისპირელ სეპარატისტებს, მე-14 არმიის პერსონალის დახმარებით შეეძლოთ შეიარაღებულიყვნენ მე-14 არმიის იმ საწყობებიდან იარაღის ამოღების მეშვეობით, რომლებიც დნესტრისპირეთში იყო განლაგებული. დამატებით, მრავალი რუსი მოქალაქე შემოვიდა დნესტრისპირეთში ამ რეგიონის ფარგლებს გარედან, კერძოდ კაზაკები, სეპარატისტებთან ერთად საბრძოლველად მოლდოვას სამხედრო ძალების წინააღმდეგ. მე-14 არმიის საჯარისო შენაერთების მიერ სეპარატისტებისათვის განხორციელებული მხარდაჭერისა და მათთვის მე-14 არმიის საწყობებიდან იარაღისა და საბრძოლო მასალის მასობრივი გადაცემის შედეგად მოლდოვას შეიარაღებული ძალები აღმოჩნდა უფრო სუსტ მდგომარეობაში, რამაც ალუკვეთა მას შესაძლებლობა, კონტროლი აღედგინა დნესტრისპირეთში. 1992 წლის 1 აპრილს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ბ. ელცინმა ოფიციალურად გადასცა მე-14 არმია რუსეთის განკარგულებაში, და ამის შემდეგ ის გახდა „რუსეთის ოპერატიული ჯგუფი მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონში“ („ROG“). 1992 წლის 2 აპრილს გენერალმა ნეტკაჩოვმა, ROG-ის ახალმა სარდალმა, უბრძანა მოლდოვას სამხედრო ძალებს, რომლებმაც ალყა შემოარტყეს სეპარატისტების მიერ დაკავებულ ქალაქ ტიგინას, დაუყოვნებლივ მოეხსნათ ალყა, რომლის შეუსრულებლობასაც რუსეთის საპასუხო მოქმედებები მოჰყვებოდა. მაისში ROG-მა განახორციელა შეტევა მოლდოვას სამხედრო ძალების წინააღმდეგ და განდევნა ისინი დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რამდენიმე სოფლიდან. ივნისში ROG ოფიციალურად შეიჭრა სეპარატისტების დასახმარებლად ქ. ტიგინაში, რომლებიც სეპარატისტებს დაკარგული ჰქონდათ და მოლდოვას სამხედრო ძალები მთლიანად განდევნა იქიდან.

### **C. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, 1997 წლის მემორანდუმი და სტამბულის ვალდებულებები**

20. 1992 წლის 21 ივლისს მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბ-ნმა მირცეა სნეგურმა, და ბ-ნმა ელცინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპების თაობაზე („ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება“).

21. ხელშეკრულება გულისხმობდა უსაფრთხოების ზონის შექმნას ამ ზონიდან „კონფლიქტის მხარეების“ სამხედრო ძალების გაყვანით (მუხლი 1§2). ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, დაფუძნდა „ერთობლივი კონტროლის კომისია“ („JCC“), რომელიც შედგებოდა მოლდოვას, რუსეთის ფედერაციისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლებისაგან და რომლის

შტაბიც იყო ტიგინაში. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა სამშვიდობო ძალების შეყვანას, რომელსაც ევალეზოდა ცეცხლის შეწყვეტაზე ზედამხედველობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგი შედგებოდა ხუთი რუსული ბატალიონის, სამი მოლდოვური ბატალიონისა და ორი დნესტრისპირეთის ბატალიონისაგან; იგი ექვემდებარებოდა საერთო სამხედრო სარდლობის სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ ექვემდებარებოდა JCC-ს. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, ქალაქი ტიგინა გამოცხადდა უსაფრთხოების რეჟიმისათვის დაქვემდებარებულ რეგიონად და მისი ადმინისტრაცია გადაეცა „თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმოქმედებდა კონტროლის კომისიასთან ერთად“. JCC-ს დაევალა ტიგინაში წესრიგის შენარჩუნება პოლიციასთან ერთად. მე-4 მუხლის მიხედვით, მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ რუსულ სამხედრო ძალებს ევალეზოდან მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვა. მე-5 მუხლი კრძალავდა ყოველგვარ ხელის შეშლასა და ბლოკირებას და მიზნად ისახავდა ყოველგვარი დაბრკოლებების აღმოფხვრას საქონლის, მომსახურებისა თუ ადამიანების თავისუფალი მოძრაობისათვის. ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ეს ღონისძიებები განისაზღვრა როგორც „კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგების თაობაზე შეთანხმების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი“. (მუხლი 7).

22. 1994 წლის 29 ივლისს მოლდოვამ მიიღო ახალი კონსტიტუცია. ის ითვალისწინებდა, მათ შორის, მოლდოვას ნეიტრალიტეტს, რაც გულისხმობდა მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების განთავსების აკრძალვას და აგრეთვე იმას, რომ ავტონომიის ფორმა შეიძლებოდა გადასცემოდა რეგიონს, რომელიც მოიცავდა დნესტრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ ზოგიერთ ტერიტორიას. კონსტიტუციის მე-13 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ენას წარმოადგენდა მოლდოვური, წერისას ლათინური ალფაბეტის გამოყენებით.

23. 1995 წლის შემდეგ მოლდოვას ხელისუფლებამ არაერთხელ გააპროტესტა ის გარემოება, რომ ROG-ის საჯარისო პერსონალი და JCC-ს სამშვიდობო ჯარების რუსეთის კონტიგენტი არღვევდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ ნეიტრალიტეტის პრინციპს და რომ დნესტრისპირელებს კვლავ შეეძლოთ მოეპოვებინათ დამატებითი სამხედრო აღჭურვილობა და ROG აგრძელებდა მათ დახმარებას. გარდა ამისა, JCC-ში მოლდოვას დელეგაცია ირწმუნებოდა, რომ დნესტრისპირელებმა შექმნეს ახალი სამხედრო საგუშაგოები და საბაჟო კონტროლის პუნქტები უსაფრთხოების ზონაში, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევით. *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაში სასამართლომ JCC-ს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული მტკიცებულებების მიხედვით დადგენილად მიიჩნია, რომ დნესტრისპირეთის სხვადასხვა ადგილებში, რომლებიც რუსეთის სამშვიდობო ჯარების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, დნესტრისპირელი სეპარატისტული ძალები არღვევდნენ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას.



24. 1997 წლის 8 მაისს, მოსკოვში, ბ-ნმა პეტრუ ლუკინსჩიმ, მოლდოვას პრეზიდენტმა, და ბ-ნმა სმირნოვმა, „MRT-ს პრეზიდენტმა“, ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ადგენდა მოლდოვას რესპუბლიკასა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის საფუძვლებს („1997 წლის მემორანდუმი“). 1997 წლის მემორანდუმის პირობების მიხედვით, დნესტრისპირეთის შესახებ გადაწყვეტილებზე თანხმობა უნდა გამოეთქვა ორივე მხარეს, უნდა მომხდარიყო ძალაუფლების განაწილება და დელეგირება; გარანტიების დაცვაზე ორივე მხარეს ეკისრებოდა თანაზიარი პასუხისმგებლობა. დნესტრისპირელებს ნება ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა მის ინტერესებს, რაც უნდა განსაზღვრულიყო ორმხრივი შეთანხმებით. დნესტრისპირელებს ეძლეოდათ უფლება, ცალმხრივად დაემყარებინათ და შეენარჩუნებინათ საერთაშორისო კონტაქტები ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. მხარეები იღებდნენ მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის მოგვარების ვალდებულებას, აუცილებლობის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის დახმარებით, რომლებიც წარმოადგენდნენ მიღწეული შეთანხმების დაცვის გარანტორებს, და ასევე, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) დახმარებით. 1997 წლის მემორანდუმი დამოწმებული იქნა გარანტორი სახელმწიფოების წარმომადგენლების, კერძოდ, ბ-ნი ელცინის მიერ რუსეთის ფედერაციის მხრიდან და ბ-ნი ლეონიდ კუჩმას მიერ უკრაინის მხრიდან, ასევე OSCE-ს პრეზიდენტის ბ-ნი ჰელვეგ პეტერსენის მიერ.

25. 1999 წლის ნოემბერში, OSCE-ს ჩაატარა თავისი მეექვსე სამიტი სტამბულში. სამიტის დროს 54-მა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპის უსაფრთხოების ქარტიასა და სტამბულის სამიტის დეკლარაციას; 30-მა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის, მოლდოვამ და რუსეთმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპაში პირობადებული შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ადაპტაციის თაობაზე (ადაპტირებული CFE ხელშეკრულება). ადაპტირებულმა CFE ხელშეკრულებამ დაადგინა მათ შორის პრინციპი, რომ უცხოეთის ჯარი ვერ განლაგდებოდა მოლდოვას ტერიტორიაზე მოლდოვას თანხმობის გარეშე. რუსეთის თანხმობა, გამოსულიყო დნესტრისპირეთიდან („სტამბულის ვალდებულებათაგან“ ერთ-ერთი) აღინიშნა CFE-ს საფინანსო აქტის დანართში. გარდა ამისა, სტამბულის სამიტის დეკლარაციის მე-19 პარაგრაფში, ასევე აღინიშნა რუსეთის ფედერაციის ვალდებულება, 2002 წლის ბოლომდე გამოეყვანა თავისი ძალები დნესტრისპირეთიდან:

“19. ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებისა და ოსლოს მინისტრების შეხვედრის გადაწყვეტილებების შეხსენებით, ჩვენ კვლავ გაგვაჩნია მოლდოვადან რუსეთის ძალების სათანადო და სრული გამოყვანის მოლოდინი. ამ კონტექსტში ჩვენ მივესალმებით იმ პროგრესს, რომელიც ბოლო ხანებში არის მიღწეული მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონში რუსეთის

სამხედრო აღჭურვილობის მარაგის გამოტანისა და განადგურების, ასევე არატრანსპორტირებადი საბრძოლო მასალის განადგურების დასრულების საქმეში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთის ფედერაციის მიერ მოლდოვას ტერიტორიიდან 2002 წლის ბოლომდე თავის ძალების გამოყვანის დასრულების ვალდებულებას. ჩვენ ასევე მივყავართ მოლდოვას რესპუბლიკისა და OSCE-ის სურვილს, ხელი შეუწყონ ამ პროცესს თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, შეთანხმებულ ვადების გათვალისწინებით.

ჩვენ შევახსენებთ, რომ სართაშორისო შეფასების მისია მზად არის დაუყოვნებლივ გაემგზავროს რუსული საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გამოტანისა და განადგურების პროცესის გასაკონტროლებლად. ჩვენ რჩევას ვამღებთ მუდმივმოქმედ საბჭოს, განიხილოს მოლდოვაში OSCE-ს მისიის მანდატის გახანგრძლივების საკითხი იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის გამჭვირვალობა და იმ ფინანსური თუ ტექნიკური დახმარების კოორდინაცია, რომელიც გამოყოფილია ამ აღჭურვილობის გამოტანისა და განადგურების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ჩვენ თანახმანი ვართ განვიხილოთ ნებაყოფლობითი საერთაშორისო ფინანსური დახმარების ფონდის დაფუძნება, რომელსაც OSCE განახორციელებს.“

2002 წელს, ლისაბონში OSCE-ს მინისტრთა კონფერენციის დროს, რუსეთს ერთი წლით, 2003 წლის დეკემბრის ბოლომდე გაუხანგრძლივდა თავისი ჯარების გამოყვანის ვადა.

26. რუსეთმა არ შეასრულა დნესტრისპირეთიდან 2003 წლის ბოლომდე ჯარების გამოყვანის ვალდებულება, რომელიც მას დააკისრა OSCE-ს სტამბულის სამიტმა და ლისაბონის მინისტრთა კონფერენციამ. 2003 წლის OSCE-ს მინისტრთა საბჭოზე, შეუძლებელი გახდა საერთო პოზიციის მიღწევა დნესტრისპირეთის საკითხზე; გამოქვეყნებულ განცხადებებში აღნიშნულია, რომ:

“მინისტრების უმეტესობამ აღნიშნა რუსეთის ფედერაციის მიერ გამოჩენილი ძალისხმევა იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მან აიღო OSCE-ს სტამბულის სამიტზე 1999 წელს, დაესრულებინა რუსული ჯარების გამოყვანა მოლდოვას ტერიტორიიდან. მათ აღნიშნეს, რომ კონკრეტული პროგრესი იქნა მიღწეული 2003 წელს ზოგიერთი საბრძოლო მასალისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის გამოსატანად, რომელიც რუსეთის ფედერაციას ეკუთვნოდა. ისინი აფასებენ OSCE-ს ყველა მონაწილე სახელმწიფოს ძალისხმევას, რაც მათ ნებაყოფლობითი ფონდის დაფუძნების საქმეში გამოიჩინეს ამ ძალისხმევის ხელშესაწყობად. თუმცა, მათ დიდი წუხილი გამოთქვეს იმის გამო, რომ რუსეთის ძალების გამოყვანა ვერ დასრულდებოდა 2003 წლის 31 დეკემბრისათვის. მათ ხაზი გაუსვეს იმის აუცილებლობას, რომ ეს ვალდებულება შესრულებულიყო შემდგომი გაჭიანურების გარეშე.”

ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) წევრმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს ადაპტირებული CFE-ს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, სანამ რუსეთი სტამბულის ვალდებულებებს არ შეასრულებდა.

#### D. „კოზაკის მემორანდუმი“

27. 2001 წელს კომუნისტურმა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში და გახდა მმართველი პარტია მოლდოვაში. მოლდოვას ახალმა პრეზიდენტმა, ბ-მა ვლადიმირ ვორონინმა პირდაპირი მოლაპარაკებები წამოიწყო რუსეთის

ფედერაციასთან დნესტრისპირეთის მომავლის შესახებ. 2003 წლის ნოემბერში, რუსეთის ფედერაციამ წამოაყენა მორიგების წინადადება - „მემორანდუმი ერთიანი სახელმწიფოს სახელმწიფო სტრუქტურის ძირითადი პრინციპების შესახებ“ (მოიხსენიება, როგორც „კოზაკის მემორანდუმი“, რუსი პოლიტიკოსის ბ-ნი დიმიტრი კოზაკის გამო, რომელიც ამ მემორანდუმზე მუშაობდა). კოზაკის მემორანდუმი ითვალისწინებდა მოლდოვას ახალ ფედერალურ სტრუქტურას, რომლის მიხედვითაც „MRT“-ს ხელისუფლებას ენიჭებოდა ავტონომიის გარკვეული ხარისხი და გარანტირებული წარმომადგენლობა ახალ „ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოში“. კოზაკის მემორანდუმი მოიცავდა გარდამავალ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც, 2015 წლამდე, უმრავლესობის სამ მეოთხედს ახლად შექმნილი საკანონმდებლო ორგანოს მეორე პალატისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ოთხი წარმომადგენელი გაგაუზიდან, ცხრა - დნესტრისპირეთიდან და ცამეტი - ახალი ფედერალური საკანონმდებლო ორგანოს პირველი პალატიდან, მოეთხოვებოდა დამორჩილებოდა ფედერალურ ორგანულ კანონებს. ეს, 2015 წლამდე, „MRT“-ს წარმომადგენლებს აძლევდა ქმედითი ვეტოს უფლებას ნებისმიერი კანონმდებლობის მიმართ, რომელიც მთელ მოლდოვას შეეხებოდა. 2003 წლის 25 ნოემბერს, ბ-ნმა, ვორონინმა, რომელმაც მანამდე გამოხატა თავისი სურვილი, დასთანხმებოდა ამ შემოთავაზებას, გადაწყვიტა არ მოეწერა ხელი კოზაკის მემორანდუმზე.

## **E. გაუმჯობესებული საზღვრები და საბაჟო კონტროლი**

28. 2005 წლის დეკემბერში დაფუძნდა ევროპის კავშირის სასაზღვრო დახმარების მისია უკრაინასა და მოლდოვას შორის უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 2006 წლის მარტში უკრაინამ და მოლდოვამ დაიწყეს 2003 წლის საბაჟო შეთანხმების განხორციელება, რომლის მიხედვითაც დნესტრისპირეთის კომპანიებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ საზღვრის გადაკვეთით ვაჭრობაში, დაეკისრათ ვალდებულება, დარეგისტრირებულიყვნენ კიშინიოვში იმისათვის, რათა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ოქმის დებულებების შესაბამისად, მომხდარიყო დოკუმენტების შედგენა საქონლის წარმოშობის ქვეყნის მითითებით. უკრაინამ აიღო ვალდებულება, არ დაეშვა თავის საზღვარზე საქონელი ასეთი საექსპორტო დოკუმენტების გარეშე.

29. ის, რაც ცხადი გახდა ახალი საბაჟო ღონისძიებების საპასუხოდ, იყო ის გარემოება, რომ დნესტრისპირეთის წარმომადგენლებმა უარი თქვეს გაეგრძელებინათ 5+2 ფორმატით საუბრები. გარდა ამისა, 2005 წლის თებერვალსა და მარტში, „მოლდოვას მთავრობის მიერ განხორციელებული იმ ქმედებების საპასუხოდ, რომლებიც მიზნად ისახავდა დნესტრისპირეთში ვითარების გაუარესებას“, რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რუსეთის მთავრობას მოსთხოვა შემოეღო აკრძალვა მოლდოვადან ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქტების იმპორტზე; დუმამ ასევე მოითხოვა, რომ მოლდოვაში (გარდა დნესტრისპირეთისა) ენერგიის ექსპორტის

განხორციელებულიყო საერთაშორისო ტარიფებით; ხოლო რუსეთში ვიზიტისას მოლდოველი მოქალაქეებისათვის (გარდა დნესტრისპირეთში მაცხოვრებლებისა) დაეწესებინათ ვიზის სავალდებულობა.

30. 2005 წლის აპრილში რუსეთის ხელისუფლება დააწესა მოლდოვადან ხორცის პროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის იმპორტის აკრძალვა იმ მოტივით, რომ ამ პროდუქტების წარმოებისას შიდა ჰიგიენური სტანდარტები არ იყო დაცული. 2006 წლის მარტსა და 2007 წლის ნოემბერს შორის პერიოდში, აკრძალვა დაწესდა მოლდოვური ღვინის შემოტანაზეც. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაადგინა, რომ ამ ღონისძიებებმა საერთო უარყოფითი გავლენა იქონია მოლდოვას ყოველწლიურ 2-3% -იან ეკონომიკურ ზრდაზე 2006-2007 წლებში.

31. 2005 წლის იანვარში, ბ-ნი ვიქტორ იუშჩენკო არჩეული იქნა უკრაინის პრეზიდენტად. 2005 წლის მაისში უკრაინის მთავრობამ დნესტრისპირეთის კონფლიქტის საკითხზე წამოაყენა ახალი წინადადება - „საკითხის მოგვარებისათვის დემოკრატიზაციის გზით“ (შეჯამებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში; იხ. ქვემოთ 64-ე პარაგრაფი). 2005 წლის ივლისში, უკრაინული გეგმის მითითებით, მოლდოვას პარლამენტმა მიიღო კანონი - „ძირითადი პრინციპები დნესტრისპირეთის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის თაობაზე“. ფორმალური მოლაპარაკებები შეჯამებულ იქნა 2005 წლის ოქტომბერში, ევროპის კავშირთან („EU“) და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ, როგორც დამკვირვებლები („5+2 საუბრებზე“ მითითებით).

#### **F. რუსეთის სამხედრო აღჭურვილობა და პერსონალი დნესტრისპირეთში**

32. 1998 წლის 20 მარტს, ოდესაში, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ბ-ნი ვიქტორ ჩერნომირდინისა და „MRT-ს პრეზიდენტის ბ-ნი სმირნოვის მიერ ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ROG-ის სამხედრო აქტივების შესახებ. ამ ხელშეკრულებაზე თანდართული განრიგის მიხედვით, განსაზღვრული მარაგების გამოტანა და ექსპლუატაციიდან ამოღება აფეთქების ან სხვა მექანიკური პროცესის მეშვეობით, გეგმის მიხედვით უნდა დასრულებულიყო 2001 წლის 31 დეკემბერს. იმ ჭარბი საბრძოლო მასალისა და სხვა რუსული სამხედრო აღჭურვილობისა და პერსონალის გამოტანა (სხვა ადგილას გადატანა ან ექსპლუატაციიდან ამოღება), რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამშვიდობო ძალების ნაწილს, უნდა დასრულებულიყო, ყველაზე გვიან, 2002 წლის 31 დეკემბერს. 1999-2000 წლებში არაერთმა რუსული სამხედრო აღჭურვილობით დატვირთულმა მატარებელმა დატოვა დნესტრისპირეთი.

33. 2001 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციამ და „MRT“-მ ხელი მოაწერეს შემდგომ შეთანხმებას რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად, დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული სამხედრო

აღჭურვილობის ნაწილის გატანის საკომპენსაციოდ, “MRT”-ს ჩამოეწერა ასი მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ვალი, რომელიც მას გააჩნდა რუსეთის ფედერაციიდან გაზის შემოტანის გამო; გარდა ამისა, რუსეთის არმიისაგან მას გადაეცა სამხედრო აღჭურვილობის ნაწილი, რომლის გამოყენებაც სამოქალაქო მიზნებისათვის შესაძლებელი იყო.

34. OSCE-ს პრესრელიზის თანახმად, 2004 წლის 24 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლებამ კოლბასნადან გაიყვანა 29 სარკინიგზო ვაგონი, რომელიც დატვირთული იყო ხიდების ასაშენებელი მოწყობილობებითა და საველე სამზარეულოებით. იმავე პრეს-რელიზში შეფასებულია ROG-ის სარდლის ბორის სერგეევის განცხადება იმის თაობაზე, რომ აღჭურვილობის ეს უკანასკნელი გატანა შესაძლებელი გახდა დნესტრისპირეთთან შეთანხმების შედეგად, რომლის მიხედვითაც “MRT” მიიღებდა გატანილი არასამხედრო აღჭურვილობისა და მარაგის ნახევარს. გენერალმა სერგეევმა მოიყვანა აღჭურვილობის გატანის მაგალითი, კერძოდ, 2002 წლის 16 დეკემბერს 77 სატვირთო მანქანისა, რომელიც შემდეგ მოჰყვა 77 რუსული სამხედრო სატვირთო მანქანის დნესტრისპირეთისათვის გადაცემას.

35. *Ilaşcu*-ს საქმეზე მიღებული მტკიცებულებების შესაბამისად, 2003 წელს, სულ მცირე, 200,000 ტონა რუსული იარაღი და საბრძოლო მასალა რჩებოდა დნესტრისპირეთში, ძირითადად კოლბასნაში. მასთან ერდად კი ასევე: 106 საბრძოლო ტანკი, 42 ჯავშნიანი მანქანა, 109 ჯავშნიანი გადამზიდი, 54 ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა, 123 ზარბაზანი და ნაღმტყორცნი, 206 ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, 226 ანტი-საავიაციო ტყვიამფრქვევი, 9 შვეულმფრენი და 1,648 სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალება (იხ. *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილება, ზემოთ მითითებული, § 131). 2003 წელს OSCE-მ განახორციელა დაკვირვება და დაამოწმა დნესტრისპირეთიდან რუსული სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული 11 მატარებლისა და 15,000 ტონა საბრძოლო მასალით დატვირთული 31 მატარებლის გასვლა. თუმცა, მომდევნო 2004 წელს, OSCE-ს ანგარიშის მიხედვით, დნესტრისპირეთიდან დაახლოებით 1,000 ტონა საბრძოლო მასალით დატვირთული მხოლოდ ერთი მატარებელი გავიდა.

36. 2004 წლის შემდეგ, არ არსებობს დნესტრისპირეთიდან რუსული იარაღისა და აღჭურვილობის გატანის დამოწმებული მტკიცებულება. *Ilaşcu*-ს საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის ბოლოსათვის დაახლოებით 21,000 მეტრული ტონა საბრძოლო მასალა, 40,000 მცირე და მსუბუქი იარაღი და სხვადასხვაგვარი სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული ათი მატარებელი რჩებოდა დნესტრისპირეთში. 2006 წლის ნოემბერში, OSCE-ს დელეგაციას მიენიჭა საბრძოლო მასალის საწყობებზე ხელმისაწვდომობა და მისი ანგარიშის მიხედვით, საწყობებში კვლავ რჩებოდა დაახლოებით 21,000 ტონა საბრძოლო მასალა (იხ. ქვემოთ 68-ე პარაგრაფი). ROG-ს სარდლის 2005 წლის მაისის

ანგარიშის მიხედვით, 40,000 მცირე და მსუბუქი იარაღის ჭარბი მარაგი იქნა განადგურებული, მაგრამ დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რომელსაც მისი ეს მტკიცება უნდა დაედასტურებინა, იქ არ იქნა დაშვებული. წინამდებარე საქმეზე წარდგენილ თავის მოსაზრებებში რუსეთის მთავრობამ მიუთითა, რომ იარაღის, საბრძოლო მასალისა და სამხედრო ქონების უდიდესი ნაწილი დნესტრისპირეთიდან 1991 და 2003 წლებში გატანილი იქნა და რომ ის, რაც კვლავ რჩებოდა საწყობებში, იყო მხოლოდ ხელყუმბარები, ნაღმები და მცირეკალიბრიანი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა.

37. წინამდებარე საქმის მხარეები ეთანხმებიან იმ გარემოებას, რომ დაახლოებით 1,000 რუსი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა დნესტრისპირეთში იარაღის საწყობების დასაცავად. გარდა ამისა, მხარეები თანხმდებიან, რომ დაახლოებით 1,125 რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა უსაფრთხოების ზონაში, როგორც საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ნაწილი. უსაფრთხოების არეალი შეადგენდა 225 კმ სიგრძისა და 12-20 კმ სიგანის მქონე ტერიტორიას.

#### **G. რუსეთის მხრიდან “MRT”-თვის სავარაუდოდ გაწეული ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარება**

38. უნდა აღინიშნოს კვლავ, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობის აზრით, დნესტრისპირეთის მოვლენები, რომელიც წინ უსწრებდა სკოლებთან დაკავშირებულ კრიზისს არ არის შესაბამისი წინამდებარე საქმეზე წამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში.

39. *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაში სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ იარაღის ინდუსტრია, რომელიც დნესტრისპირეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი იყო, პირდაპირ იყო მხარდაჭერილი ისეთი რუსული კომპანიების მხრიდან, როგორიც იყო „რაზვოორუჟენიე“ და „ელექტრომაში“. რუსულმა ფირმამ „იტერა“ შეიძინა რიზნიცას საინჟინრო სამუშაოებთან დაკავშირებული უდიდესი საპროექტო წამოწყება, მიუხედავად მოლდოვას ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისა. გარდა ამისა, რუსეთის არმია წარმოადგენდა მთავარ დამქირავებელსა და წარმოების პროდუქტების შემძენს დნესტრისპირეთში.

40. წინამდებარე საქმის მოსარჩელეთა მიხედვით, რუსეთი ახორციელებდა “MRT”-ს ექსპორტის 18%-ს და მისი იმპორტის, უმთავრესად ენერგიის, 43,7%-ს; “MRT” იხდიდა მის მიერ მოხმარებული გაზის ღირებულების 5%-ზე ნაკლებს. მაგალითად, 2011 წელს, დნესტრისპირეთმა მოიხმარა USD 505 მილიონი ღირებულების გაზი, მაგრამ გადაიხდა მისი მხოლოდ 4% (USD 20 მილიონი). რუსეთის მთავრობამ ეს იმით ახსნა, რომ, რამდენადაც “MRT” საერთაშორისო

სამართლის საფუძველზე არ იყო აღიარებული დამოუკიდებელ ერთეულად, მას არ შეეძლო აეღო თავისი საკუთარი ვალები და რუსეთს არ განუხორციელებია მოლდოვასა და დნესტრისპირეთის გაზით მომარაგება ცალ-ცალკე, ასე რომ დნესტრისპირეთისათვის მიწოდებული გაზის ანგარიში მიწერილი იყო მოლდოვაზე. რეგიონებისათვის გაზის მიწოდება ორგანიზებული იყო რუსეთის სახელმწიფო კორპორაციის „გაზპრომისა“ და ერთობლივი კომპანია „მოლდოვგაზის“ მეშვეობით, რომელსაც ერთობლივად ფლობდნენ მოლდოვა და „MRT“. „მოლდოვგაზის“ ვალი რუსეთის წინაშე აჭარბებდა USD 1.8 მილიარდს, საიდანაც USD 1.5 მილიარდი შეეხებოდა დნესტრისპირეთის მიერ მოხმარებულ გაზს. „გაზპრომს“ არ შეეძლო უარი ეთქვა რეგიონისათვის გაზის მიწოდებაზე, რამდენადაც მას სჭირდებოდა მოლდოვაზე გამავალი ნავთობსადენი გაზით ბალკანეთის სახელმწიფოების მოსამარაგებლად.

41. მოსარჩელები ასევე ამტკიცებენ, რომ რუსეთი ახორციელებდა დნესტრისპირეთის პირდაპირ ჰუმანიტარულ დახმარებას, ძირითადად ასაკოვანი პენსიონერების დახმარების ფორმით. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ რუსული ოფიციალური წყაროების მიხედვით, 2007-2010 წლებში დნესტრისპირეთისათვის გაწეული ფინანსური დახმარება მთლიანობაში შეადგენდა USD 55 მილიონს. მოლდოვას მთავრობამ აღნიშნა, რომ 2011 წელს „MRT“-მ რუსეთისაგან ფინანსური დახმარების სახით მიიღო მთლიანობაში USD 20.64 მილიონი. რუსეთის მთავრობამ მიუთითა, რომ რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული მიზნებით - როგორც იყო პენსიების გადახდა, სკოლებში, ციხეებსა და საავადმყოფოებში სარესტორნო მომსახურება - გაწეული დახმარების ოდენობა, მთლიანად გამჭვირვალე იყო და იგი შეიძლებოდა შეედარებინათ იმ ჰუმანიტარულ დახმარებასთან, რომელსაც ევროპის კავშირი ახორციელებდა. გარდა ამისა, რუსეთი ეხმარებოდა არა მარტო დნესტრისპირეთის, არამედ მოლდოვას სხვა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასაც.

42. მოსარჩელები ასევე ამტკიცებენ, რომ დნესტრისპირეთში მცხოვრები მოსახლეობიდან დაახლოებით 120,000 პირს მიენიჭა რუსეთის მოქალაქეობა. მათ შორის იყვნენ „MRT“-ს ლიდერები. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს განხილული იმ აღწერის კონტექსტში, რომელიც „MRT-ს მთავრობამ“ 2004 წელს განახორციელა და რომლის მიხედვითაც, მათ კონტროლის ქვეშ მყოფი არეალის მოსახლეობას შეადგენდა 555,347 ადამიანი, რომელთაგან 32% მოლდოველები იყვნენ, 30% - რუსები და 29% - უკრაინელები, ხოლო სხვა ეროვნებები თუ ეთნიკური ჯგუფები კი მცირე პროცენტს შეადგენდნენ.

## **H. სასკოლო კრიზისი და ფაქტები, დაკავშირებული მოსარჩელეთა საქმესთან**

43. MRT-ს „კონსტიტუციის“ მე-12 მუხლის მიხედვით, MRT-ში ოფიციალური ენებია „მოლდოვური“, რუსული და უკრაინული. 1992 წლის 8 სექტემბერს

მიღებული „ენების შესახებ MRT-ს კანონის“ მე-6 მუხლი ადგენს, რომ „მოლდოვურის“ წერისას უნდა გამოყენებულ იქნას კირილიცას ალფაბეტი. „კანონი“ ასევე ადგენს, რომ ლათინური ალფაბეტის გამოყენება შეიძლება წარმოადგენდეს სამართალდარღვევას, და „MRT-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 200-3-ე მუხლი ადგენს შემდეგს:

„ თუ პირი, რომელსაც უკავია სახელმწიფო თანამდებობა, ან საქმიანობს აღმასრულებელ ორგანოებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში, ან საჯარო ასოციაციაში, ან სხვა ორგანიზაციაში მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა და საკუთრების ფორმისა, ანდა MRT-ს ტერიტორიაზე მდებარე სხვა ერთეულებში, არ ასრულებს MRT-ს კანონმდებლობას MRT-ს ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირების შესახებ... ექვემდებარება პასუხისმგებლობას ჯარიმის ფორმით, რომლის ოდენობა შეიძლება წარმოადგენდეს 50 (ორმოცდაათ) მინიმალურ ხელფასს “.

44. 1998 წლის 18 აგვისტოს “MRT”-ს ხელისუფლებამ აკრძალა ლათინური ალფაბეტის გამოყენება სკოლებში. 1999 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, “MRT”-მ გამოსცა ბრძანება, რომ სკოლები, რომლებიც ეკუთვნოდა „უცხო სახელმწიფოებს“ და ფუნქციონირებდნენ „მის“ ტერიტორიაზე, რეგისტრაცია უნდა გაეწყოთ “MRT”-ს ხელისუფლებაში, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც არ მოხდებოდა მათი აღიარება და ჩამოერთმეოდათ თავიანთი უფლებები.

45. 2004 წლის 14 ივლისს “MRT”-ს ხელისუფლებამ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ყველა იმ სკოლის დასახურად, რომელიც ლათინურ ალფაბეტს იყენებდა. ამ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების დროისათვის, დნესტრისპირეთში შემორჩენილი იყო მხოლოდ ექვსი სკოლა, რომელიც იყენებდა მოლდოვურ/რუმინულ ენასა და ლათინურ ალფაბეტს.

#### *1. კატანი და სხვები (საჩივარი № 43370/04)*

46. მოსარჩელები არიან 18 ბავშვი, რომლებიც იმ დროისათვის სწავლობდნენ რიბნიცაში მდებარე ევრიკას სკოლაში, და მათი მშობლები (იხ. გადაწყვეტილების დანართი).

47. 1997 წლიდან ევრიკას სკოლა განთავსებული იყო გაგარინის ქუჩაზე მდებარე შენობაში, რომელიც აგებული იყო მოლდოვას საზოგადოებრივი ფონდიდან. სკოლა რეგისტრირებული იყო მოლდოვას განათლების სამინისტროში, იყენებდა ლათინურ დამწერლობასა და სამინისტროს მიერ მოწოდებულ კურიკულუმს.

48. 1999 წლის “MRT-ს გადაწყვეტილების შემდეგ” (იხ. ზემორე 44-ე პარაგრაფი), ევრიკას სკოლამ უარი თქვა რეგისტრაციაზე, რამდენადაც რეგისტრაციისას მას მოსთხოვდნენ კირილიცას ალფაბეტისა და “MRT” -ს რეჟიმის მიერ დამუშავებული კურიკულუმის გამოყენებას. 2004 წლის 26 თებერვალს სკოლის მიერ გამოყენებული შენობა “MRT”-ს ხელისუფლებამ გადასცა „რიბნიცას განათლების განყოფილებას“. 2004 წლის ივლისში, “MRT”-ში არაერთი ლათინურ-ალფაბეტიანი სკოლის დახურვის შემდეგ ევრიკას სკოლის



მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა დაიწყეს სკოლის სადღეღამისო დაცვა. 2004 წლის 29 ივლისს დნესტრისპირეთის პოლიციამ იერიშით აიღო სკოლა და გამოყარა იქ მყოფი ბავშვები და ქალები. რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციელები და „რიზნიცას განათლების განყოფილების“ თანამშრომლები ეწვივნენ ამ სკოლაში რეგისტრირებულ ბავშვებსა და მათ მშობლებს, და მოთხოვეს მათ თავიანთი შვილების გამოყვანა ამ სკოლიდან და “MRT”-ს რეჟიმის მიერ რეგისტრირებულ სკოლებში შეყვანა. სავარაუდოდ, მშობლებს ისიც უთხრეს, რომ ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში ემუქრებოდათ სამსახურებიდან დათხოვნა და შესაძლოა მშობლის უფლებების ჩამორთმევა კი. ასეთი წნეხის შედეგად, არაერთმა მშობელმა გადაიყვანა შვილი სხვა სკოლაში.

49 2004 წლის 29 სექტემბერს, მოლდოვაში OSCE-ს მისიის ჩარევის შემდეგ, სკოლას ნება მიეცა „ტირასპოლის რეგისტრაციის პალატაში“ რეგისტრაცია გაეწეოთ როგორც კერძო განათლების უცხოურ დაწესებულებას, მაგრამ მან ვერ შესძლო საქმიანობის წარმართვა შენობის არარსებობის გამო. 2004 წლის 2 ოქტომბერს “MRT”-ს რეჟიმმა ნება დართო ამ სკოლას განეახლებინა სასწავლო პროცესი სხვა შენობაში, რომელშიც მანამდე საბავშვო ბაღი იყო განთავსებული. ეს შენობა “MRT”-გან იქირავა მოლდოვას მთავრობამ და გადაიხადა მისი განახლების თანხაც. სკოლის განმეორებით თხოვნას, რომ დაებრუნებინათ მისთვის გაგარინის ქუჩაზე არსებული უფრო დიდი და სკოლისათვის შესაბამისი შენობა, უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ამ შენობაში უკვე სხვა სკოლა ფუნქციონირებდა. მოსარჩელეთა მტკიცებით, დაქირავებული შენობა სრულიად შეუსაბამო იყო საშუალო განათლებისათვის; განათება, კორიდორები და საკლასო ოთახები არ იყო სრულად ადაპტირებული; გარდა ამისა, იქ არ არსებობდა ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი და ინვენტარი. ამ სკოლის მმართველობას ახორციელებს მოლდოვას განათლების სამინისტრო, რომელიც მასწავლებლებს უხდის ხელფასს და სკოლას უზრუნველყოფს სასწავლო მასალით. სკოლა იყენებს ლათინურ ალფაბეტსა და მოლდოვურ კურიკულუმს.

50. მოსარჩელებმა შეიტანეს არაერთი შუამდგომლობა და საჩივარი რუსეთის ხელისუფლებაში. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა მათ პასუხი გასცა საჯარო განცხადებით მოლდოვურ/რუმინულ-ენოვან სკოლებთან დაკავშირებული კონფლიქტის ესკალაციის შესახებ დნესტრისპირეთში. მისი განცხადებით, ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მოლდოვასა და “MRT”-ს შორის არსებული კონფლიქტი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლდოვასა და “MRT”-ს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ძალის გამოყენება კონფლიქტის გადასაჭრელად საფრთხეს შეუქმნიდა რეგიონის უშიშროებას და დაჟინებით მოითხოვა მათგან გამოეყენებინათ სხვადასხვა სახის მოლაპარაკებები კონფლიქტის გადასაჭრელად. მოსარჩელებმა თავიანთი მდგომარეობის თაობაზე მოლდოვას ხელისუფლებასაც მიმართეს საჩივრებით.

51. სკოლა გახდა სამიზნე ვანდალიზმის სისტემატიური კამპანიისა, მათ შორის ფანჯრების ჩამტვრევით. მოსარჩელეთა თქმით ეს კამპანია დაიწყო 2004 წელს. მოლდოვას მთავრობის განცხადებით კი ეს კამპანია 2007 წლის შემოდგომაზე დაიწყო. 2008 წლის 10 აპრილს მოლდოვას რეინტეგრაციის მინისტრმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს სთხოვა ჩარეულიყო და ცდილიყო შეეჩერებინა თავდასხმები. მოსარჩელები ასევე ამტკიცებენ, რომ ბავშვები დაშინებულები იყვნენ რუსულენოვანი მოსახლეობის მხრიდან და ემინოდათ ესაუბრათ მოლდოვურად სკოლის გარეთ.

52. 2008 წლის 16 ივლისს მოლდოვას რეინტეგრაციის მინისტრი შეეცადა მოლდოვაში OSCE-ს მისიისაგან მიეღო დახმარება საგანმანათლებლო და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისა და მასწავლებელთა ხელფასებისათვის ფულის მისაღებად “MRT”- ს „საზღვრებს“ შორის მოქცეულ ტერიტორიაზე.

53. 2002-2003 აკადემიურ წელს სკოლაში 683 მოსწავლე იყო. 2008-2009 წლებში კი მათი რიცხვი 345-მდე შემცირდა.

## *2. Caldare და სხვები (საჩივარი № 8252/05)*

54. მოსარჩელები არიან 26 ბავშვი, რომლებიც იმ პერიოდში სწავლობდნენ ტიგინაში (ბენდერი) არსებულ ალექსანდრუ კელ ბუნის 26 სკოლაში და 17 მშობელი. (იხ. დანართი). სკოლა იყენებდა კოსმოდემიანსკაიას ქუჩაზე მდებარე შენობას, რომელიც აგებული იყო საზოგადოებრივი ფონდიდან და დაქირავებული ჰქონდა მოლდოვას ხელისუფლებისაგან. სკოლა რეგისტრირებული იყო მოლდოვას განათლების სამინისტროში და იყენებდა ლათინურ დამწერლობასა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ კურიკულუმს.

55. 2004 წლის 4 ივნისს, „MRT-ს განათლების სამინისტრომ“ გააფრთხილა სკოლა, რომ იგი დაიხურებოდა, თუ მათთან არ გაივლიდა რეგისტრაციას, ხოლო სკოლის დირექტორის წინააღმდეგ კი გამოყენებული იქნებოდა დისციპლინური ღონისძიებები. 2994 წლის 18 ივლისს სკოლას გამოერთო ელექტროდენისა და წყლის მიწოდება, ხოლო 2004 წლის 19 ივლისს კი ეცნობა, რომ მას აღარ შეეძლო გამოეყენებინა კოსმოდემიანსკაიას ქუჩაზე არსებული შენობა. თუმცა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა დაიკავეს სკოლის შენობა და უარი განაცხადეს მის დატოვებაზე. დნესტრისპირეთის პოლიცია შეეცადა გაეთავისუფლებინა შენობა, მაგრამ ეს ვერ შეძლო, და სავარაუდოდ თავი დაანება მას. მათ მიერ შენობა დაკავებული იქნა 2994 წლის 28 ივლისს. 2004 წლის 20 სექტემბერს, საერთაშორისო დამკვირვებლებთან, მათ შორის ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან მრავალი მოლაპარაკების შემდეგ, სკოლას განუახლდა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება.

56. 2004 წლის სექტემბერში “MRT”-ს რეჟიმმა დართო სკოლის ხელახლა გახსნის ნება, მაგრამ სხვა შენობაში, რომელიც “MRT” -ს ხელისუფლების მიერ იყო გაქირავებული. სკოლა ამჟამად იყენებს სამ შენობას, რომელიც მდებარეობს ქალაქის განცალკევებულ მხარეში. ძირითად შენობას არ გააჩნია კაფეტერია, სამეცნიერო ან სპორტული საშუალებები და ამასთან შეუძლებელია იქ საჯარო ტრანსპორტით მისვლა. ერთ-ერთ შენობაში მათ თავად გადაიხადეს სანიტარიული მოწყობილობების აღდგენის საფასური.

57. მოსარჩელებმა შეიტანეს არაერთი შუამდგომლობა და საჩივარი რუსეთისა და მოლდოვას ხელისუფლებაში.

58. 2002-2003 წლებში აქ იყო 1751 მოსწავლე, ხოლო 2008-2009 წლებში კი - მხოლოდ 901.

### *3. Cercavshi და სხვები (საჩივარი № 18454/06)*

59. მოსარჩელები არიან 46 ბავშვი, რომლებიც იმ პერიოდში სწავლობდნენ გრიგორიოპოლში არსებულ სტეფან კელ მარეს სკოლაში და 50 მშობელი (იხ. დანართი).

60. 1996 წელს, მშობლებისა და მათი შვილების მოთხოვნით, სკოლამ, რომელიც იყენებდა კირილიცას ალფაბეტის კურიკულუმს, არაერთი შუამდგომლობით მიმართა “MRT”-ს რეჟიმს და მოითხოვა ლათინური დამწერლობის გამოყენების ნებართვა. შედეგად, 1996 და 2002 წლებს შორის პერიოდში, “MRT”-მ მოაწყო პრესის მტრული პუბლიკაციების, უშიშროების ძალების მხრიდან დაშინებისა და მუქარის კამპანია. ამ ღონისძიებებმა თავის კულმინაციას მიაღწია 2002 წლის 22 აგვისტოს, როდესაც დნესტრისპირეთის პოლიცია შეიჭრა სკოლაში და გაყარა იქ მყოფი მასწავლებლები, მოწაფეები და მათი მშობლები. 2002 წლის 28 აგვისტოს, მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ კი თხუთმეტი დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა. ამ ინციდენტის შემდეგ 300-მა მოსწავლემ დატოვა სკოლა.

61. “MRT”-ს რეჟიმის მიერ შენობის ოკუპაციის შემდეგ, მოლდოვას განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა, სკოლისათვის დროებით გადაეცა შენობა დოროცკაიაში, სოფელში, რომელიც 20 კილომეტრით იყო დაშორებული გრიგორიოპოლიდან და რომელიც მოლდოვას კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ყოველდღიურად, მასწავლებლები და მოწაფეები დოროცკაიაში მიჰყავდათ ავტობუსით, რომელიც მოლდოვას ხელისუფლების მიერ იყო უზრუნველყოფილი. ისინი ექვემდებარებოდნენ ჩანთების ჩხრეკასა და პირადობის შემოწმებას “MRT”-ს ჩინოვნიკების მხრიდან, და ასევე, სავარაუდოდ, შევიწროებას ფურთხებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფორმით.

62. ამგვარი ვითარების გამო სკოლის წარმომადგენლებმა არაერთი საჩივრითა და შუამდგომლობით მიმართეს OSCE-ს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ისევე როგორც, მოლდოვასა და რუსეთის ხელისუფლებას. რუსეთის ხელისუფლებამ ამის საპასუხოდ ორივე მხარეს - მოლდოვასა და "MRT"-ს - მოსთხოვა, გამოეყენებინათ სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკებების გზა კონფლიქტის მოსაგვარებლად. მოლდოვას ხელისუფლებამ მოსარჩელებს აცნობა, რომ მას აღარაფერი შეეძლო მოემოქმედებინა მათ დასახმარებლად.

63. 2000-2001 წლებში სკოლაში არსებობდა 709 მოსწავლე, ხოლო 2008-2009 წლებში - მხოლოდ 169.

## II. სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები

### A. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

64. 2005 წლის 16 სექტემბერს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მოვალეობებისა და ვალდებულებების პატივისცემის კომიტეტმა (მონიტორინგის კომიტეტი) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) გამოსცეს ანგარიში „მოლდოვაში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების თაობაზე“. დნესტრისპირეთისადმი მიძღვნილ ნაწილში ვკითხულობთ:

“31. უკანასკნელ თვეებში შეინიშნება მნიშვნელოვანი განვითარება, რომელსაც ასამბლეა უნდა მიჰყევს ფეხდაფეხ ყველა შესაძლებელი გზით.

32. კიშინიოვში 22 აპრილს გამართულ GUAM-ს სამიტზე მოლდოვასა და უკრაინას შორის ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტების შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა იუშჩენკომ წამოაყენა 7-პუნქტიანი ინიციატივა დნესტრისპირეთის საკითხზე... ...

ამ ახალი გეგმის ძირითადი აზრი მდგომარეობს საკითხის ხანგრძლივ გადაწყვეტაში დნესტრისპირეთის დემოკრატიზაციის მეშვეობით. ეს გულისხმობს:

- დნესტრისპირეთში დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მრავალპარტიული სისტემის ჩამოსაყალიბებლად პირობების შექმნას;
- დნესტრისპირეთის უმაღლეს საბჭოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, რომელსაც მონიტორინგს გაუწევს ევროპის კავშირი, OSCE, ევროპის საბჭო, რუსეთი, შეერთებული შტატები და სხვა დემოკრატიული ქვეყნები უკრაინის ჩათვლით;
- მშვიდობის შენარჩუნების ამჟამინდელი ფორმატის ტრანსფორმაციას სამოქალაქო და სამხედრო დამკვირვებელთა სართაშორისო მისიაში OSCE -ს ეგიდით, და რეგიონში უკრაინელი სამხედრო დამკვირვებელთა ოდენობის გაზრდას;
- დნესტრისპირეთის ხელისუფლების მხრიდან დნესტრისპირეთის რეგიონში არსებულ სამხედრო-ინდუსტრიულ საწარმოებში საერთაშორისო მონიტორინგის მისიების დაშვებას უკრაინელი ექსპერტების ჩათვლით;

– OSCE-ს მონიტორინგის მოკლევადიან მისიებს უკრაინაში უკრაინა-მოლდოვას საზღვარზე საქონლისა და ადამიანების მოძრაობის შესამოწმებლად;

33. უკრაინული გეგმის სრული ტექსტი წარდგენილ იქნა უკრაინაში, ვინიცაში, მოლდოვასა და დნესტრისპირეთის მედიატორების წარმომადგენლების 16-17 მაისის შეხვედრაზე, მას შემდეგ, რაც უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა პიოტრ პოროშენკომ და მოლდოვას პრეზიდენტის თანაშემწემ მარკ ტკაჩუკმა თითქმის ერთი თვე გაატარეს „ურთიერთმასპინძლობის დიპლომატიაში“.

34. რეაქცია იყო განსხვავებული, მაგრამ ფრთხილად პოზიტიური.

35.10 ივნისს მოლდოვას პარლამენტმა მიიღო „დეკლარაცია დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის უკრაინის ინიციატივის შესახებ“, და ასევე, ორი მიმართვა მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონში დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის კრიტერიუმების ხელშეწყობის შესახებ....

36. დეკლარაცია მიესალმებოდა პრეზიდენტ იუშჩენკოს ინიციატივას და იმედოვნებდა, რომ იგი გახდებოდა „უმთავრესი ფაქტორი მოლდოვას ტერიტორიული და სამოქალაქო ერთობის მიღწევის საქმეში“. თუმცა, პარლამენტმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დეკლარაცია არ ასახავდა საკითხის მოგვარების ზოგიერთ მნიშვნელოვან პრინციპს, პირველ რიგში, რუსული ჯარების გამოყვანას, დემილიტარიზაციას, რეგიონის დემოკრატიზაციის პრინციპებსა და პირობებს, და უკრაინა-მოლდოვას საზღვარზე დნესტრისპირეთის სეგმენტზე გამჭვირვალე და კანონიერი კონტროლის დაწესებას. იგი უკრაინასა და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებდა ამ მიმართებით დამატებითი ძალისხმევის გამოჩენისაკენ.

37. პარლამენტმა ასევე გააკრიტიკა არაერთი დებულება, რომელსაც შეეძლო „დაერღვია მოლდოვას რესპუბლიკის სუვერენიტეტი“, როგორც იყო, კერძოდ, დნესტრისპირეთის მონაწილეობა მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში და წინადადება შექმნილიყო ე.წ. შერიგების კომიტეტი. პარლამენტმა კონფლიქტის გადაჭრა მოითხოვა მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვით, დნესტრისპირეთის ახალ, დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებთან დიალოგის მეშვეობით. ამგვარად, არსებობს არაერთი უთანხმოება უკრაინის ინიციატივასა და მოლდოვას მიერ არჩეულ მიდგომებს შორის.

38. დნესტრისპირეთის კონფლიქტის მედიატორებმა (OSCE, უკრაინა და რუსეთი) აღნიშნეს, რომ გეგმა უზრუნველყოფდა კონკრეტულ ბიძგს კონფლიქტის მოგვარების მისაღწევად. თავიანთ ყველა ბოლო შეხვედრაზე მათ მოუწოდეს პირდაპირი, განგრძობადი დიალოგისაკენ კონფლიქტის გადასაჭრელად.

39. უფრო დელიკატური იყო რუსეთის პოზიცია. აშკარაა რომ დნესტრისპირეთში თავისი სამხედრო და ეკონომიკური ყოფნისა და ამ რეგიონთან ძლიერი კულტურული და ლინგვისტური კავშირების გამო, რუსეთი ისურვებდა შეენარჩუნებინა თავისი ძლიერი ზეგავლენა ამ ტერიტორიაზე. პრესა ამას წინათ იუწყებოდა „მოლდოვას რესპუბლიკაში რუსული გავლენის შენარჩუნების სამოქმედო გეგმის შესახებ“, რომლის დეტალები გასაიდუმლოებულია. რუსეთი კვლავ ძლიერად ემხრობა 2003 წლის ე. წ. კოზაკის მემორანდუმს, რომელმაც მოლდოვას ფედერაციის გამოსავალი შესთავაზა. მოლდოვამ თითქმის მიიღო ეს გეგმა; მან ყველაზე ბოლო მომენტში განაცხადა უარი ხელმოწერაზე, სავარაუდოდ, დასავლეთის ზეგავლენით.

40. ერთი თვის შემდეგ, გამოჩნდა დამაბულობის ახალი ნიშნები. მაგალითად, 18 თებერვალს რუსეთის დუმამ დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვა მოლდოვას წინააღმდეგ, დნესტრისპირეთის გამოკლებით, არაერთი ეკონომიკური და სხვა სანქციის გამოყენება, თუკი მოლდოვას ხელისუფლება არ შეცვლიდა თავის „ეკონომიკურ ბლოკადას დნესტრისპირეთში“. სანქციები მოიცავდა მოლდოვადან ალკოჰოლისა და თამბაქოს იმპორტის აკრძალვას, მსოფლიო ბაზრის ფასების დაწესებას

მოლდოვასათვის მიწოდებულ რუსულ ნატურალურ გაზზე და მოლდოველებისათვის ვიზების დაწესებას რუსეთში შესასვლელად.

41. მოლდოვას პარლამენტის მიერ მიღებული ორივე მიმართვა ევროპის საბჭოს მოუწოდებდა მხარდაჭერისაკენ, და დნესტრისპირეთის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით პროცესში აქტიური ჩაბმისაკენ. კიშინიოვში ჩვენი ვიზიტის დროს, ჩვენი თანამოსაუბრეები განუწყვეტლივ უსვამდნენ ხაზს ჩვენი ორგანიზაციის შეფასებებისა და გამოცდილების მნიშვნელობას ამ მიმართებით. მოლდოვას პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტები მისმა სპიკერმა ოფიციალურად წარუდგინა მონიტორინგის კომიტეტს „განსახილველად მოლდოვას მონიტორინგის განხორციელების ჩარჩოებში“ და „ანალიზის, კომენტარისა და რეკომენდაციებისათვის, ისევე როგორც საპარლამენტო ასამბლეის იდეებისათვის, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი წვლილის შეტანა დნესტრისპირეთის რეგიონში კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებაში“.

42. ერთი შეხედვით, ევროპის საბჭო დაბეჯითებით უნდა მიჰყვეს ამ გეგმას, როგორც წამყვანი ორგანიზაცია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სფეროში. კომიტეტმა ამის გამო მოგვანდო კიევში, მოსკოვში, ბუქარესტსა და ბრიუსელში ვიზიტების პასუხისმგებლობა უკრაინულ გეგმაზე პასუხისმგებელ მთავარ ფიგურებთან შესახვედრად და ყველა დეტალის უკეთ გასაცნობად. ამ ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ მოვამზადებთ კონკრეტულ წინადადებებს ასამბლეისათვის ამ გეგმის განხორციელებაში ქმედითი როლის შესასრულებლად.

43. არაერთი კითხვა რჩება უკრაინული გეგმის განხორციელებასა და მოლდოვას პარლამენტის მიერ დაყენებულ პირობებთან დაკავშირებით. თუმცა, არაერთი დიპლომატიური ძალისხმევის წარუმატებლობის მიუხედავად, მას გააჩნია ერთი ძლიერი უპირატესობა. იგი დიპლომატიურ ძალისხმევას უხამებს დემოკრატიზაციის მიზნით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებს, ამასთან, არა მარტო დნესტრისპირეთში, არამედ მთელს მოლდოვაში, რაც კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს. ინიციატივა ახლაც დღის წესრიგშია, რამდენადაც შეესაბამება უმთავრეს სწრაფვას დემოკრატიზაციისა და ევროპული ინტეგრაციისაკენ მთელს რეგიონში.

44. არა მარტო მოლდოვა, რომლის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტიც არის დარღვეული, არამედ მთელი ევროპაც ვეღარ დაუშვებს „შავი ხვრელის“ არსებობას მის ტერიტორიაზე. დნესტრისპირეთი არის ცენტრი სხვადასხვა სახის უკანონო ვაჭრობისა, პირველ რიგში, ტრეფიკინგისა და კონტრაბანდისა. საიდუმლო პოლიციაში პოლიტიკა დომინირებს. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები კი შეკვეცილია.

45. ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ ელემენტად გვესახება დნესტრისპირეთში დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაციის შესაძლებლობა. ამისათვის რეგიონს ესაჭიროება თავისუფლად ფუნქციონირებადი პოლიტიკური პარტიები, მედია და სამოქალაქო საზოგადოება. 27 მარტს დნესტრისპირეთში გამართულმა ადგილობრივმა არჩევნებმა (სოფლის, დაბის, ქალაქის, სამხარეო საბჭოს, ასევე სოფლისა და დაბის საბჭოს თავმჯდომარეების არჩევა) აჩვენა, რომ რეალური ძლიერი ოპოზიცია კვლავ არ არსებობს. ეს არჩევნები განხილული იქნა როგორც 2005 წელს დაგეგმილი დნესტრისპირეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტესტი.

46. თუმცა, შეინიშნება ზოგიერთი საინტერესო სიახლე, განსაკუთრებით ის, რომელიც შეეხება უმაღლეს საბჭოში არსებულ ერთ ჯგუფს სპიკერის მოადგილის ევგენი შევჩუკის ლიდერობით.<sup>1</sup> 29 აპრილს ამ ჯგუფმა წარმოადგინა ამბიციური პროექტი დნესტრისპირეთის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის გაძლიერებას პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირისპირ - მაგალითად, პრეზიდენტის მიერ დანიშნული თანამდებობის პირისათვის უნდობლობის გამოცხადებას, აღმასრულებელთა საქმიანობისა და დანახარჯების გაკონტროლების უფლებას. ზოგიერთი ზომიერი ცვლილება, ისევე როგორც

<sup>1</sup> გამწესრიგებლის მითითება: ბ-ნი შევჩუკი “MRT“-ს „პრეზიდენტად“ არჩეულ იქნა 2011 წლის დეკემბერში.”

ადგილობრივი ადმინისტრაციის შესახებ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ რაიონის გამგებელი და ქალაქის საბჭო არჩეულ უნდა იქნას საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, მიღებულ იქნა 18 მაისს პირველი წაკითხვით. ბ-ნი შევჩუკი ასევე მხარს უჭერს საკანონმდებლო ინიციატივას რომ რეგიონალური ოფიციალური „TV PMR“ გადაკეთდეს საჯარო მაუწყებლობის ინსტიტუციად.

47.22 იენის უმაღლესმა საბჭომ რეკომენდაცია მისცა, რომ „პრეზიდენტ“ სმირნოვს გაეთავისუფლებინა იუსტიციის „მინისტრი“ ვიქტორ ბალალა, პრეზიდენტის ერთ-ერთი უახლოესი პირი, რომელმაც ახლახან გადაწყვიტა, რომ რეგისტრაციის ფუნქცია მისი სამინისტროდან გადაეცა „ექსპერტთა პალატის“ კვაზი-კომერციული უწყებისათვის.

48. 22 ივლისს მოლდოვას პარლამენტმა ორი წაკითხვით მოიწონა კანონი დნესტრის მარცხენა სანაპიროს (დნესტრისპირეთის) დასახლებული არეალის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის ძირითადი დებულებების შესახებ. კანონი აფუძნებს ავტონომიურ ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც არის მოლდოვას განუყოფელი ნაწილი და - მოლდოვას კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი პლენუმის ხელისუფლების ჩარჩოებში - წვეტს საკითხებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში. კანონი ითვალისწინებს, რომ დნესტრის მარცხენა სანაპიროზე დასახლებული ადგილები შეიძლება შეუერთდეს დნესტრისპირეთს ან გამოეყოს მას ადგილობრივი რეფერენდუმის საფუძველზე და მოლდოვას კანონმდებლობის სრული დაცვით.

65. ამ ანგარიშის გათვალისწინებით, PACE-მა მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომელშიც მან გადაწყვიტა, მათ შორის, რომ:

“10. ასამბლეა მიესალმება მოლაპარაკებების განახლებას უკრაინის ოპტიმისტური ინიციატივის კვალობაზე, რომელიც გულისხმობს დემოკრატიზაციისათვის პრიორიტეტის მიცემას დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. იგი იმედოვნებს, რომ მიმდინარე ხუთ-წევრიანი ფორმატი, რომელიც მოიცავს მოლდოვას, დნესტრისპირეთის რეგიონს, რუსეთს, უკრაინასა და OSCE-ს, გაფართოვდება და პროცესში ჩართული იქნება ევროპის საბჭოც. იგი ხაზს უსვამს ქმედითი ზედამხედველობის განხორციელების საჭიროებას მოლდოვასა და უკრაინას შორის არსებულ საზღვარზე, იარაღის საწყობებსა და იარაღის მწარმოებელი ქარხნების პროდუქციაზე. მათი დაგროვილი საექსპერტო შეფასებების გათვალისწინებით, ასამბლეა უსურვებს თავის მომხსენებლებს, დაკავშირებული იქნენ ყოველგვარ ასეთ განვითარებასთან.

11. დნესტრისპირეთის კონფლიქტის ნებისმიერი მოგვარება უნდა ეფუძნებოდეს მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული დაცვის პრინციპის დაურღვევლობას. სამართლის უზენაესობის შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტა უნდა შეესაბამებოდეს ხალხის ნებას, გამოხატულს თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებში, რომელიც ჩატარებულია საერთაშორისოდ აღიარებული ხელისუფლების მიერ.”

## B. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)

66. თავის 2004 წლის ანგარიშში OSCE-მ დნესტრისპირეთის მოვლენებზე მიუთითა შემდეგი:

“...ყველაზე უფრო დამანგრეველი გადაწყვეტილება იყო ივლისის შუა რიცხვებში დნესტრისპირეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე იმ სკოლების დახურვის შესახებ, რომლებიც ლათინურ დამწერლობას იყენებდნენ. ამის საპასუხოდ მოლდოვამ შეაჩერა მისი მონაწილეობა კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ხუთი მხარის მოლაპარაკებებში.

რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის თანამედიატორებთან ერთად, მისიამ არაორდინარულად ბევრი დრო - ივლისის შუა რიცხვებიდან შემოდგომამდე - მოანდომა სასკოლო კრიზისის შემსუბუქებას, გამოსავლის მოძებნასა და განხორციელებას. მისია ასევე ცდილობს შეასუსტოს მხარეებს შორის არსებული დაძაბულობა, რომელიც შეეხება გადაადგილების თავისუფლებას, სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და რკინიგზას.“

## 2004 წელს OSCE-მ ასევე აღნიშნა:

“ 2004 წელს რუსული ძალების ოპერატიულმა ჯგუფმა 1,000 ტონა საბრძოლო მასალით დატვირთული მხოლოდ ერთი მატარებელი გაიყვანა დნესტრისპირეთიდან. დაახლოებით 21,000 მეტრული ტონა საბრძოლო მასალა, 40,000 მცირე და მსუბუქი იარაღი და სხვადასხვაგვარი სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული დაახლოებით ათი ვაგონი რჩება გასატანი. მისია აგრძელებს ამ საქმიანობაში ტექნიკური და ფინანსური დახმარების კოორდინაციას რუსეთის ხელისუფლებასთან.“

## 67. 2005 წლის ანგარიშში მითითებულია:

“მისია თავისი ძალისხმევის კონცენტრაციას ახდენს პოლიტიკური მოგვარების მოლაპარაკებების განახლებაზე, რომელიც გაჩერებულია 2004 წლის ზაფხულიდან. მედიატორებმა რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან და ასევე OSCE-მ კონსულტაციები გამართეს კიშინიოვისა და ტირასპოლის წარმომადგენლებთან იანვარში, მაისსა და სექტემბერში. მაისის შეხვედრაზე, უკრაინამ წარმოადგინა პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს გეგმა საკითხის მოგვარების შესახებ დემოკრატიზაციის გზით. ეს ინიციატივა გულისხმობს დნესტრისპირეთის რეგიონის დემოკრატიზაციას საერთაშორისო ძალების მიერ რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარების გზით, და ასევე ნაბიჯების გადადგმას დემილიტარიზაციის, გამჭვირვალობისა და ნდობის გაზრდისაკენ.

ივლისში, მოლდოვას პარლამენტმა, უკრაინული გეგმის მითითებით, მიიღო კანონი დნესტრისპირეთის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის ძირითადი პრინციპების შესახებ. სექტემბერში, ოდესაში გამართული კონსულტაციების დროს კიშინიოვი და ტირასპოლი დაეთანხმნენ ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების მოწვევას დამკვირვებლის სტატუსით მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად. ოფიციალური მოლაპარაკებები შეჯამებულ იქნა გაფართოებული ფორმატის შეხვედრაში 15-თვიანი შესვენების შემდეგ, რომელიც განახლდა დეკემბერში ლუბლიანაში გამართული OSCE-ს მინისტრთა საბჭოს შემდეგ. 15 დეკემბერს, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, ვიქტორ იუშჩენკომ და ვლადიმერ პუტინმა, გამოსცეს ერთობლივი განცხადება, სადაც მიესალმნენ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების მიზნით მოლაპარაკებების განახლებას.

სექტემბერში, პრეზიდენტებმა ვორონინმა და იუშჩენკომ ერთობლივად მოსთხოვეს OSCE -ს თავმჯდომარეს განეხილა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (IAM) გაზაფხულის საკითხი დნესტრისპირეთში დემოკრატიის პირობების შესასწავლად და რეგიონში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მიზნით აუცილებელი ნაბიჯების გადასადგმელად. პარალელურად, OSCE-ს მისიამ აწარმოვა ტექნიკური კონსულტაციები დნესტრისპირეთის რეგიონში, როგორც ეს იუშჩენკოს გეგმით იყო გათვალისწინებული. ოქტომბრის მოლაპარაკებებში, OSCE-ს ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი, გაეგრძელებინა კონსულტაციები დნესტრისპირეთის რეგიონში IAM-ის ორგანიზაციის შესაძლებლობის თაობაზე.

სამხედრო ექსპერტებთან ერთად რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან, OSCE-მ დაასრულა შენობების უსაფრთხოებისა და ნდობის აღდგენის საკითხებზე ღონისძიებათა პაკეტის განვითარება, რომელიც წარდგენილი იქნა სამი მედიატორის მიერ ივლისში. მისიამ შემდეგ დაიწყო კონსულტაციები ამ პაკეტის თაობაზე კიშინიოვისა და ტირასპოლის წარმომადგენლებთან ერთად. ოქტომბრის მოლაპარაკებების დროს აღინიშნა გამჭვირვალების



მიღწევის საქმეში შესაძლებელი პროგრესის შესახებ სამხედრო მონაცემების ურთიერთგაცვლის მეშვეობით, როგორც ეს პაკეტით იყო გათვალისწინებული.“

რუსეთის სამხედრო ძალის გამოყვანის შესახებ OSCE-მ მიუთითა:

“ 2005 წელს არ მომხდარა რუსული არმიისა და აღჭურვილობის გამოყვანა დნესტრისპირეთიდან. დაახლოებით 20,000 მეტრული ტონა საბრძოლო მასალა რჩება გასატანი. რუსეთის ძალების ოპერატიული ჯგუფის სარდლის მაისის ანგარიშის მიხედვით, რუსული ძალების მიერ დნესტრისპირეთში დაგროვილი 40,000 მცირე და მსუბუქი იარაღით სავსე საწყობი იქნა განადგურებული. OSCE არ იქნა დაშვებული ამ მტკიცების სისწორის შესამოწმებლად.

68. 2006 წელს OSCE-მ განაცხადა შემდეგი:

“17 სექტემბრის „დამოუკიდებლობის“ რეფერენდუმი და 10 დეკემბრის „საპრეზიდენტო“ არჩევნები დნესტრისპირეთში - რომელთა არც აღიარება და არც მონიტორინგი არ განუხორციელებია OSCE-ს, ამ შრომის პოლიტიკურ გარემოს განსაზღვრულ ფორმას აძლევს...

კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ საუბრების სტიმულირებისათვის მისიამ 2006 წლის დასაწყისში მოამზადა დოკუმენტები, რომლებშიც გაზიარებულია შემდეგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა: ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის კომპეტენციათა გამოჯვანა, დნესტრისპირეთის სამხედრო-ინდუსტრიულ კომპლექსში არსებული ქარხნების მონიტორინგის მექანიზმის შექმნა, სამხედრო მონაცემების ურთიერთგაცვლის გეგმის შემუშავება, სადამკვირვებლო მისიის მიერ პირობების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება დნესტრისპირეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა, დნესტრისპირეთის მხარემ უარი განაცხადა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე მას შემდეგ, რაც მარტში შემოდებული იქნა ახალი საბაჟო წესები დნესტრისპირეთის ექსპორტის სფეროში, და ამიტომ შემდგომი პროგრესის მიღწევა, ამ პროექტების ჩათვლით, შეუძლებელი გახდა. მცდელობამ იმისა, რომ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი ყოფილიყო ნაპოვნი მედიატორებს (OSCE, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა) და დამკვირვებლებს (ევროპის კავშირი და შეერთებული შტატები) შორის კონსულტაციების გაგრძელების გზით აპრილში, მაისსა და ნოემბერში, და, ასევე, მედიატორებისა და დამკვირვებლების კონსულტაციებმა თითოეულ მხარესთან ცალ-ცალკე, ოქტომბერში, ვერავითარი სარგებელი ვერ მოიტანა.

13 ნოემბერს, OSCE-ს დელეგაციების 30-მა თავმჯდომარემ, OSCE-ს მისიის წევრებთან ერთად, 2004 წლის მარტიდან მოყოლებული, პირველად მოიპოვეს ხელმისაწვდომობა რუსეთის ფედერაციის საბრძოლო მასალების რკინიგზის სადგურზე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ დნესტრისპირეთში, მოლდოვა-უკრაინის საზღვარის ახლოს, კოლბასნაში. 2006 წლის განმავლობაში რუსული საბრძოლო მასალების გატანა არ განხორციელებულა, და 21,000 ტონაზე მეტი დაგროვილი საბრძოლო მასალა კვლავ რჩებოდა რეგიონში...”

69. 2007 წლის წლიურ ანგარიშში მითითებულია:

“დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მედიატორები, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და OSCE, და დამკვირვებლები, ევროპის კავშირი და შეერთებული შტატები, შეხვდნენ ოთხჯერ. მედიატორები და დამკვირვებლები მოლდოვურ და დნესტრისპირელ მხარეებს არაოფიციალურად შეხვდნენ ერთხელ, ოქტომბერში. ყველა შეხვედრა კონცენტრირებული იყო გამოსავლის ძიებაზე ოფიციალური მოლაპარაკებების გზით, რომელიც მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ვერ განახლდა...

მისიამ დაამოწმა, რომ 2007 წელს რუსეთს არ მოუხდენია საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გატანა. ნებაყოფლობით ფონდს გააჩნია საკმარისი რესურსები მასალების გატანის ამოცანის შესასრულებლად.“

70. 2008 წელს OSCE-მ აღნიშნა:

“მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი და დნესტრისპირეთის ლიდერი იგორ სმირნოვი შეხვდნენ აპრილში, პირველად შვიდი წლის შემდეგ, რასაც შემდეგ მოჰყვა მეორე შეხვედრა 24 დეკემბერს. მედიატორები OSCE-დან, რუსეთიდან და უკრაინიდან და დამკვირვებლები ევროპის კავშირიდან და შეერთებული შტატებიდან შეხვდნენ ხუთჯერ. მხარეების არაოფიციალური შეხვედრები მედიატორებთან და დამკვირვებლებთან ასევე გაიმართა ხუთჯერ. ამ და სხვა დამატებითი ურთიერთშეხვედრების დიპლომატიამ, რომელსაც მისია ახორციელებს, ოფიციალურმა მოლაპარაკებებმა ‘5+2’ ფორმატით, ვერ მოიტანა შედეგი...”

2008 წლის განმავლობაში დნესტრისპირეთის რეგიონიდან არ მომხდარა რუსული საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გატანა. ნებაყოფლობით ფონდს საკმარისი რესურსები გააჩნია მასალების გატანის ამოცანის შესასრულებლად.

## C. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

71. 2004 წლის 17 ივნისით დათარიღებულ თავის ანგარიშში „მოლდოვა: რეგიონული დამაბულობა დნესტრისპირეთში“ (Europe Report №157), საერთაშორისო კრიზისი ჯგუფმა (ICG) განაცხადა შემდეგი (ამონარიდები სახელმძღვანელო შეჯამებიდან):

“რუსეთის მხარდაჭერამ თვითგამოცხადებული და არაღიარებული მოლდოვას დნესტრისპირეთის რესპუბლიკისადმი (DMR) ხელი შეუშალა კონფლიქტის დარეგულირებას და შეაფერხა მოლდოვას განვითარება ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში მისი ფართო ინტეგრაციის მიმართულებით. თავისი ბოლოდროინდელი და ცალმხრივი მცდელობებით, გადაჭრას დნესტრისპირეთის კონფლიქტი, რუსეთმა გამოავლინა თითქმის ცივი ომისათვის დამახასიათებელი პოლიტიკა. მიუხედავად ნუგეშისმოძემი რიტორიკისა რუსეთსა და ევროპის კავშირს, ასევე რუსეთსა შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების შესახებ კონფლიქტების მოგვარებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მშვიდობის შენარჩუნების სფეროში, როგორც ჩანს, ძველი ჩვევების დავიწყება ძალზე რთულია. რუსეთი კვლავ არ არის მონდომებული, რომ ევროპის კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OSCE) აქტიური როლი შეასრულოს კონფლიქტის მოგვარებაში, რამდენადაც მოლდოვა მავანთა მიერ მოსკოვში კვლავ განიხილება, როგორც რუსეთის ექსკლუზიური გეოპოლიტიკური ინტერესის სფერო.

რუსეთისათვის სირთულეს არ წარმოადგენდა გამოეწვია მოლდოვას პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაცია საკუთარი ინტერესებისათვის. მიუხედავად თავისი ჯარების გაყვანის ვადების აღიარებისა, რუსეთი კვლავ და კვლავ ამუხრუჭებს კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების პროცესს და ამას ახერხებს დაუბალანსებელი კონსტიტუციური ღონისძიებებით, რუსეთის გავლენის გაგრძელებით პოლიტიკის შემუშავებელ მოლდოველებზე, და თავისი სამხედრო ყოფნის გაგრძელებით მშვიდობისმყოფელის იერით. ამგვარად, სასურველი არ არის DMR-ს [“MRT”] ლიდერებზე მისი გავლენის გამოყენება კონფლიქტის გადაჭრის მიდგომების ხელშეწყობად, რაც ყველა მხარის ინტერესებს უნდა აბალანსებდეს.

უკრაინელი და მოლდოველი ბიზნესწრეები დახელოვნებული არიან DMR-ს პარალელური ეკონომიკის საკუთარი მიზნით გამოყენებაში, რეგულარულად მონაწილეობენ უკანონო ექსპორტსა და სხვა უკანონო საქმიანობაში. ზოგიერთმა გამოიყენა პოლიტიკური გავლენა იმ გადაწყვეტილებათა თავიდან აცილების, გაჭიანურებისა თუ ხელის შეშლისათვის, რომელთაც შეეძლოთ აეძულებინათ DMR-ს ლიდერები, წასულიყვნენ დათმობებზე. ეს მოიცავს საგადასახადო და საბაჟო რეგულაციების გაუქმებას, რომელიც უკანონო ექსპორტის ბიზნესისთვის იყო ხელსაყრელი, ეფექტიანი სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის დაწესებას, და, ასევე, ბაჟებისა და გადასახადების აკრეფას შიდა „საზღვრებზე“.

რუსეთის მხარდაჭერით, უკრაინული და მოლდოვური ეკონომიკური ელიტა, DMR-ს ლიდერები გახდნენ უფრო ხისტი. აღიარებენ რა, რომ საერთაშორისო აღიარება მოსალოდნელი არ არის, მთავარი ფოკუსი კეთდება *de facto* დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, სამწუხაროდ, DMR-ს ლიდერები, რომლებიც მოლდოვასა და DMR-ს საგადასახადო და საბაჟო სისტემებში არსებულ წინააღმდეგობებს იყენებენ, კვლავ აგრძელებენ სერიოზული სარგებელის მიღებას კანონიერი თუ უკანონო ეკონომიკური საქმიანობიდან, მათ შორის უკანონო ექსპორტის, კონტრაბანდისა და იარაღის წარმოებიდან.

DMR გახდა თავისთავადი აქტორი თავისი ინტერესებითა და სტრატეგიით, დამოუკიდებელი პოლიტიკური მანევრირების შეზღუდული ფარგლებით, მაგრამ ეკონომიკური და სხვა კავშირების ფართო ქსელით რუსეთში, მოლდოვასა და უკრაინაში. თუმცა, ის კვლავ რჩება ძლიერად დამოკიდებული რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე და არ სურს თავი ჩაიყენოს პოზიციაში, სადაც რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედება მოიწევდა. რუსეთისა და DMR-ს ინტერესები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში DMR-ს ლიდერებმა შეძლეს შემუშავებინათ და განეხორციელებინათ სტრატეგია რუსეთის წნეხის თავის ასარიდებლად, გაეჭიანურებინათ მოლაპარაკებები, ხელი შეეშალათ რუსეთის პოლიტიკისათვის თანამედიატორებს შორის არსებული შეუთანხმებლობის გამოყენებით და გარეშე დახმარების ალტერნატიული წყაროების კაპიტალიზაციით.

რუსეთის ყველაზე ბოლოდროინდელი მცდელობები განეხორციელებინა კონფლიქტის დარეგულირება - კოზაკის მემორანდუმი 2003 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში - აჩვენებს, რომ მისი გავლენა მართალია განგრძობადია, მაგრამ უსაზღვრო არ არის. რუსეთს არ ძალუძს კონფლიქტის მოგვარების დაჩქარება მოლდოვასა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე, განსაკუთრებით კი ისეთი მოთამაშეების გარეშე, როგორებიც არიან OSCE, ევროპის კავშირი და შეერთებული შტატები. ყოვლისმომცველი მოწესრიგება მოითხოვს ისეთ მიდგომას, რომელსაც შეუძლია ხიდი გადოს იმ განსხვავებებს შორის, რომელიც არსებობს ძირითად საერთაშორისო აქტორებს შორის და იმავდროულად სამართლიანად გაითვალისწინებს ორივე მხარის - მოლდოვას მთავრობისა და DMR-ს ინტერესებს.

მიუხედავად იმის გაცნობიერებისა, რომ რუსეთს არ უნდა დაუპირისპირდნენ, ევროპაში ინტეგრაციის მიზიდულობის ძალა მოლდოვაში საკმაოდ ძლიერია. ბოლო დროს თვით მისმა კომუნისტმა ლიდერებმაც კი ხაზი გაუსვეს ამ მიზნის მისაღწევად მეტის გაკეთების საჭიროებას. ქვეყანა იშვიათად გამოჩენილა დასავლური რადარის ეკრანებზე უკანასკნელი დეკადის განმავლობაში, თუმცა, ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების მხრიდან საჭიროა მეტი თანადგომის დემონსტრაცია, თუკი იგი ეწინააღმდეგება რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას DMR-ს მიმართ და მოლაპარაკების პროცესისადმი დნესტრისპირეთის ობსტრუქციას. საერთაშორისო აქტორები ასევე უნდა დაეხმარონ მოლდოვას თავისი საზღვრების დაცვაში უკანონო ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, რაც ასეთ გაცხარებულ მოქმედებებს იწარქნებს დნესტრისპირეთში და ზიანს აყენებს მის ევროპელ მეზობლებსაც.

კონფლიქტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრას, თუ საერთაშორისო თანამეგობრობა გამოიყენებს თავის გავლენას რუსეთზე ორმხრივად, და ამასთან OSCE-ს მეშვეობით. მხოლოდ მაშინ, და თავისი მხრიდან არსებითად უკეთ განსაზღვრული ვალდებულებებით პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების სფეროში, შეძლებს მოლდოვა განახორციელოს თავისი ევროპული წადილი. ყოვლისმომცველი სტრატეგია რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვას მიმართ ევროპის კავშირის ფართო ევროპული პოლიტიკის ქრილში, გადამწყვეტი იქნება პირველ ეტაპზე.“

72. თავის 2006 წლის 17 აგვისტოს მოხსენებაში „მოლდოვას ბუნდოვანი მომავალი“ (Europe Report № 175), ICG-მ აღნიშნა (ამონარიდები სახელმძღვანელო შეჯამებიდან):

“მოლდოვას მოლოდინის შესაბამისად, გაერთიანდეს ევროპის კავშირში 2007 წელს, ევროპის კავშირს ექნება საზიარო საზღვარი მოლდოვასთან, სუსტ სახელმწიფოსთან, რომელიც

გაყოფილია კონფლიქტის შედეგად და ჭირივით მოსდებია კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული. მოლდოვას ლიდერებმა განაცხადეს თავიანთი სურვილი ევროპის კავშირში გაერთიანების თაობაზე, მაგრამ მისი ვალდებულებები ევროპული ღირებულებების მიმართ საეჭვოა, და მისმა მცდელობებმა, გადაეჭრა დავა დნესტრისპირეთის მოწყვეტილ რეგიონთან ვერ დაასრულა ზიანის მომტანი გამოუვალი მდგომარეობა, რომელიც 15 წელია უწყევად გრძელდება. ახალგაზრდობა უნდობლად უმზერს ქვეყნის მომავალს და დიდი სისწრაფით ტოვებს მას. იმისათვის, რათა მოლდოვა გახდეს ევროპის კავშირის სამეზობლოს სტაბილური ნაწილი, აუცილებელია გაცილებით უფრო ძლიერი საერთაშორისო საქმიანობა არა მარტო კონფლიქტის მოსაგვარებლად, არამედ შიდა რეფორმებისათვის ბიძგის მისაცემად, რაც მას უფრო მიმზიდველს გახდის თავისი მოქალაქეებისათვის.

ევროპის კავშირისა და უკრაინის ორმა ბოლოდროინდელმა ინიციატივამ წარმოშვა იმედი, რომ ძალების თანაფარდობა სეპარატისტულ დავაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ევროპის კავშირის სასაზღვრო დახმარების მისიამ (EUBAM), რომელიც 2005 წლის ბოლოს ამოქმედდა, მნიშვნელოვანი დახმარება გასწია მოლდოვა-უკრაინის საზღვრის დნესტრისპირეთის სეგმენტზე კონტრაბანდისათვის ლაგამის ამოღების საქმეში, რაც დნესტრისპირეთის დედაქალაქის, ტირასპოლის, ხელისუფლებისათვის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. იმავდროულად, დნესტრისპირეთის ექსპორტის რეგულირების სფეროში მოლდოვას დასახმარებლად კიევის მიერ განხორციელებულმა ახლებურმა საბაჟო რეჟიმმა შეამცირა მოწყვეტილი რეგიონების ბიზნესმენთა შესაძლებლობა, ემოქმედათ მოლდოვასაგან ფარულად და დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მათ.

მაგრამ ოპტიმიზმი, რომ ეს ღონისძიებები აუცილებლად აიძულებდა დნესტრისპირეთს წასულიყო დიპლომატიურ დათმობებზე, როგორც ჩანს, ყალბია. მიუხედავად იმისა, რომ EUBAM-მა მიაღწია სერიოზულ წარმატებას, კერძოდ მისი მცირე ზომისა და ბიუჯეტის გამო, ფართოდ გავრცელებული კონტრაბანდა ისევ გრძელდება. არც უკრაინულ საბაჟო რეჟიმს ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა დნესტრისპირელი ბიზნესმენებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ, ისევე როგორც წარსულში, კვლავ ახერხებენ სარგებლიან სავაჭრო საქმიანობას. გარდა ამისა, შიდა პოლიტიკურმა განუსაზღვრელობამ ეჭვის ქვეშ დააყენა საკითხი, გააგრძელებს თუ არა კიევი ახალი რეგულაციების მოქმედებას.

რუსეთი ზრდის დნესტრისპირეთის მხარდაჭერას ეკონომიკური დახმარებითა და მოლდოვას წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენებით, მათ შორის, აკრძალვის დაწესებით ღვინის ექსპორტზე, რაც მოლდოვასათვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მოსკოვი უარს აცხადებს დნესტრისპირეთიდან ჯარის გამოყვანაზე, რომელიც იქ საბჭოთა კავშირის დროიდან იმყოფება და რომლის არსებობაც სტატუს ქვოს შენარჩუნებას ემსახურება. რუსეთის მხარდაჭერით, დნესტრისპირეთის ლიდერს, იგორ სმირონოვს მცირე განზრახვა გააჩნია წავიდეს რაიმე დათმობაზე დამოუკიდებლობისაკენ აღებული გეზის საკითხში. საერთაშორისო მოლაპარაკებები აღარსად მიმდინარეობს, მიუხედავად ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების დამკვირვებლის სტატუსით ჩართულობისა 2005 წლიდან. თუმცა გარკვეული ურთიერთგაგება იქნა მიღწეული კონფლიქტის მოგვარების საკითხში ავტონომიურობის ხარისხთან დაკავშირებით, მაგრამ მოლდოვა ინარჩუნებს თავის პოზიციას რათა დნესტრისპირეთის რეჟიმთან შეუგუებლობა დაადასტუროს.“

**73. თავის ანგარიშში სახელწოდებით „თავისუფლება 2009 წლის მსოფლიოში“ Freedom House-მა აღნიშნა, მათ შორის:**

“მოლდოვამ უარყო რუსეთის მიერ მომზადებული ფედერაციის გეგმა 2003 წლის ნოემბერში, რამდენადაც მას ხალხის პროტესტი მოჰყვა. უკანასკნელი მრავალმხრივი საუბრები 2006 წლის დასაწყისში კრახით დასრულდა, და 2006 წელს დნესტრისპირეთში ჩატარებულმა რეფერენდუმის მონაწილეებმა გადაჭარბებული ხმებით დაადასტურეს დამოუკიდებლობის კურსი მომავალში რუსეთში სავარაუდო გაერთიანების მიზნით, თუმცაღა, ხმის მიცემის

კანონიერება არ ყოფილა აღიარებული არც მოლდოვასა და არც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

5+2 ფორმატით აქტიური მოლაპარაკებების არარსებობის პირობებში, ვორონინმა წამოიწყო ცალმხრივი მოლაპარაკებები რუსეთთან და გადადგა არაერთი ნაბიჯი საიმისოდ, რომ მოლდოვას საგარეო პოლიტიკა კრემლის ხაზთან შესაბამისობაში მოეყვანა. 2008 წელს, მან დაიყოლია რუსეთი მიეღო წინადადება, რომლის მიხედვითაც დნესტრისპირეთი მოლდოვას შემადგენლობის ფარგლებში მიიღებდა არსებით ავტონომიას, ძლიერ და დამოუკიდებელ წარმომადგენლობას მოლდოვას პარლამენტში და ამასთანავე, მოლდოვადან გამოყოფის უფლებას, თუკი მოლდოვა ოდესმე რუმინეთთან გაერთიანებას გადაწყვეტდა. გარდა ამისა, დაცული იქნებოდა რუსულ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები, ხოლო რუსული ჯარები შეიცვლებოდა სამოქალაქო დამკვირვებლებით. ვორონინმა რუსეთთან თავისი სეპარატული კონსულტაციების დასაცავად განაცხადა, რომ ნებისმიერი გადაჭრა პრობლემისა დასრულებლობა 5+2 ფორმატის მეშვეობით.

დნესტრისპირეთის საკითხი განსაკუთრებით გადაუდებელი გახდა 2008 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოკლე ბრძოლა იქონია საქართველოსთან და აღიარა ორი მოწყვეტილი რეგიონის დამოუკიდებლობა. რუსმა მოხელეებმა განაცხადეს, რომ არ გეგმავდნენ PMR-ს [“MRT”] აღიარებას, თუკი მოლდოვა არ დაადგებოდა საქართველოს მიერ არჩეულ კონფრონტაციულ გზას. მოლდოვამ თავის მხრივ უარყო ამგვარი შედარება და გაიმეორა თავისი ვალდებულება მშვიდობიანი მოლაპარაკებების შესახებ. ზოგიერთმა ექსპერტმა გამოთქვა შეშფოთება, რომ რუსეთს, ცალმხრივი მოლაპარაკებების დროს, შეიძლებოდა მოლდოვასათვის შეეთავაზებინა კონფლიქტის მოწესრიგების უხეში მოდელი და შემდეგ ელიარებინა PMR, თუკი მოლდოვა ამ მოდელს არ მიიღებდა.

დნესტრისპირეთის პრეზიდენტის იგორ სმირნოვის ურთიერთობა ვორონინთან წლების განმავლობაში დაძაბულია, რამდენადაც მოლდოვას ლიდერი საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდა სმირნოვის წარმომადგენლებთან და გამოხატავდა აშკარა იმედგაცრუებას მათთან. 2001 წლის შემდეგ ორი ლიდერი ერთმანეთს შეხვდა პირველად აპრილში, შემდეგ კი დეკემბერში. აპრილის შეხვედრიდან რამდენიმე დღეში რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ არაპირდაპირ გამოთქვა პერსპექტივა იმგვარი დანაწილებისა, სადაც უკრაინა შეიერთებდა დნესტრისპირეთს, ხოლო რუმინეთი მოლდოვას, შეაგულიანა ვორონინი დაედანაშაულებინა სმირნოვი მოლაპარაკებების საბოტაჟისათვის. ამასობაში, რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი ცალ-ცალკე შეხვდა ვორონინსა და სმირნოვს წლის განმავლობაში...

#### *პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები*

დნესტრისპირეთის მოსახლეობას არა აქვს შესაძლებლობა თავისი ლიდერი აირჩიოს დემოკრატიულად, რამდენადაც ვერ იღებს თავისუფალ მონაწილეობას მოლდოვურ არჩევნებში...

კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული სერიოზული პრობლემაა დნესტრისპირეთში...

მედიაგარემო შეზღუდულია...

რელიგიური თავისუფლებანი შეზღუდულია...

მართალია ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს მოლდოვურს ლათინური დამწერლობის გამოყენებით, მაგრამ ეს პრაქტიკა შეზღუდულია. მოლდოვური ენა და ლათინური დამწერლობა ასოცირებულია მოლდოვას ერთიანობისადმი მხარდაჭერასთან, ხოლო რუსული ენა და კირილიცა კი - სეპარატისტულ მიზნებთან. მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს აგზავნიან სკოლებში, რომლებიც ლათინურ დამწერლობას იყენებენ, და თავად სკოლები, განიცდიან ჩვეულ შევიწროებას უშიშროების სამსახურის მხრიდან.

ხელისუფლება მკაცრად ზღუდავს შეკრების თავისუფლებას და იშვიათად იძლევა სავალდებულო ნებართვას სახალხო პროტესტის გამოსახატად...

სასამართლო აღმასრულებლის სამსახურშია ჩაყენებული და ძირითადად ხელისუფლების ნება-სურვილის შემსრულებელია...

ხელისუფლება ეწევა ეთნიკური მოლდოველების დისკრიმინაციას, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის 40%-ს. სარწმუნოდაა მიღებული, რომ რუსები და უკრაინელები ერთობლიობაში მოსახლეობის მცირე უმრავლესობას ქმნიან, და რეგიონის ყოველ მესამე მაცხოვრებელს, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გააჩნია რუსული პასპორტი.“

### III. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი

#### A. საერთაშორისო სამართლის მასალები, რომლებიც შეეხება უკანონო ქმედებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას

1. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული მუხლების პროექტი საერთაშორისო არამართლზომიერი აქტებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ

74. საერთაშორისო სამართლის კომისიამ (ILC) 2001 წლის აგვისტოში მიიღო თავისი მუხლების პროექტი (“Draft Articles”) საერთაშორისო არამართლზომიერი აქტებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ. მუხლების პროექტის მე-2 თავის მე-6 და მე-8 მუხლებში აღნიშნულია:

“ მუხლი 6: ორგანოს ქმედება, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემულია სხვა სახელმწიფოს მიერ

ორგანოს ქმედება, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემულია სხვა სახელმწიფოს მიერ, ჩაითვლება წინა სახელმწიფოს ქმედებად, თუ ეს ორგანო მოქმედებს იმ სახელმწიფოს სახელისუფლო ელემენტების განხორციელებისას, რომლის განკარგულებაშიც ის იმყოფება.

მუხლი 8: ქმედება, რომელსაც წარმართავს ან აკონტროლებს სახელმწიფო

პირის ან პირთა ჯგუფის ქმედება ჩაითვლება სახელმწიფოს ქმედებად, თუ პირი ან პირთა ჯგუფი ფაქტობრივად ახორციელებენ ინსტრუქციას, ან მოქმედებენ ამ სახელმწიფოს მითითებით ან კონტროლით ამ ქმედების განხორციელებისას.“

2. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) პრეცედენტული სამართალი

75. თავის საკონსულტაციო აზრში “სამართლებრივი შედეგები სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ყოფნის გაგრძელებით, მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276 (1970) რეზოლუციისა“ („Legal consequences for States of the continued presence of South Africa in Namibia, notwithstanding Security Council resolution 276 (1970)”), ICJ-მ, საერთაშორისო სამართლის ვალდებულებების საფუძველზე უკანონო ვითარების დასასრულებლად, დაადგინა:

“117. მივიდა რა ამ დასკვნამდე, სასამართლო ახლა მიმართავს საკუთარ თავს იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც სახელმწიფოებისათვის წამოიჭრება სამხრეთ აფრიკის მუდმივი ყოფნით ნამიბიაში, მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუციისა. გაერთიანებული ერების უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული სავალდებულო

განსაზღვრება, რომ ვითარება უკანონოა, ვერ დარჩება შედეგების გარეშე. როდესაც სასამართლო ამგვარი ვითარების წინაშე დგას, იგი ვერ შეასრულებს მართლმსაჯულების თავის მოვალეობას, თუ იგი არ განაცხადებს, რომ სახეზეა ვალდებულება, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების წევრთათვის, დასასრულამდე მიიყვანონ ეს ვითარება. როგორც ამ სასამართლომ დაადგინა თავის ერთ-ერთი გადაწყვეტილების მითითებით, რომელმაც ვითარება საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ გამოაცხადა: „ეს გადაწყვეტილება გულისხმობს სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, უკანონო ვითარების დასასრულამდე მიყვანას“ (I.C.J. Reports 1951, p. 82).

118. სამხრეთ აფრიკას, რომელიც პასუხისმგებელია იმგვარი ვითარების შექმნისა და შენარჩუნებისათვის, რომელიც სასამართლომ მართებულად მიიჩნია უკანონოდ, ეკისრება ვალდებულება დასრულებამდე მიიყვანოს იგი. ამიტომ მისი ვალდებულება გამოიყვანოს თავისი ადმინისტრაცია ნამიბიიდან. არსებული უკანონო ვითარების შენარჩუნებით, და ტერიტორიის ოკუპაციისათვის ტიტულის გარეშე, სამხრეთ აფრიკა გამოიწვევს საერთაშორისო პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშობა საერთაშორისო ვალდებულებების განგრძობადი დარღვევის საფუძველზე. იგი რჩება ანგარიშვალდებული საერთაშორისო ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევისათვის, ისევე როგორც, ნამიბიის ხალხთა უფლებების დარღვევისათვის. ფაქტი, რომ სამხრეთ აფრიკას მეტი აღარ გააჩნია ტერიტორიის ადმინისტრირების რაიმე უფლება, არ ათავისუფლებს მას ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სხვა სახელმწიფოების მიმართ ამ ტერიტორიაზე თავისი ძალაუფლების განხორციელებასთან მიმართებაში. ტერიტორიის ფიზიკური კონტროლი, და არა ტიტულის სუვერენულობა და ლეგიტიმურობა, არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველი ქმედებებისათვის, რომელიც ზიანს აყენებს სხვა სახელმწიფოებს.“

76. საქმეში, რომელიც შეეხებოდა გენოციდის თავიდან აცილებისა და სასჯელის თაობაზე კონვენციის გამოყენებას (*ბოსნია და ჰერცეგოვინა სერბიისა და მონტენეგროს წინააღმდეგ (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*), 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ICJ-მ აღნიშნა:

“391. პირველი საკითხი, რომელსაც ეს არგუმენტი წამოჭრის, ისაა, შესაძლებელია თუ არა პრინციპულად, სახელმწიფოს მიეწეროს პირის ან პირთა ჯგუფის ქცევა, ვისაც მართალია არ გააჩნია სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ ფაქტობრივად მოქმედებს სახელმწიფოს ისეთი მკაცრი კონტროლის ქვეშ, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ მის ორგანოებად სახელმწიფოსათვის მისი მიწერის განზრახვით, რომელიც საქმეს მიიყვანს არამართლზომიერი საერთაშორისო ქმედებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობამდე. სასამართლომ ფაქტობრივად უკვე განიხილა ეს საკითხი და გასცა მას პასუხი თავისი 1986 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ნიკარაგუაში და ნიკარაგუას წინააღმდეგ სამხედრო და პარა სამხედრო საქმიანობას (*ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ (Nicaragua v. United States of America)*) (არსებითი გადაწყვეტილება, I.C.J. Reports 1986, pp. 62-64). გადაწყვეტილების 109-ე პარაგრაფში სასამართლომ აღნიშნა, რომ მან უნდა

„განსაზღვროს ... გულისხმობდა თუ არა წინააღმდეგობის ჯგუფის (contras) ურთიერთობა შეერთებული შტატების მთავრობასთან, ერთი მხრივ, ისეთ ძლიერ დამოკიდებულებას, და მეორე მხრივ, ისეთი კონტროლის ქვეშ ყოფნას, რომ მართებული იყოს, სამართლებრივი მიზნებისათვის, ამ ჯგუფის გათანაბრება შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოსთან, ანდა მისი მიჩნევა ისეთ ჯგუფად, რომელიც მის სასარგებლოდ მოქმედებდა.“ (p. 62).

შემდეგ, მის გამგებლობაში არსებული ინფორმაციის განხილვის შედეგად, სასამართლო ადგენს, რომ „არ არსებობს აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ შეერთებული შტატები ფაქტობრივად ახორციელებდა ისეთი ხარისხის კონტროლს ყველა სფეროში, რომ, გამართლებულად მივიჩნიოთ შეფასება, რომ წინააღმდეგობის ჯგუფი მოქმედებდა მის სასარგებლოდ“ (para. 109), და ასკვნის, რომ სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებები საკმარისი არ არის შეერთებულ შტატების დახმარებაზე (ჯგუფის) სრული დამოკიდებულების საჩვენებლად“, რის

გამოც სასამართლო ვერ იტყვის, რომ წინააღმდეგობის ჯგუფის ძალები, სამართლებრივი მიზნებისათვის, შეიძლება გათანაბრებულ იქნეს შეერთებული შტატების ძალებთან“. (pp. 62-63, para. 110).

392. ციტირებული პასაჟები მოწმობს, რომ სასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, პირი, ან პირთა ან ერთეულების ჯგუფი, საერთაშორისო პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, შესაძლებელია გათანაბრებული იქნენ სახელმწიფო ორგანოებთან მაშინაც კი, თუ ასეთი სტატუსი არ გამოდინარეობს შიდა სამართლიდან, რამდენადაც, ასეთ დროს პირი, ან პირთა ან ერთეულების ჯგუფი მოქმედებენ სახელმწიფოსადმი „სრული დამოკიდებულების“ პირობებში, რომლისთვისაც ისინი მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისია, რომ საკითხს არ შევხედოთ მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის კუთხით, რათა ჩავწვდეთ რეალურობას ურთიერთობისა ქმედების ჩამდენ პირსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელთანაც იგი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ სხვა არავინაა, თუ არა მისი აგენტი. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტა სახელმწიფოებს მისცემდა პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას, ისინი აირჩევდნენ პირებისა თუ სხვა ერთეულების გამოყენებით მოქმედებას, რომელთა ნაგულები დამოუკიდებლობაც სრული ფიქცია იქნებოდა.

393. თუმცა, პირის, ან პირთა ან ერთეულების ჯგუფის გათანაბრება სახელმწიფო ორგანოებთან, როდესაც მათ არ გააჩნიათ ასეთი სტატუსი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მოხდეს. ამისათვის საჭიროა მათზე განსაკუთრებით მაღალი ხარისხის კონტროლის ფაქტის დამტკიცება, ისეთი ურთიერთობა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებაში დახასიათებულია როგორც „სრული დამოკიდებულება“...

ICJ-მ მიიჩნია, რომ სერბია არ იყო პირდაპირ პასუხისმგებელი 1992-1995 წლების ბოსნიის ომის დროს განხორციელებული გენოციდისათვის. ამის მიუხედავად, მან დაადგინა, რომ სერბიამ დაარღვია თავისი პოზიტიური ვალდებულება, არ დაეშვა გენოციდი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ღონისძიებების გაუტარებლობით, შეეჩერებინა დაწყებული გენოციდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სრებრენიცაში 1995 წლის ივლისში, და ასევე თავის უარით, ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისათვის განსასჯელად გადაეცა რატკო მლადიკი, რომელსაც ბრალი ედებოდა გენოციდის ჩადენასა და გენოციდში თანამონაწილეობისათვის.

## **B. ხელშეკრულების დებულებები, რომლების შეეხება განათლების უფლებას**

### *1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948*

#### *77. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი მიუთითებს:*

“(1) ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება უნდა იყოს უფასო, სულ მცირე დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპებზე. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა გახდეს ჩვეულებრივ შესაძლებელი, და უმაღლესი განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი დამსახურებისა და მიხედვით.

(2) განათლება უნდა ემსახუროდეს ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერებას. იგი ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ყველა ერს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

(3) მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება აირჩიონ განათლების ესა თუ ის სახე თავიანთი შვილებისათვის.“



## 2. კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1960

78. ზემოაღნიშნული კონვენცია, რომელიც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ თავის მე-11 სესიაზე 1960 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, 1-ლ, მე-3 და მე-5 მუხლებში ითვალისწინებს:

### “მუხლი 1.

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „დისკრიმინაცია“ გულისხმობს ნებისმიერი განსხვავების, გამონაკლისის, შეზღუდვისა ან უპირატესობის დაწესებას რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეკონომიკური მდგომარეობის ან დაბადების საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს განათლების სფეროში თანაბარი მოპყრობის არარად ქცევას ან შესუსტებას და კერძოდ:

(a) პირის ან პირთა ჯგუფისათვის განათლების რომელიმე ტიპის ან რომელიმე დონისადმი ხელმისაწვდომობის აღკვეთას;

(b) პირის ან პირთა ჯგუფის შეზღუდვას განათლების დაბალი სტანდარტით;

(c) პირის ან პირთა ჯგუფისათვის განათლების ცალკე სისტემისა თუ ინსტიტუციების შექმნასა და შენარჩუნებას, რაც ექვემდებარება ამ კონვენციის მე-2 მუხლის დებულებებს; ან:

(d) პირის ან პირთა ჯგუფის ჩაყენებას ისეთ მდგომარეობაში, რაც შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან. .

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „განათლება“ შეეხება განათლების ყველა სახესა და დონეს და მოიცავს განათლებისადმი ხელმისაწვდომობას, განათლების სტანდარტსა და ხარისხს, და იმ პირობებს, რომელიც მისთვის არის შექმნილი.

### მუხლი 3

იმისათვის, რათა აღმოიფხვრას და თავიდან იქნეს აცილებული დისკრიმინაცია კონვენციის გაგებით, მხარე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას:

(a) გააუქმონ ნებისმიერი ისეთი კანონისმიერი დებულება და ადმინისტრაციული ინსტრუქცია და შეწყვიტონ ისეთი ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომლებიც იწვევს დისკრიმინაციას განათლებაში;

...

### მუხლი 5

1. ამ კონვენციის მხარე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ:

(a) განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერებისაკენ. იგი ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ყველა ერს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნების საქმეში;...”

## 3. საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966

79. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-13 მუხლი მიუთითებს:

“1. ამ კონვენციის მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ ყველას აქვს განათლების უფლება; ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისაკენ და მისი ღირსების დაცვისაკენ, და უნდა აძლიერებდეს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ საშუალება უნდა მისცეს ყველა პირს ქმედითი მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ საზოგადოებაში, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ყველა ერს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

2. ამ კონვენციის მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ ამ უფლების სრულყოფილად განხორციელების მიზნებისათვის:

- (a) დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო, ყველასათვის შესაძლებელი და უფასო;
- (b) საშუალო განათლება თავისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა იყოს ჩვეულებრივ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველასათვის ყველა შესაბამისი საშუალებით, და კერძოდ, თავისუფალი განათლების მზარდი შემოღებით;
- (c) უმაღლესი განათლება უნდა იყოს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, მათი უნარიანობის საფუძველზე, ყველა შესაბამისი საშუალებით და კერძოდ, თავისუფალი განათლების მზარდი შემოღებით;
- (d) საშუალო განათლება რაც შეიძლება მეტად უნდა წახალისდეს და გახდეს ინტენსიური იმ პირებისათვის, ვინც ვერ მიიღო ან ვერ დაასრულა თავისი დაწყებითი განათლება;
- (e) სასკოლო სისტემის განვითარება ყველა დონეზე აქტიურად უნდა განხორციელდეს, უნდა დაფუძნდეს ამხანაგობების ადეკვატური სისტემები, ხოლო მატერიალური პირობები და სკოლის პერსონალი მუდმივად უნდა უმჯობესდებოდეს;

3. ამ კონვენციის მხარე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, პატივი მიაგონ მშობელთა, და როცა საჭიროა, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, აირჩიონ სხვა სკოლა თავიანთი შვილებისათვის იმის გარდა, რაც დაფუძნებულია საჯარო ხელისუფლების მიერ, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების ისეთივე მინიმალური სტანდარტები, რაც დადგენილი ან მოწონებულია საჯარო ხელისუფლების მიერ, და, ასევე უფლება, თავიანთი შვილებისათვის უზრუნველყონ რელიგიური და მორალური განათლება საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

4. ამ მუხლის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინდივიდებისა თუ ორგანიზაციის იმ თავისუფლებაში ჩარევა, დააფუძნონ და უხელმძღვანელონ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარება ამ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ პრინციპებსა და მოთხოვნას, რომ ასეთ დაწესებულებებში მიღებული განათლება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. “

*4. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1966*

*80. გაერთიანებული ერების ზემოაღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლში აღნიშნულია:*

“ ამ კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი ძირითადი ვალდებულებების შესაბამისად, მხარე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია, და მიუხედავად რასასთან, ფერთან, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებული ნიშნებისა, ყველასათვის უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობა, განსაკუთრებით კი შემდეგი უფლებებით სარგებლობისას:

...

(e) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, კერძოდ:

...

(v) განათლებისა და დახელოვნების უფლება,

## 5. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, 1989

81. გაერთიანებული ერების ზემოაღნიშნული კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებში აღნიშნულია:

### “მუხლი 28

1. მხარე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას, და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების მხარდი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ისინი კერძოდ:

(a) დაწყებით განათლებას გახდიან სავალდებულოს, ყველასათვის ხელმისაწვდომსა და უფასოს.

(b) ხელს შეუწყობენ საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმის განვითარებას, მათ შორის ზოგად და პროფესიულ განათლებას, გახდიან მას შესაძლებელსა და ხელმისაწვდომს ყველა ბავშვისათვის, და გაატარებენ შესაბამის ღონისძიებებს უფასო განათლების შემოსაღებად და უზრუნველყოფენ ფინანსურ დახმარებას საჭიროების შემთხვევაში;

(c) უმაღლეს განათლებას ყველა შესაბამისი საშუალებით გახდიან ყველასათვის ხელმისაწვდომს უნარიანობისა და მიხედვით;

(d) საგანმანათლებლო და პროფესიულ ინფორმაციას, ასევე გზამკვლევებს გახდიან ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომს; ;

(e) გაატარებენ ღონისძიებებს სკოლებში რეგულარული დასწრების უზრუნველსაყოფად და გაცდენების დონის შესამცირებლად;

2. მხარე-სახელმწიფოები გაატარებენ ყველა შესაბამის ღონისძიებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასკოლო დისციპლინა ხორციელდებოდეს ფორმით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბავშვის ღირსებასთან და ამ კონვენციის მოთხოვნებთან;

3. მხარე-სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და წახალისებენ განათლების საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ურთიერთობას, განსაკუთრებით, მთელს მსოფლიოში უწიგნურობისა და წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრაში წვლილის შეტანის, სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებისადმი ხელმისაწვდომობის გაადვილების თვალსაზრისით. ამ მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს;

### მუხლი 29

1. მხარე-სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბავშვის განათლება უნდა ემსახუროდეს:

(a) ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭისა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების ყველაზე უფრო სრულად განვითარებას;

(b) ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებას, გაერთიანებული ერების ქარტიის პრინციპების დაცვის გასაძლიერებლად;

(c) ბავშვის მშობლების უფლებების დაცვას, ბავშვის კულტურული იდენტურობის, ენისა და ღირებულებების დაცვას, იმ ქვეყნების ეროვნული ღირებულებებისათვის მიმართ პატივისცემის

ჩამოყალიბებას, სადაც ცხოვრობს ან საიდანაც არის წარმოშობით; აგრეთვე იმ ცივილიზაციების მიმართ, რომლების განსხვავდება მისი საკუთარისაგან;

(d) ბავშვის მომზადებას თავისუფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობით ცხოვრებისათვის, შეგნებულობის, მშვიდობის, შემწყნარებლობის, სქესთა თანასწორობის და ხალხებს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებსა თუ მკვიდრ მოსახლეობას შორის მეგობრობის სულისკვეთებით;

(e) ბუნებრივი გარემოს მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას;

2. ამ მუხლი არცერთი ნაწილი, ისევე როგორც ან 28-ე მუხლი, არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ინდივიდის ან რაიმე ორგანოს თავისუფლებაში ჩარევა, დააფუძნოს ან წარმართოს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მუდამ ექვემდებარება ამ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პრინციპების დაცვასა და იმ მოთხოვნას, რომ ამ დაწესებულებებში მიცემული განათლება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. “

## სამართალი

82. მოსარჩელები ასაჩივრებენ მათი სკოლების ძალდატანებით დახურვას “MRT”-ს ხელისუფლების მიერ და ამ ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს მათი შევიწროებისა და დაშინების მიზნით მათი მხრიდან მოლდოვურ/რუმინულ- ენოვანი სკოლის არჩევის გამო თავიანთი შვილებისათვის. სასამართლომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს, ხდება თუ არა საჩივრები, გასაჩივრებულ საკითხებთან მიმართებაში, ორივე მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით.

### I. იურისდიქცია

#### A. მხარეთა მოსაზრებანი

##### 1. მოსარჩელები

###### (a) მოლდოვას იურისდიქცია

83. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა ვერ ახორციელებს დნესტრისპირეთზე სრულ ქმედით კონტროლს, რეგიონი მაინც რჩება სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილად და შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოლდოვას.

84. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მოლდოვას პოზიტიური ვალდებულებები მათ მიმართ მოქმედებს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ დონეზე. მოლდოვა პასუხისმგებელი იყო გაეტარებინა ყველა შესაძლებელი ღონისძიება დნესტრისპირეთში, მის სუვერენულ ტერიტორიაზე, სამართლის უზენაესობის აღსადგენად. მას ასევე გააჩნდა პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა ყველა შესაძლებელი ღონისძიება მოსარჩელეთა მდგომარეობის გამოსასწორებლად და

დაეცვა მათი სწავლის უფლება და უფლება იმისა, რომ მათ შვილებს ესწავლათ სკოლებში, რომლებიც იყენებდნენ მოლდოვურ სახელმწიფო ენას. მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა ვერ ახორციელებდა ქმედით კონტროლს დნესტრისპირეთში, მას ნამდვილად გააჩნდა ხელთ სერიოზული საშუალებები პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროში, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ “MRT”-ს ხელისუფლებასთან მის იმჟამინდელ ურთიერთობაზე.

**(b) რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია**

85. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლების დახურვა განხორციელდა 2004 წელს, ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება *Ilascu*-ს საქმეზე (ზემოთ მითითებული). მათ აღნიშნეს, რომ სასამართლოს დასკვნები *Ilascu*-ს საქმის ფაქტებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთი ახორციელებდა გადამწყვეტ ზეგავლენას “MRT”-ზე, თანაბრად გამოიყენება ამ საქმეზე.

86. მოსარჩელებმა ხაზი გაუსვეს, რომ 2004 წლის შემდეგ, არ მომხდარა რუსეთის ჯარისა და აღჭურვილობის გამოყვანა, რომელიც დამოწმებული იქნებოდა სათანადოდ. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთი იმყოფება საიდუმლო გარიგებაში “MRT”-ს ლიდერებთან იარაღის მარაგის გამგებლობის საკითხში. 2003 წელს საკუთრივ რუსეთის მთავრობის მონაცემების მიხედვით, 2,200 რუსი ჯარისკაცი იყო რეგიონში დაბანაკებული და არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ეს მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთმა მათი არსებობა გამართლებულად მიიჩნია იარაღის მარაგის დასაცავად. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ როგორც ჯარისკაცების, ისე იარაღის იქ არსებობა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს. მოსარჩელებმა შემდეგ განაცხადეს, რომ არ არსებობდა იარაღის გატანისა ან ჯარის გამოყვანის რაიმე ცხადი ვალდებულება. პირიქით, რუსეთი აცხადებდა, რომ გამოტანა კონფლიქტის მოწესრიგების პირობას წარმოადგენდა. მოსარჩელეთა აზრით, რუსეთის სამხედრო ყოფნის გაგრძელება წარმოადგენდა მომავალი ინტერვენციის ფარულ მუქარას, რაც დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმით მოლდოვას მთავრობისა და ოპონენტების დაშინებას ემსახურებოდა.

87. მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ დნესტრისპირეთი დამოკიდებული იყო რუსეთიდან ენერგიის იმპორტზე, რუსულ ინვესტიციებზე, დახმარებასა და მასთან ვაჭრობაზე. რუსეთზე მოდიოდა “MRT”-ს ექსპორტის 18 % და იმპორტის 43,7%, ძირითადად ენერგიისა. “MRT” იხდიდა მის მიერ მოხმარებული გაზის 5%-ზე ნაკლებს, მაგრამ რუსეთი არაფერს აკეთებდა ვალების უკან დასაბრუნებლად. რუსეთი მოლდოვას კანონმდებლობის დარღვევით ახორციელებდა პირდაპირ ჰუმანიტარულ დახმარებას დნესტრისპირეთში, ძირითადად მოხუცებულთა პენსიებისათვის დახმარების ფორმით.

მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ 2007-2010 წლების პერიოდში დნესტრისპირეთისათვის გაწეული ფინანსური დახმარების საერთო რაოდენობა შეადგენდა USD 55 მილიონს.

88. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი დნესტრისპირეთს განიხილავდა, როგორც რუსეთის საგუშაგოს. მათ წარმოადგინეს მაგალითები დუმას წევრთა განცხადებებისა მოლდოვასაგან “MRT”-ს დამოუკიდებლობის მხარდამჭერის შესახებ და აგრეთვე აღნიშნეს 2012 წლამდე “MRT”-ს პრეზიდენტის იგორ სმირნოვის მოწოდებების თაობაზეც დნესტრისპირეთის რუსეთთან გაერთიანების შესახებ. მათ ასევე გაუსვეს ხაზი, რომ დნესტრისპირეთში მცხოვრებ დაახლოებით 120,000 ინდივიდს მიენიჭა რუსეთის მოქალაქეობა. 2005 წლის თებერვალში, „მოლდოვას მთავრობის მიერ დნესტრისპირეთში ვითარების გაუარესების მიზნით გატარებული ღონისძიებების საპასუხოდ“, დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვა აკრძალვის დაწესება მოლდოვურ ალკოჰოლისა და თამბაქოს პროდუქტებზე, მოლდოვასათვის (გარდა დნესტრისპირეთისა) ენერგიის მიწოდება საერთაშორისო ფასებით; და ასევე, ვიზების დაწება მოლდოველებისათვის (გარდა დნესტრისპირელებისა) რუსეთში ვიზიტისას. მოსარჩელებმა მიუთითეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნები, რომელთა მიხედვითაც ამ ღონისძიებებმა ერთობლიობაში იქონია უარყოფითი ეფექტი მოლდოვას ყოველწლიურ 2-3% ეკონომიკურ ზრდაზე 2006-2007 წლებში.

## 2. მოლდოვას მთავრობა

### (a) მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქცია

89. მოლდოვას მთავრობამ აღნიშნა, რომ *Ilaşcu*-ს (ზემოთ მითითებული) გადაწყვეტილების დასაბუთების თანახმად, მოსარჩელები ხვდებოდნენ მოლდოვას იურისდიქციის ფარგლებში, რამდენადაც ტერიტორიის მოთხოვნითა და მოსარჩელეთა უფლებების დაცვის მცდელობით, მოლდოვას ხელისუფლებამ აიღო მათ მიმართ პოზიტიური ვალდებულებების განხორციელების პასუხისმგებლობა. მოლდოვას მთავრობა კვლავ ამტკიცებს, რომ მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ იურისდიქცია დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მასზე ხელისუფლებისა და კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, ისინი აგრძელებენ *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებით დაწესებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას. მოლდოვას ხელისუფლებისათვის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად შორს ვრცელდებოდა ეს პოზიტიური ვალდებულებები, რომ მას სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოეწვია. ამ მიმართებით ისინი დაეყრდნენ *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაზე თანდართულ მოსამართლე სერ ნიკოლა ბრატცას ნაწილობრივ გამიჯნულ აზრს, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები როზაკისი, ჰედიგანი, თომასენი და პანტირუ.

**(b) რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია**

90. მოლდოვას მთავრობა მიიჩნევს, რომ საქმეზე *Al-Skeini* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], № 55721/07, 7 ივლისი 2011, დადგენილი პრინციპების თანახმად, ამ საქმეზე დადგენილი ფაქტები ხვდებოდა რუსეთის იურისდიქციის ფარგლებში სამხედრო ძალების ყოფნის განგრძობადობის გამო, რამაც ხელი შეუშალა კონფლიქტის მოგვარებას.

91. მოლდოვას მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მათ არ გააჩნდათ კოლბასნაში არსებულ იარაღის მარაგზე ხელმისაწვდომობა და ამდენად, არც რეალური ცოდნა იმ საბრძოლო მასალის რაოდენობის შესახებ, რომელსაც კვლავ ინახავდა რუსეთის ფედერაცია დნესტრისპირეთში. მათი აზრით, ძალზე რთული იყო აშკარა ზღვარის გავლება სამშვიდობო ძალების რუს ჯარისკაცებს, რომლების იქ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდნენ, და რუსულ ოპერატიულ ჯგუფს შორის (“ROG”), რომელიც დნესტრისპირეთში იყო დაბანაკებული იარაღის საწყობების დასაცავად. მათივე მტკიცებით, მხედველობაში რომ არცკი მიეღოთ სარდლების მაღალი დონე, რომლებიც პირდაპირ რუსეთიდან იყვნენ შერჩეულნი, დიდ რაოდენობას რიგითი ჯარისკაცებისა ორივე სამხედრო ძალაში წარმოადგენდნენ დნესტრისპირეთში მცხოვრები რუსი მოქალაქეები, რომლებიც სეპარატისტულ რეჟიმს უჭერდნენ მხარს. დაბოლოს, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ტირასპოლის სამხედრო აეროპორტი იმყოფებოდა რუსეთის კონტროლის ქვეშ და რომ “MRT”-ს ჩინოვნიკებს მისი თავისუფლად გამოყენება შეეძლოთ.

92. მოლდოვას მთავრობამ მიუთითა, რომ რუსეთის ჯარისა და საბრძოლო მასალის ყოფნა დნესტრისპირეთში ბლოკავდა კონფლიქტის მოგვარების მცდელობებს და სეპარატისტულ რეჟიმს ხელისუფლებაში ინარჩუნებდა. მოლდოვას ხელისუფლება ჩაყენებული იყო დაჩაგრულ მდგომარეობაში, რამდენადაც მას არ შეეძლო თავისუფლად ეწარმოებინა მოლაპარაკებები იმ მუქარის გარეშე, რომ რუსული ძალების გაყვანა გადაიდებოდა, როგორც ეს მოხდა მაშინ, როდესაც მოლდოვამ „კოზაკის მემორანდუმი“ (იხ. ზემორე 27-ე პარაგრაფი) უარყო. “MRT”-ს წინააღმდეგობა იარაღის გატანაზე არ წარმოადგენდა მის გატანასა ან განადგურებაზე უარის თქმაზე არავითარ მისაღებ გამართლებას რუსეთის მთავრობისათვის და რომ მას არ ჰქონდა უფლება, მიეღო ან დაყრდნობოდა ასეთი წინააღმდეგობის არსებობას. მოლდოვას ხელისუფლება მაინც მზად იყო თანამშრომლობისათვის, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც თანამშრომლობა გულისხმობდა შეუსაბამოდ მძიმე პირობებს, როგორსაც შეიცავდა „კოზაკის მემორანდუმი“. მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისო პარტნიორების აქტიურ ჩართულობას სასურველია უზრუნველყო რუსეთის იმ საკმაოდ მძიმე ტვირთის შემსუბუქება, რაც იარაღის მარაგის განადგურების პრაქტიკულ მოგვარებასთან იყო დაკავშირებული.

93. მოლდოვას მთავრობამ აღნიშნა, რომ “MRT”-ს ეკონომიკა სულდგმულობდა რუსეთსა და უკრაინაში პროდუქტების ექსპორტით; რეალური სავაჭრო ხაზი მოლდოვასა და “MRT”-ს შორის არ არსებობდა. მოსახლეობის მხოლოდ 20% იყო ეკონომიკურად აქტიური და რეგიონი მხოლოდ რუსეთის ფინანსური დახმარების შედეგად გადარჩა, რაც ვალების ჩამოწერითა და დოტაციების მიცემით განხორციელდა. მაგალითად, 2011 წელს “MRT”-მ რუსეთის მხრიდან ფინანსური დახმარების სახით მიიღო მთლიანობაში USD 20.64 მილიონი. 2011 წელს დნესტრისპირეთმა მოიხმარა USD 505 მილიონის ღირებულების გაზი, მაგრამ მისი მხოლოდ 4% (USD 20 მილიონი) გადაიხადა.

94. დაბოლოს, მოლდოვას მთავრობამ აღნიშნა, რომ “MRT”-ს პოლიტიკოსები მთლიანად ორიენტირებულები იყვნენ რუსეთზე მოლდოვას გვერდის ავლით. განხორციელდა არაერთი მაღალი დონის ვიზიტი რუსეთსა და დნესტრისპირეთს შორის და რუსეთის ხელმძღვანელი პოლიტიკოსების მხრიდან გამოითქვა არაერთი მათი მხარდამჭერი განცხადება. თუმცა, პოლიტიკური ვითარება მუდმივად ცვალებადი იყო და შესაბამისად, ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელება ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა.

### 3. რუსეთის მთავრობა

#### (a) მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქცია

95. რუსეთის მთავრობამ არ გააკეთა არავითარი კომენტარი მოცემულ საქმეში მოლდოვას იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით.

#### (b) რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია

96. რუსეთის მთავრობამ იმსჯელა იურისდიქციის საკითხში სასამართლოს მიდგომის თაობაზე, რომელიც მან *Ilaşcu-სა და Al-Skeini-ს* (ორივე ზემოთ მითითებული) საქმეებში დაადგინა. მათი მტკიცებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოების სურვილს, როგორც ეს ცხადად იყო კონვენციის 1-ლ მუხლში აღნიშნული, წარმოადგენდა იმგვარი მიდგომა, რომ 56-ე მუხლის საფუძველზე აშკარა დეკლარირების არარსებობის პირობებში, სახელმწიფოს იურისდიქცია მისი საკუთარი ტერიტორიული საზღვრებით უნდა შემოფარგლულიყო. როგორც ამის ალტერნატივა, საქმეზე *Banković* და *სხვები ბელგიისა და სხვა 16 ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ* ((dec.) [GC], № 52207/99, ECHR 2001-XII) სასამართლოს მიერ გამოყენებული მიდგომა წარმოადგენდა უფრო მართებულ ინტერპრეტაციას, რამდენადაც იგი აღიარებდა, რომ იურისდიქცია ექსტრა-ტერიტორიულად შეიძლება გავრცელებულიყო მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში. რუსეთის მთავრობის აზრით, ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იურისდიქცია შეიძლება გავრცელებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო სხვა ტერიტორიაზე ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს, რომელიც თავისი ხარისხით



ეკვივალენტური იყო იმ კონტროლისა, რომელსაც იგი თავის საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებდა მშვიდობიანობის დროს. ასეთად შეიძლება განხილულიყო შემთხვევები, როდესაც მხარე სახელმწიფო ახორციელებდა ოკუპაციას და ხანგრძლივად რჩებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ანდა როდესაც ტერიტორია იმართებოდა ისეთი მთავრობის მიერ, რომელიც შეიძლება განხილულიყო, როგორც შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ორგანო, იმ ტესტის შესაბამისად, რომელიც გამოიყენა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეში სახელწოდებით *საქმე, რომელიც შეეხება გენოციდის თავიდან აცილებისა და სასჯელის თაობაზე კონვენციის გამოყენებას* (*Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of Genocide*) (*ბოსნია და ჰერცეგოვინა სერბიისა და მონტენეგროს წინააღმდეგ* (იხ. ზემორე 76- პარაგრაფი). შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ მოცემულ შემთხვევაში რუსეთი ახორციელებდა თავის იურისდიქციას ტერიტორიაზე, რომელსაც მართავდა *de facto* მთავრობა, რომელიც არ წარმოადგენდა რუსეთის ორგანოს ან ინსტრუმენტს.

97. როგორც შემდგომი ალტერნატივა, რუსეთის მთავრობის მტკიცებით, მოცემული საქმე უნდა განესხვავებინათ წინანდელი საქმეებისაგან, რამდენადაც არ არსებობდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან რაიმე ექსტრატერიტორიული აქტის ჩადენის მტკიცებულება. ამის საპირისპიროდ, მაგალითად *Al-Skeini*-ს საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეთა ნათესავები ხვდებოდნენ გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ფარგლებში, რამდენადაც ისინი მოკლული იქნენ ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ. თვით *Ilaşcu*-ს საქმეშიც, სასამართლო დაეყრდნო არგუმენტთა ორ წყებას იმისათვის, რათა რუსული იურისდიქციის არსებობა დაედგინა: პირველი, რომ “MRT” ექვემდებარებოდა რუსეთის დომინანტურ გავლენას და რომ მოსარჩელები დააპატიმრეს და “MRT” -ს სატუსაღოს გადასცეს რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა. *Ilaşcu*-ს საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ რუსეთი პირდაპირ იყო დაპატიმრებაში ჩართული და, კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, არ განახორციელა საკმარისი ძალისხმევა მათ გასათავისუფლებლად. რუსეთის მთავრობამ გამოკვეთა ის გარემოება, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი დნესტრისპირეთში რუსული ძალების არსებობასა და მოსარჩელეთა სკოლებისადმი გამოყენებულ მოპყრობას შორის. პირიქით, რუსეთის მთავრობა ცდილობდა მოეგვარებინა სკოლების კრიზისი მედიატორის როლის შესრულების მეშვეობით. უფრო მეტიც. რუსეთის მთავრობის მტკიცებით, არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ რუსეთი ახორციელებდა ეფექტიან სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს დნესტრისპირეთში. სასამართლოს მიერ ამ საქმეში რუსეთის იურისდიქციის დადგენა იმის აღიარებას გულისხმობდა, რომ რუსეთი კონვენციის საფუძველზე პასუხისმგებელი იყო დნესტრისპირეთში ნებისმიერი დარღვევის გამო, იმის მიუხედავად, იმყოფებოდნენ თუ არა იქ მნიშვნელოვანი რუსული სამხედრო ძალები. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეცნო, რომ გასაჩივრებული ფაქტები,

კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე, ხვდებოდა რუსეთის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

98. რუსეთის მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მონაცემები დნესტრისპირეთში, კერძოდ, კოლბასნაში შენახული იარაღის მარაგის ოდენობის შესახებ. თუმცა, მათი მტკიცებით, იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ქონების უდიდესი ნაწილი გატანილ იქნა 1991 წელსა 2003 წელს შორის არსებულ პერიოდში. 2003 წელს, როდესაც მოლდოვას ხელისუფლებამ უარი თქვა გაერთიანებული მოლდოვას სახელმწიფოს შექმნის მემორანდუმზე („კოზაკის მემორანდუმი“), „MRT“-მ დაბლოკა სამხედრო აღჭურვილობის შემდგომი გატანა. რუსეთის მთავრობის განცხადებით, ასევე აუცილებელი იყო თანამშრომლობა მოლდოვას ხელისუფლებასთან, რამდენადაც მან აკრძალა რკინიგზის ხაზის გამოყენება დნესტრისპირეთიდან მოლდოვას მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე შემოსასვლელად. ამჟამად, მხოლოდ ჭურვები, ხელყუმბარები, ნაღმები და მცირე კალიბრიანი აღჭურვილობა ინახებოდა სასაქონლო საწყობებში. ამ აღჭურვილობის 60% უნდა განადგურებულიყო მათი საგარანტიო ვადის დასრულებამდე, მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ დააზუსტა, თუ როდის მოხდებოდა ეს. გარდა ამისა, მათი განადგურება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ გარემოს უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ. რუსეთის მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მათ გააჩნდათ პასუხისმგებლობა დაეცვათ იარაღის მარაგი ქურდობისაგან და ამის მიუხედავად გრძნობდნენ დნესტრისპირეთში მათ დასაცავად გაჩერებული 1,000 სამხედრო მოსამსახურის გამოყვანის საჭიროებას. ამ მცირე კონტიგენტის გარდა, დაახლოებით 1,125 რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა უსაფრთხოების ზონაში, როგორც საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ნაწილი. უსაფრთხოების არეალი იყო 225 კმ სიგრძის და 12-20 კმ სიგანისა. რუსეთის მთავრობის აზრით, აშკარა იყო, რომ რამდენიმე ასეული ჯარისკაცის იქ ყოფნა სამხედრო საწყობების დასაცავად და მშვიდობის შენარჩუნების ფუნქციების განსახორციელებლად ვერ იქნებოდა მთელს დნესტრისპირეთზე ეფექტიანი კონტროლის ინსტრუმენტი.

99. რუსეთის მთავრობამ უარყო, რომ ისინი რაიმე ეკონომიკურ დახმარებას ახორციელებდნენ „MRT“-ს მხარდასაჭერად. რაც შეეხებოდა გაზით მომარაგებას, მათ განმარტეს, რომ რამდენადაც „MRT“ არ იყო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე აღიარებული როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მას არ შეეძლო აეღო ვალები, და რომ რუსეთი არ ახორციელებდა მოლდოვასა და დნესტრისპირეთისათვის გაზის მიწოდებას ცალ-ცალკე. ასე, რომ დნესტრისპირეთისათვის მიწოდებული გაზის ანგარიში მიეწერებოდა მოლდოვას. რეგიონისათვის გაზის მიწოდება ორგანიზებული იყო რუსული სახელმწიფო კორპორაცია „გაზპრომისა“ და ერთობლივი კომპანია „მოლდოვგაზის“ მიერ, რომელიც ერთობლივად ეკუთვნოდათ მოლდოვასა და „MRT“-ს. „მოლდოვგაზის“ ვალი რუსეთის მიმართ აჭარბებდა USD 1.8

მილიარდს, საიდანაც USD 1.5 მოდიოდა დნესტრისპირეთის მიერ მოხმარებულ გაზზე. „გაზპრომს“ არ შეეძლო უბრალოდ უარი ეთქვა რეგიონისათვის გაზის მიწოდებაზე, რამდენადაც მას ესაჭიროებოდა მოლდოვაზე გამავალი ნავთობსადენი ბალკანეთის ქვეყნების მოსამარაგებლად. „გაზპრომსა“ და „მოლდოვგაზს“ შორის მიმდინარეობდა რთული მოლაპარაკებები ვალების გადახდის თაობაზე. 2003-2004 წლებში შემოთავაზებული იქნა წინადადება, რომლის მიხედვითაც, „MRT“ ნებას დართავდა რუსეთს გაეტანა USD 1 მილიონი დოლარის ღირებულების აღჭურვილობა, რის საპასუხოდაც, რუსეთი ჩამოაწერდა მას გაზის ვალს ეკვივალენტური ოდენობით. მაგრამ ეს სქემა არასოდეს განხორციელებულა, რამდენადაც იმ დროისათვის ურთიერთობა მოლდოვასა და „MRT“-ს შორის გაუარესდა და არცერთი მხარე არ იყო მზად თანხმობისათვის. რუსეთის მთავრობამ უარყო, რომ არსებობდა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ცალ-ცალკე მომარაგება გაზით და აღნიშნა, რომ გაზპრომს არ შეეძლო დაედგინა განსხვავებული ტარიფები მომხმარებლებისათვის ქვეყნის თითოეულ ნაწილში. 2008 წლიდან მოლდოვას მოსთხოვეს გაზის საფასურის გადახდა ევროპული ფასების მიხედვით, რაც განსხვავდებოდა პრეფერენციული შიდა ტარიფებისაგან.

100. ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის გაწეული ფინანსური დახმარება ჰუმანიტარული მიზნებით, როგორც იყო პენსიების გადახდა და სკოლების, ციხეებისა და საავადმყოფოების სარესტორნო მომსახურების სფეროს დაფინანსება, იყო მთლიანად გამჭვირვალე, და შეიძლებოდა შეედარებინათ ევროპის კავშირის მიერ გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებასთან. დნესტრისპირეთში მცხოვრები მოსახლეობის მსგავსად, იგი ეხმარებოდა მოლდოვას სხვა ნაწილებში მცხოვრებლებსაც. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობამ უარყო, რომ მოლდოვა ოდესმე დაუქვემდებარა ეკონომიკურ სანქციებს „MRT“-ს მიმართ მისი პოზიციის გამო და ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტი და მთავრობა, უფრო მეტად, ვიდრე დუმა, პასუხისმგებელი იყვნენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. 2006 წლის მარტში შემოღებული იქნა შეზღუდვები მოლდოვადან ღვინის იმპორტზე აღმოჩენილი სანიტარული დარღვევის გამო. მოლდოვური ღვინის იმპორტი განახლდა 2007 წლის 1 ნოემბრიდან ექსპერტული ანგარიშის საფუძველზე. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება მოლდოვას რესპუბლიკას განიხილავდა ერთიან სახელმწიფოდ და არ გააჩნდა ცალკე ვაჭრობა და ეკონომიკური გარიგებები დნესტრისპირეთთან.

101. პოლიტიკურ დახმარებასთან მიმართებაში რუსეთის მთავრობამ დაასაბუთა, რომ, როგორც საერთაშორისო სამართლის საკითხი, მაშინაც კი, თუ შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის მხრიდან „MRT“-ს ხელისუფლების პოლიტიკური მხარდაჭერის დამტკიცება რაიმე შესაბამისი გზით, ეს მაინც არ იქნებოდა იმის დადასტურება, რომ რუსეთი პასუხისმგებელი იყო მათ მიერ

ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევისათვის. მათი შეხედულებით, აბსურდი იყო იმის თქმა, რომ როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებას დემოკრატიული მანდატი გააჩნდა, რომელიმე გარეშე ხელისუფლება შეიძლება პასუხისმგებელი ყოფილიყო ამ ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებისადმი ცუდად მოპყრობისათვის.

## B. სასამართლოს შეფასება

1. ძირითადი პრინციპები, დაკავშირებული იურისდიქციასთან კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე

102. კონვენციის 1-ლ მუხლში მითითებულია:

“მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.”

103. სასამართლომ თავის პრეცედენტული სამართლით დაადგინა არაერთი პრინციპი 1-ლი მუხლის საფუძველზე. 1. როგორც გათვალისწინებულია ამ მუხლით, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებები შემოფარგლულია პირთა უფლებებისა და თავისუფლებების „უზრუნველყოფით“ (*“reconnaître”* ფრანგულ ტექსტში) თავისი იურისდიქციის ფარგლებში (იხ. *Soering გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 7 ივლისი 1989, § 86, სერია A № 161; *Banković და სხვები ბელგიისა და სხვათა წინააღმდეგ* [GC] (dec.), № 52207/99, § 66, ECHR 2001- XII). „იურისდიქცია“ 1-ლი მუხლის საფუძველზე არის შესავალი კრიტერიუმი. იურისდიქციის განხორციელება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ სახელმწიფო გახდეს პასუხისმგებელი მისთვის ბრალად შერაცხული მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელმაც საფუძველი მისცა განცხადებებს ამ კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის თაობაზე (იხ. *Ilaşcu და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ* [GC], № 48787/99, § 311, ECHR 2004-VII; *Al-Skeini და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], № 55721/07, § 130, 7 ივლისი 2011).

104. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენცია უწინარესად ტერიტორიულია (იხ. *Soering*, ზემოთ მითითებული, § 86; *Banković*, ზემოთ მითითებული, §§ 61; 67; *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 312; *Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 131). იგულისხმება, რომ იურისდიქცია ჩვეულებრივ ხორციელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე (*Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 312; *Assanidze საქართველოს წინააღმდეგ* [GC], № 71503/01, § 139, ECHR 2004-II). ხელშემკვრელი სახელმწიფოების ქმედებები, რომლებიც განხორციელებული იქნა მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ან რომელმაც მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოიწვია შედეგები, 1-ლი მუხლის გაგებით, შეიძლება წარმოადგენდეს იურისდიქციის განხორციელებას მხოლოდ

გამონაკლის შემთხვევებში (*Banković*, ზემოთ მითითებული, § 67; *Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 131).

105. დღევანდლამდე, სასამართლომ აღიარა არაერთი საგამონაკლისო გარემოება, რომელიც წარმოშობს ხელშემკვრელი მხარის მიერ იურისდიქციის განხორციელებას მისი ტერიტორიული საზღვრების მიღმა. თითოეულ შემთხვევაში, საკითხი იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საგამონაკლისო გარემოება, რომელიც მოითხოვს და ამართლებს სასამართლოს დასკვნას, რომ სახელმწიფო ექსტრა-ტერიტორიულ იურისდიქციას ახორციელებდა, უნდა განისაზღვროს კონკრეტული ფაქტების მიხედვით (*Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 132).

106. ერთ-ერთი გამონაკლისი იმ პრინციპიდან, რომ 1-ლი მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს იურისდიქცია მისი საკუთარი ტერიტორიით არის შემოფარგლული, წარმოიშობა მაშინ, როდესაც თავისი კანონიერი თუ უკანონო სამხედრო მოქმედების შედეგად, სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს არეალში, რომელიც მისი ტერიტორიის გარეთ იმყოფება. ასეთ არეალში კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, სულ ერთია, კონტროლი ხორციელდება პირდაპირ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს კუთვნილი შეიარაღებული ძალებით, თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით (*Loizidou თურქეთის წინააღმდეგ* (წინასწარი შეპასუხება), 23 მარტი 1995, § 62, სერია A № 310; *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], № 25781/94, § 76, ECHR 2001-IV, *Banković*, ზემოთ მითითებული, §70; *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, §§ 314-316; *Loizidou* (არსებითი გადაწყვეტილება), ზემოთ მითითებული, §52; *Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 138). როდესაც ტერიტორიაზე ასეთი დომინაცია დადგენილია, აუცილებელი არ არის იმის განსაზღვრა, ახორციელებდა თუ არა ხელშემკვრელი მხარე ზედმიწევნით კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკასა და მოქმედებებზე. მაკონტროლებელ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობა 1-ლი მუხლის საფუძველზე მისი კონტროლის ქვეშ მყოფ არეალში ყველა იმ არსებით უფლებაზე, რომლებიც მის მიერ რატიფიცირებული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით არის გათვალისწინებული. მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ უფლებათა ნებისმიერი დარღვევისათვის (*კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, ზემოთ მითითებული, §§ 76-77; *Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 138).

107. ფაქტების საკითხია იმის განსაზღვრა, ახორციელებდა თუ არა ხელშემკვრელი მხარე ეფექტიან კონტროლს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ არეალში. იმის განსაზღვრისას, სახეზეა თუ არა ეფექტიანი კონტროლი, სასამართლო უწინარესად გაითვალისწინებს ამ არეალში სახელმწიფოს სამხედრო ძალების ყოფნას (იხ. *Loizidou*, არსებითი

გადაწყვეტილება, §§16 და 56; *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 387). სხვა მითითებებიც შეიძლება იყოს რელევანტური, როგორც არის გარემოება, თუ რა ზომით განაპირობა დაქვემდებარებული ადმინისტრაციისათვის სამხედრო, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დახმარებამ მისი გავლენა და კონტროლი ამ რეგიონში (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, §§ 388-394; *Al-Skeini*, ზემოთ მითითებული, § 139).

## 2. ამ პრინციპების გამოყენება საქმის ფაქტების მიმართ

108. შესაბამისია გავიხსენოთ ცენტრალური ფაქტები ამ საქმისა. მოსარჩელები არიან დნესტრისპირეთში მცხოვრები მოლდოველი ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც ასაჩივრებენ იმ შედეგებს, რომლებიც მათი შვილების განათლებისა და მათი ოჯახებისათვის გამოიწვია სეპარატისტული ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ ენის სფეროში. სამდურავის არსი შეეხება “MRT”-ს ხელისუფლების მიერ 2002 და 2004 წლებში განხორციელებულ მოქმედებებს რამდენიმე წლის წინ მიღებული იმ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომელმაც აკრძალა ლათინური დამწერლობის გამოყენება სკოლებში და ყველა სკოლისაგან მოითხოვა რეგისტრაცია და “MRT”-ს მიერ მოწონებული კურიკულუმისა და კირილიცას ანბანის გამოყენების დაწყება. 2002 წლის 22 აგვისტოს, “MRT”-ს პოლიციამ ძალით გაყარა ბავშვები და მასწავლებლები გრიგორიოპოლში არსებული სტეფან კელ მარეს სკოლიდან. სკოლას არ მიეცა ნებართვა ხელახლა დაეწყო ფუნქციონირება იმავე შენობაში და იგი გადატანილი იქნა 20კმ-ით დაშორებულ შენობაში, მოლდოვას კონტროლირებად ტერიტორიაზე. ბავშვები და სკოლის პერსონალი ასევე გაძევებული იქნენ რიბნიცაში მდებარე ევრიკას სკოლიდან 2004 წლის ივლისში. იმავე თვეს, ტიგინაში მდებარე ალექსანდრუ კელ ბუნის სკოლას დაემუქრნენ დახურვითა და ელექტროდენისა და წყლის მიწოდების შეწყვეტით. ორივე სკოლას მოსთხოვეს გადასულიყვნენ ნაკლებად მოხერხებულ და უარესად ეკიპირებულ შენობებში მათსავე მშობლიურ ქალაქში მომავალი აკადემიური წლის დაწყებისათვის.

### (a) მოლდოვას რესპუბლიკა

109. სასამართლომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს, ხვდება თუ არა საქმე მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქციის ფარგლებში. ამასთან მიმართებაში ის აღნიშნავს, რომ სამივე სკოლა ყოველთვის მდებარეობდა მოლდოვას ტერიტორიაზე. ნამდვილია ის - როგორც ამას ყველა მხარე აღიარებს - რომ მოლდოვას არ გააჩნია ხელისუფლება თავისი ტერიტორიის ერთ ნაწილზე, რომელიც მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს და რომელიც კონტროლდება “MRT”-ს მიერ. ამის მიუხედავად, ზემოთ მითითებულ *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ დნესტრისპირეთში დაპატიმრებული პირები ხვდებოდნენ მოლდოვას იურისდიქციის ფარგლებში, რამდენადაც მოლდოვა წარმოადგენდა ტერიტორიულ სახელმწიფოს, იმის მიუხედავად, რომ იგი მართლაც ვერ ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს

დნესტრისპირეთის რეგიონში. მოლდოვას ვალდებულება კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე „თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს (კონვენციის) უფლებები და თავისუფლებები“, არსებობს, თუმცადა, გარემოებების გამო ისინი შემოფარგლულია პოზიტიური ვალდებულებებით, გაეტარებინა ის დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო და სხვა ღონისძიებები, რაც შეეძლო რომ გაეტარებინა, და რაც საერთაშორისო სამართალს შეესაბამებოდა. (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 331). სასამართლო ასეთივე დასკვნამდე მივიდა საქმეში *Ivanțoc* და *სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ*, № 23687/05, §§ 105-111, 15 ნოემბერი, 2011.

110. სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს განასხვავოს ეს საქმე. თუმცადა მოლდოვას არ გააჩნდა ეფექტიანი კონტროლი “MRT”-ს მოქმედებებზე დნესტრისპირეთში, მაგრამ ფაქტმა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძველზე ეს რეგიონი აღიარებულია მოლდოვას ტერიტორიის ნაწილად, კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე წარმოშვა მისი ვალდებულება, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი და დიპლომატიური საშუალება, რათა გაგრძელებულიყო იქ მცხოვრებ პირთა მიერ კონვენციით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 333). სასამართლო ქვემოთ განიხილავს, შეასრულა თუ არა მოლდოვამ ეს პოზიტიური ვალდებულება.

#### (b) რუსეთის ფედერაცია

111. ამის შემდეგ სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ხვდებიან თუ არა მოსარჩელები ასევე რუსეთის იურისდიქციის ქვეშ. იგი ათვლის წერტილად იღებს იმ ფაქტს, რომ მთავარ მოვლენას საქმეზე წარმოადგენს სკოლიდან ძალდატანებით გაყრის ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა 2002 წლის აგვისტოსა და 2004 წლის ივლისს შორის პერიოდში. ეს ორი წელი ემთხვევა იმ პერიოდს, რომელიც სასამართლომ განიხილა 2004 წლის ივლისში გამოცხადებულ *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებაში. ნამდვილია ის, რომ ამ საქმეში, სასამართლომ, რუსეთის იურისდიქციის წარმოშობის საკითხთან მიმართებაში, რელევანტურად მიიჩნია, რომ ბ-ნი ილიაშკუ, ბ-ნი ლეშკო, ბ-ნი ივანტოკი და ბ-ნი პეტროვ-პოპა დაკავებული, დაპატიმრებული და შემდეგ ნაწამები იქნენ მე-14 არმიის ჯარისკაცების მიერ 1992 წელს, რომლებმაც ისინი შემდეგ “MRT”-ს სატუსალოში გადააგზავნეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ადგილი ჰქონდათ რუსეთის მიერ 1998 წლის 5 მაისს კონვენციის რატიფიკაციამდე, შექმნა განგრძობადი და უწყვეტი ჯაჭვი რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობისა და პატიმრებულთა ბედისათვის. სასამართლომ, როგორც პასუხისმგებლობის ამ ჯაჭვის ნაწილი, ასევე მიიჩნია, რომ დნესტრისპირეთში 1991-92 წლებში მომხდარი აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლებამ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით თავისი წვლილი შეიტანა სეპარატისტული რეჟიმის დამყარებაში (იხ. *Ilaşcu*,

ზემოთ მითითებული, § 382). გარდა ამისა, 1998 წლის მაისის განმავლობაში, როდესაც რუსეთმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, და 2004 წლის მაისში, როდესაც სასამართლომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, სასამართლომ დაადგინა, რომ “MRT”-მ გადარჩენა შეძლო რუსეთის ფედერაციიდან მიღებული სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის წყალობით და რომ ის დარჩა რუსეთის ეფექტიანი ძალაუფლების, ან, სულ მცირე, მისი გადამწყვეტი გავლენის ქვეშ (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, § 392). ამის გამო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელები ხვდებოდნენ რუსეთის ფედერაციის „იურისდიქციის“ ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისათვის (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, §§ 393-394).

112. ასეთ გარემოებებში, როდესაც სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციას გააჩნდა იურისდიქცია შესაბამის პერიოდში დნესტრისპირეთში განვითარებულ მოვლენებზე, იგი მიიჩნევს, რომ ამჯერად ტვირთი ეკისრება რუსეთის მთავრობას, დაამტკიცოს, რომ რუსეთი არ ახორციელებდა იურისდიქციას ამ საქმის მოსარჩელების მიერ გასაჩივრებულ ფაქტებთან მიმართებაში.

113. რუსეთის ხელისუფლებამ უარყო, რომ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში იგი ახორციელებდა იურისდიქციას დნესტრისპირეთში. მათ ხაზი გაუსვეს პირველ რიგში იმას, რომ ეს საქმე განსხვავდებოდა ზემოთ მითითებული *Ilaşcu*-ს საქმისაგან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა განახორციელეს მოსარჩელების თავდაპირველი დაკავება და დაპატიმრება, და ასევე, ზემოთ მითითებული *Al-Skein*-ს საქმისაგან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოს გააჩნდა იურისდიქცია ერაყელი სამოქალაქო პირების მიმართ, რომლებიც მოკლული იქნენ ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ განხორციელებული უსაფრთხოების ღონისძიებების პროცესში.

114. სასამართლო შეახსენებს, რომ როგორც მან დაადგინა, სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევაში, განახორციელოს ექსტრატერიტორიული იურისდიქცია ამ სახელმწიფოს აგენტების მიერ ძალაუფლების დამტკიცებითა და კონტროლით ინდივიდზე ან ინდივიდებზე, როგორც ეს მოხდა *Al-Skein*-ის საქმეში (ზემოთ მითითებული). თუმცა, სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სახელმწიფო შესაძლებელია ახორციელებდეს ექსტრატერიტორიულ იურისდიქციას, როდესაც კანონიერი ან უკანონო სამხედრო მოქმედებების შედეგად, ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს ეფექტიან კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის მიღმა არეალში (იხ. ზემორე 106-ე პარაგრაფი). სასამართლო იზიარებს, რომ არ არსებობს მოსარჩელეთა სკოლების წინააღმდეგ ჩადენილ მოქმედებებში რუსეთის აგენტების პირდაპირი ჩართულობის მტკიცებულება. თუმცა, სწორედ მოსარჩელებმა განაცხადეს, რომ რუსეთი ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს “MRT”-ს მიმართ დროის ამ



პერიოდში და სასამართლომ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა საქმე სწორედ ამ შემთხვევასთან.

115. რუსეთის ფედერაციის აზრით, სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეეძლო დაედასტურებინა, რომ რუსეთი ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა, თუ იგი დაადგენდა, რომ “MRT”-ს მთავრობა უნდა მიჩნეულიყო რუსეთის სახელმწიფოს ორგანოდ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იმ მიდგომის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულ იქნა საქმეში *Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of Genocide (ბოსნია და ჰერცეგოვინა სერბიისა და მონტენეგროს წინააღმდეგ* (იხ. ზემორე 76-ე პარაგრაფი). სასამართლო შეახსენებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მოხმობილ გადაწყვეტილებებში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განსაზღვრა, თუ როდის შეიძლება პირის ან პირთა ჯგუფის ქმედება მიწერებოდა სახელმწიფოს, რათა მას ამ ქმედების გამო დაჰკისრებოდა პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. წინამდებარე საქმეში კი სასამართლო განსხვავებული საკითხის წინაშეა, კერძოდ, მან უნდა გადაწყვიტოს, ხდება თუ არა მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით. როგორც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ზემოაღნიშნული შეჯამება აჩვენებს, კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე „იურისდიქციის“ დადგენის ტესტი არასოდეს ყოფილა გათანაბრებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის ტესტთან განზრახ არამართლზომიერ ქმედებებთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

116. ამ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ, როგორც ფაქტის საკითხი, უნდა დაამტკიცოს, ახორციელებდა თუ არა რუსეთი ეფექტიან კონტროლს “MRT”-ზე 2002 წლის აგვისტოდან 2004 წლის ივლისამდე პერიოდში. ამის დამტკიცებისას იგი საფუძველად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, ან თუ აუცილებელია, მასალას, რომელიც მოპოვებულია *proprio motu* (იხ. *mutatis mutandis*, *Saadi* იტალიის წინააღმდეგ [GC], № 37201/06, § 128, ECHR 2008).

117. რუსეთის მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ შესაბამის პერიოდში რუსეთის სამხედრო ყოფნა დნესტრისპირეთში არ იყო მნიშვნელოვანი და იგი მოიცავდა დაახლოებით ROG-ის 1,000 სამხედრო მოსამსახურეს კოლბასნაში იარაღის მარაგის დასაცავად, და კიდევ 1,125 ჯარისკაცს, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ უსაფრთხოების ზონაში, როგორც მშვიდობის შენარჩუნების საერთაშორისო ძალების ნაწილი. *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წელს იქ იმყოფებოდა ROG-ის დაახლოებით 1,500 პირადი შემადგენლობა იარაღის მარაგის დასაცავად (ზემოთ მითითებული, §131). რუსი სამხედროების რაოდენობა ამ საქმის მხარეებს სადავო არ გაუხდიათ (იხ. ზემორე 37-ე პარაგრაფი). რაც შეეხება კოლბასნას იარაღის მარაგს,

შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ მისი ოდენობა და რაობა 2002-2004 წლების პერიოდში, რამდენადაც რუსეთის მთავრობამ არ გადასცა სასამართლოს მის მიერ მოთხოვნილი დეტალური ინფორმაცია და არც დამოუკიდებელი დამკვირვებლები დაუშვა იქ. თუმცა, *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებით (ზემოთ მითითებული, §131) სასამართლომ მიუთითა მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც 2003 წელს ROG-ს გააჩნდა სულ მცირე, 200,000 ტონა სამხედრო აღჭურვილობა და საბრძოლო მასალა, ასევე 106 საბრძოლო ტანკი, 42 ჯავშნიანი მანქანა, 109 ჯავშნიანი პირადი შემადგენლობის მზიდი, 54 ჯავშნიანი სადაზვერვო ტრანსპორტი, 123 ზარბაზანი და ნაღმტყორცნი, 206 ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, 226 საავიაციო ქვემეხი, ცხრა შვეულმფრენი და 1,648 სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალება.

118. სასამართლო იზიარებს, რომ 2002-2004 წლებში დნესტრისპირეთში დაბანაკებული რუსული სამხედრო პერსონალი მნიშვნელოვნად შემცირდა (იხ. *Ilaşcu*, ზემოთ მითითებული, §387) და ის ტერიტორიის სიდიდესთან მიმართებაში არ იყო დიდი. ამის მიუხედავად, სასამართლომ *Ilaşcu*-ს საქმეში, (ზემოთ მითითებული, §387) კოლბასნაში არსებული არსენალის რაოდენობის გათვალისწინებით, დადგენილად მიიჩნია რუსეთის არმიის სამხედრო ყოფნის დიდი მნიშვნელობა რეგიონში და მისი გადამწყვეტი ზეგავლენის არსებობა. უფრო მეტიც, როგორც საჯარისო ნაწილებთან, ისე იარაღის მარაგთან მიმართებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიულ ფონის გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამ საქმეზე განსახილველი დროის შესაბამისი პერიოდის მიმართ პოზიციის შესამუშავებლად. არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ როგორც *Ilaşcu* -ს საქმეში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, სეპარატისტებმა 1992 წელს ძალაუფლების მოპოვება შეძლეს მხოლოდ რუსული სამხედრო დახმარების წყალობით. კოლბასნას იარაღის მარაგი თავიდან ეკუთვნოდა სსრკ-ს მე-14 არმიას და სასამართლომ გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით დაადგინა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს სეპარატისტებს, მე-14 არმიის პირადი შემადგენლობის დახმარებით, შეეძლოთ მათი იარაღის მარაგიდან შეიარაღება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მე-14 არმიის იარაღის საწყობებიდან სეპარატისტებისათვის იარაღისა და საბრძოლო მასალის მასიური გადაცემა იყო მთავარი მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა მოლდოვას არმიას აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთში. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონფლიქტის დასაწყისიდანვე დიდი ოდენობით რუსი მოქალაქეობის მქონე პირი შევიდა დნესტრისპირეთში სხვა რეგიონებიდან, განსაკუთრებით კაზაკები, სეპარატისტებთან ერთად საბრძოლველად მოლდოვას ძალების წინააღმდეგ. დაბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ 1992 წლის აპრილში დნესტრისპირეთში არსებული რუსული არმიის შენაერთები (ROG) ჩაერთვნენ კონფლიქტში, რაც სეპარატისტებს მისცა საშუალება აედოთ ქალაქი ტიგინა.

119. რუსეთის მთავრობამ ვერ გადასცა სასამართლოს ვერავითარი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები არ იყო სარწმუნო. სასამართლოს შეხედულებით, თავის დასკვნის გათვალისწინებით, რომ სეპარატისტული რეჟიმი თავდაპირველად დაფუძნდა სწორედ რუსული სამხედრო დახმარების მეშვეობით, ფაქტი, რომ რუსეთი ინარჩუნებს მოლდოვას ტერიტორიაზე იარაღის მარაგს, საერთაშორისო ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, ასაიდუმლოებს მას, და ამასთან 1000 სამხედრო მოსამსახურე ყავს გამწესებული მის დასაცავად, იძლევა ძლიერ სიგნალს იმისა, რომ რუსეთი აგრძელებს “MRT”-ს რეჟიმის მხარდაჭერას.

120. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, *Ilaşcu*-ს საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ “MRT-მ შესაბამის პერიოდში არსებობა შეინარჩუნა მხოლოდ რუსეთის ეკონომიკური დახმარების წყალობით (იხ. 11-ე ზემორე პარაგრაფი). სასამართლო არ მიიჩნევს, რომ რუსეთის მთავრობას მოხსნილი აქვს მტკიცების ტვირთი და რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სწორი არ არის. კერძოდ, რუსეთის მთავრობა არ უარყოფს, რომ რუსული სახელმწიფო კორპორაცია „გაზპრომი“ გაზით ამარაგებს რეგიონს და “MRT” იხდის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო წილს მოხმარებული ენერგიისა, და ეს თანაბრად შეეხება როგორც ინდივიდუალურ მოზინადრეებს, ისე მსხვილ ინდუსტრიულ კომპლექსებს დნესტრისპირეთში, რომელთა დიდ ნაწილიც, როგორც სასამართლომ დაადგინა, სწორედ რუსეთს ეკუთვნის (იხ. ზემორე 39040-ე პარაგრაფები). რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ იგი ხარჯავს USD მილიონებს ყოველწლიურად დნესტრისპირეთის მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების ფორმით, რაც მოიცავს მოხუცებულთა პენსიების გადახდასა და სკოლების, საავადმყოფოებისა და ციხეების ფინანსურ დახმარებას. მოლდოვას მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც რუსეთის მთავრობას სადავოდ არ გაუხდია, “MRT”-ს მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 20% არის ეკონომიკურად აქტიური. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივი ეკონომიკისათვის რუსული საპენსიო და სხვა დახმარების მნიშვნელობა სავარაუდოდ, ჯეროვნად არის დაფასებული. დაბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა არ შეეხო მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილ სტატისტიკას მოქალაქეობის შესახებ, რომელთა მიხედვითაც “MRT”-ს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით ერთ მეხუთედს რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭა (იხ. ზემორე 41-42-ე პარაგრაფები).

121. ამგვარად, რუსეთის მთავრობამ ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ 2004 წელს *Ilaşcu*-ს გადაწყვეტილებით (ზემოთ აღნიშნული) დადგენილი ფაქტები სარწმუნო არ არის. “MRT” შეიქმნა რუსეთის სამხედრო დახმარების შედეგად. რუსეთის ჯარებისა და საბრძოლო მასალის ყოფნის გაგრძელება რეგიონში ძლიერ სიგნალს აძლევს როგორც საკუთრივ “MRT”-ს ლიდერებს, ისე

მოლდოვას ხელისუფლებასა და საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომ რუსეთი კვლავ აგრძელებს სეპარატისტთა სამხედრო დახმარებას. გარდა ამისა, მოსახლეობა ძლიერადაა დამოკიდებული გაზის უფასო ან მაღალი სუბსიდირებით მიწოდებაზე, პენსიებსა და რუსეთის სხვა ფინანსურ დახმარებაზე.

122. ამიტომ სასამართლო ინარჩუნებს *Ilaşcu-ს* გადაწყვეტილების (ზემოთ მითითებული) იმ დასკვნას, რომ 2002-2004 წლების პერიოდში “MRT”-მ თავისი არსებობის გაგრძელება, რა დროსაც იგი წინააღმდეგობას უწევდა მოლდოვასა და საერთაშორისო ძალისხმევას გადაეჭრათ კონფლიქტი, დაემყარებინათ დემოკრატია და სამართლის უზენაესობა რეგიონში, შესაძლებელი გახდა მხოლოდ რუსული სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად. ამგვარ გარემოებებში, რუსეთზე “MRT”-ს დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, ნათელჰყოფს, რომ სკოლების კრიზისის პერიოდში რუსეთი ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს “MRT”-ს ადმინისტრაციაზე და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა მასზე.

123. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ წინამდებარე საქმის მოსარჩელები ხვდებიან რუსეთის იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე. სასამართლომ ახლა უნდა განსაზღვროს, დაირღვა თუ არა კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებები, რაც მოპასუხე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

## II. კონვენციის № 1 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

124. კონვენციის № 1 ოქმის მე-2 მუხლი მიუთითებს:

„ არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება. ”

### A. მხარეთა მოსაზრებანი

#### 1. მოსარჩელები

125. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სასამართლომ უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა და განავითაროს თავის იურისპრუდენცია 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, განათლების უფლებასთან მიმართებაში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 (§1) მუხლი და ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის 29-ე (§1) მუხლი მიუთითებენ, რომ „

განათლება უნდა ემსახურებოდეს ადამიანის პიროვნების განვითარებას“. სასამართლომ, ამ ინსტრუმენტზე მითითებით (*Timishev რუსეთის წინააღმდეგ*, № 55762/00 და 55974/00, § 64, ECHR 2005-XII), უკვე აღიარა განათლების მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისათვის. მოსარჩელეთა მოსაზრებების მიხედვით, განათლების შემდგომ მიზანს წარმოადგენს ბავშვისთვის შესაძლებლობის მიცემა იფუნქციოს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებაში, როგორც ბავშვმა, და მომავალში როგორც ზრდასრულმა ადამიანმა. განათლება, რომელსაც არ ძალუძს ამ მიზანთა მიღწევა, დააბრკოლებს ამ შესაძლებლობებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას და მის უნარიანობას თავი დააღწიოს სიღარიბეს და ისარგებლოს ადამიანის უფლებებით. მოსარჩელეთა შეხედულებით, ენის გამოყენება განუყრელადაა დაკავშირებული განათლების ამ პრიორიტეტებთან.

126. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მთავარი ინციდენტები, რომლებსაც ისინი დაეყრდნენ, ადგილი ჰქონდა 2002 და 2004 წლებს შორის პერიოდში, როდესაც სკოლებს აიძულეს დახურვა და საქმიანობის განახლება სხვა შენობებში. მათ წარმოადგინეს ფიცით მიცემული წერილობითი ჩვენებები, რომლებშიც ახსნილია, თუ რა ზიანი მიაყენა მათ ინდივიდუალურად “MRT”-ს ქმედებებმა. 2004 წლის ზაფხულში, სკოლები დახურა, ალყა შემოარტყა და შემდეგ იერიშით აიღო “MRT”-ს პოლიციამ. მასწავლებლები დააკავეს და დააპატიმრეს, ხოლო ლათინურ-ენოვანი მასალები კი ჩამორთმეული და განადგურებული იქნა. ზოგიერთმა მშობელმა სამსახური დაჰკარგა თავისი გადაწყვეტილების გამო შვილები მოლდოვურ ენოვან სკოლებში გაეგზავნა.

127. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ აქედან მოყოლებული, მათი მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ლათინური დამწერლობის გამოყენების ამკრძალავი კანონი ძალაში შევიდა და მოლდოვური/რუმინული სწავლება დაკავშირებული გახდა შევიწროებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის რისკთან. 2002 და 2004 წლების მოვლენების შემდგომ, მრავალმა მშობელმა მიატოვა ბრძოლა, რომ მათ შვილებს განათლება მოლდოვურ/რუმინულ ენაზე მიეღოთ. ისინი, ვინც წინააღმდეგობას აგრძელებდნენ, იძულებული იყვნენ დასთანხმებოდნენ განათლების დაბალ ხარისხს, რასაც იწვევდა არაერთი გარემოება, კერძოდ, ადეკვატური შენობების არარსებობა, მასალების სიმცირე, ექსტრაკურთკულარულ (კლასგარეშე) საქმიანობაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, მუდმივი შევიწროება და დაჩაგრვა, სკოლების შენობების ვანდალიზმი, დამცირება და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ალტერნატივა, რომელიც “MRT”-ს ხელისუფლებამ მოლდოვურ/რუმინულ ენოვან მოსახლეობას შესთავაზა იყო „მოლდოვური“ განათლება (მოლდოვური/რუმინული ენა კირილიცას ალფაბეტის გამოყენებით). თუმცა, ვინაიდან ასეთი ენა არსად იყო აღიარებული დნესტრისპირეთის ფარგლებს გარეთ, და მას თვით “MRT”-ს ადმინისტრაციაც კი არ იყენებდა, საბჭოთა დროინდელი ძველი სასწავლო მასალა და მასთან

ერთდ, შემდგომი და უმაღლესი განათლების მიღებისა და სამსახურში მოწყობის შესაძლებლობები შემცირებული იქნა.

128. “MRT”-ს ხელისუფლების უმოქმედობამ, უზრუნველყო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დომინანტურ და ოფიციალურ ენაზე განათლების მიღება, აშკარად დააზარალა განათლების უფლების არსი. გარდა ამისა, არავითარი მცდელობა არ ხორციელდებოდა “MRT”-ს ხელისუფლების მხრიდან იმისათვის, რომ მოეხდინა ეთნიკური მოლდოველი მოსახლეობის შენობებით უზრუნველყოფა კერძო სკოლებში თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სადაც მათ შვილებს შეეძლებოდათ მშობლიური ენის შესწავლა. მოსარჩელეებმა თავიანთი მდგომარეობა შეადარეს ანკლავში მოხვედრილ ბერძენ მოსახლეობას საქმეში *Cyprus v. Turkey*, ზემოთ მითითებული, § 278. დამატებით, მოსარჩელე მშობლები ჩივიან მათ უფლებაში ჩარევის გამო, რომ სახელწიფო განათლების უზრუნველყოფისას პატივი ეცათ მათი ფილოსოფიური მრწამსისათვის, კერძოდ, მათი მრწამსისათვის, რომ მათი შვილების საუკეთესო ინტერესს მოლდოვურ ენაზე განათლების მიღება შეადგენდა.

129. მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ მოლდოვას ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, გადაედგა ყველა შესაბამისი გონივრული ნაბიჯი, რაც აუცილებელი იყო მის ტერიტორიაზე მოლდოვურ ენაზე სწავლების უზრუნველსაყოფად და დასაცავად. რაც შეეხება საკუთრივ ამ პოზიტიური ვალდებულების შესრულებას მოლდოვას მხრიდან, მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ სკოლებში ლათინური დამწერლობის გამოყენება არ ყოფილა კონფლიქტის მოწესრიგების ერთ-ერთ პირობად დაყენებულ მრავალმხრივი მოლაპარაკებების დროს და ეს საკითხი არ ყოფილა გამოკვეთილი “MRT” -ს ხელისუფლებასა თუ რუსეთის ფედერაციასთან საკითხების წარდგენის პროცესში. “MRT”-ს ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ ნებართვა გადაადგილებულიყვნენ მთელს მოლდოვაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ევროპის კავშირის იმ აკრძალვის საწინააღმდეგოდ, რომელიც დაწესებული იქნა “MRT”-ს მაღალჩინოსნების მიმართ ევროპის კავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის ლათინური ალფაბეტის სკოლებისადმი მოპყრობის გამოც. მოსარჩელეები ასევე ამტკიცებენ, რომ მოლდოვას მთავრობამ არასაკმარისი ძალისხმევა განახორციელა იმისათვის, რომ მათ შვილებისათვის აღედგინათ განათლების ადეკვატური საშუალებები და დაეცვა ისინი შევიწროებისაგან.

130. მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ ამ საქმეში არსებულ დარღვევები პირდაპირ და უწყვეტად იყო დაკავშირებული რუსეთის ფედერაციის მიერ “MRT”-ს ადმინისტრაციის დაარსებასა და მის მუდმივ მხარდაჭერასთან. არ არსებობდა არავითარი მაჩვენებელი იმისა, რომ რუსეთი ატარებდა რაიმე ღონისძიებებს დარღვევათა თავიდან ასაცილებლად ანდა გამოთქვამდა ნეგატიურ

დამოკიდებულებას ყოველივე ამის გამო. პირიქით, რუსეთი მხარს უჭერდა “MRT”-ს განათლების პოლიტიკას რეგიონში არსებულ რუსულ-ენოვანი სკოლებისათვის მასალების გაგზავნით, “MRT”-ს რუსულ-ენოვანი სკოლების კვალიფიკაციის აღიარებითა და დნესტრისპირეთში უმაღლესი განათლების რუსული ინსტიტუტების დაარსებით მოლდოვას ხელისუფლებასთან კონსულტაციების გარეშე.

## *2. მოლდოვას მთავრობა*

131. მოლდოვას მთავრობას არ გააჩნია დეტალური ინფორმაცია მოსარჩელეთა განგრძობადი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, მათ შეძლეს დაედასტურებინათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საწყისი კრიზისული ფაზა უკვე დასრულებული იყო და ვითარება შედარებით ნორმალიზებული, ბავშვების რაოდენობა თითოეულ ამ სამ სკოლაში სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. მაგალითად, ბავშვების რაოდენობა ალექსანდრუ კელ ბუნისა და ევრიკას სკოლებში 2007 წლიდან 2011 წლამდე განახევრდა, თუმცა, სტეფან კელ მარეს სკოლაში ბავშვების რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო. მთლიანობაში მოლდოვური/რუმინული ენის შემსწავლელთა რიცხვი 2,545 დან 2009 წელს, შემცირდა 1,908-მდე 2011 წელს.

132. მოლდოვას მთავრობამ აღნიშნა, რომ მათ გადადგეს ყველა გონივრული ნაბიჯი ვითარების გასაუმჯობესებლად, ძირითადად დნესტრისპირეთის პრობლემის მოსაგვარებლად და მათ შორის სკოლებისათვის დახმარების გაწევის მიმართულებითაც. მათ განაცხადეს, რომ დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმი არასდროს ყოფილა მხარდაჭერილი და ხელშეწყობილი მათი მხრიდან, მოლდოვას ხელისუფლების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა დავის მოგვარება, მთელ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა და იქ სამართლის უზენაესობის დამყარება და ადამიანის უფლებების დაცვა.

133. რაც შეეხებოდა საკუთრივ სკოლებს, მოლდოვას მთავრობა იხდიდა შენობების დაქირავებისა და გარემონტების, მასწავლებელთა ხელფასების, სასწავლო მასალის, ავტობუსისა და კომპიუტერის ხარჯებს. მოლდოვას კანონის მიხედვით, ჩვეულებრივ, დნესტრისპირეთის სკოლების კურსდამთავრებულებს გააჩნდათ განსაკუთრებული პრივილეგია მოლდოვას უმაღლესი განათლების უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში ადგილის დასაკავებლად. გარდა ამისა, მოლდოვას ხელისუფლებამ დნესტრისპირეთის სკოლების საკითხი დააყენა საერთაშორისო დონეზე და ეძიებდა საერთაშორისო დახმარებასა და შუამავლობას, მაგალითად, კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ევროპის კავშირისა და OSCE-ს დახმარებით 2011 წელს გერმანიაში. მოლდოვასათვის არ შეიძლებოდა მოეთხოვათ მეტის გაკეთება მოსარჩელეთა მიმართ თავისი პოზიტიური მოვალეობების შესასრულებლად, ვინაიდან იგი ვერ ახორციელებდა ვერავითარ ხელისუფლებასა და კონტროლს მთელს ამ ტერიტორიაზე.

134. ის ნაბიჯები, რომელიც მოლდოვამ გადადგა მოსარჩელეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეიძლება გადაედგათ მხოლოდ როგორც მათი უფლებების ნაგულისხმები დარღვევის აღიარება. მოლდოვას მთავრობას შესაბამისად არ დაუწყია იმის მტკიცება, რომ მათი განათლების უფლება დარღვეული არ იყო. პირიქით, მათ სთხოვეს სასამართლოს ყურადღებით შეეფასებინა თითოეული მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსარჩელეთა უფლებების თითოეული დარღვევის გამო.

### 3. რუსეთის მთავრობა

135. რუსეთის მთავრობამ, რომელმაც უარყო ყოველგვარი პასუხისმგებლობა “MRT”-ს ქმედებების გამო, წარმოადგინა მხოლოდ მცირედი მოსაზრებები საქმის არსებით საკითხზე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ არ შეიძლება მათთვის ანგარიში მოეთხოვათ “MRT”-ს პოლიციის ქმედებისათვის, რომელმაც იერიშით აიღო შენობა, ანდა “MRT”-ს ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებისათვის, რომელმაც წყლისა და ელექტროდენის მიწოდება შეუწყვიტა სკოლებს. მათ ასევე გაუსვეს ხაზი, რომ რუსეთი სკოლების კრიზისში ჩაბმული იქნა მხოლოდ როგორც მედიატორი (შუამავალი). უკრაინელ და OSCE-ს მედიატორებთან ერთად, იგი ცდილობდა მხარეთა დახმარებას დავის გადასაჭრელად. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბრიდან საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით პრობლემა გადაიჭრა და სამი სკოლის მოსწავლეებს მიეცათ განათლების განახლების შესაძლებლობა.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. ძირითადი პრინციპები

136. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის განმარტებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ მისი კონტექსტია ადამიანის უფლებათა ქმედითი დაცვის ხელშეკრულება, და რომ კონვენცია წაკითხული უნდა იქნეს როგორც ერთი მთლიანობა და განმარტებული იმგვარად, რომ იგი ხელს უწყობდეს მის დებულებების თანამიმდევრულობასა და მათ შორის ჰარმონიას. (*Stec და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (dec.) [GC], № 65731/01 და 65900/01, § 48, ECHR 2005-X; *Austin და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], № 39692/09, 40713/09 და 41008/09, § 54, 15 მარტი, 2012). 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის ორი წინადადება, შესაბამისად, წაკითხული უნდა იქნეს არა მარტო ერთმანეთის ქრილში, არამედ მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებთან მიმართებაშიც, რომლებიც აცხადებენ ყველას, მათ შორის მშობლებისა და ბავშვების „პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას“, „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას“, და „ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებას“ (იხ. *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen დანიის წინააღმდეგ*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 23, § 52; *Folgerø და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ* [GC], № 15472/02, § 84, ECHR 2007-III; *Lautsi და სხვები იტალიის წინააღმდეგ*



[GC], № 30814/06, § 60, ECHR 2011 (ამონარიდები); იხ. აგრეთვე *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* (*Cyprus v. Turkey*) [GC], № 25781/94, § 278, ECHR 2001-IV). ამ დებულების განმარტებისა და გამოყენებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესები და პრინციპები, რომლებიც გამოყენებადია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის, და კონვენცია, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა განიმარტოს საერთაშორისო სამართლის - რომლის ნაწილსაც ის შეადგენს - სხვა ნორმებთან ჰარმონიაში (იხ. *Al-Adsani გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], № 35763/97, § 55, ECHR 2001-XI; *Demir და Baykara თურქეთის წინააღმდეგ* [GC], № 34503/97, § 67, ECHR 2008; *Saadi გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], № 13229/03, § 62, ECHR 2008-...; *Rantsev კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ* № 25965/04, §§ 273-274, ECHR 2010 (ამონარიდები). განათლების უფლებასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც გადმოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, კონვენციაში განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და ბავშვთა უფლებების კონვენციაში, სრულად შესაბამისია ამ მიმართებით (იხ. ზემორე 77-81 პარაგრაფები, და იხ. აგრეთვე *Timishev რუსეთის წინააღმდეგ*, № 55762/00 და 55974/00, § 64, ECHR 2005-XI). დაბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის, როგორც ინდივიდუალური ადამიანის დაცვის ინსტრუმენტის განზრახულობები და მიზანდასახულობა მოითხოვს, რომ მისი დებულებები განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ მისი გარანტიები გახდეს რეალური და ქმედითი (იხ. *inter alia*, *Soering გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 7 ივლისი, 1989, § 87, სერია A № 161; და *Artico იტალიის წინააღმდეგ*, 13 მაისი, 1980, § 33, სერია A № 37).

137. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე ვალდებულების აღებით არ „უარყოს განათლების უფლება“, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ იმ დროისათვის არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ხელმისაწვდომობას (იხ. *Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”*, გადაწყვეტილება, 23 ივლისი 1968, სერია A № 6, §§ 3-4). ხელმისაწვდომობის უფლება მხოლოდ ნაწილია განათლების უფლებისა, რომელიც პირველი წინადადებით არის დადგენილი. იმისათვის, რომ უფლება ქმედითი იყოს, აუცილებელია, მათ შორის, რომ, უფლებით მოსარგებლე ინდივიდს გააჩნდეს მიღებული განათლებიდან სარგებლობის მიღების შესაძლებლობა, ანუ უფლება, სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოიპოვოს ოფიციალური აღიარება განათლებისა, რომლის მიღებას დაასრულა“ (*Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”*, ზემოთ მითითებული, § 4). გარდა ამისა, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის ტექსტი არ აზუსტებს

ენას, რომელზედაც განათლება უნდა განხორციელდეს; განათლების უფლება აზრს დაჰკარგავდა, თუ იგი არ იგულისხმებდა უფლებით მოსარგებლე ინდივიდის უფლებას განათლება მიეღო მშობლიურ, ან შესაბამის შემთხვევაში, ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე (*Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”*, ზემოთ მითითებული, § 3).

138. მუხლის მეორე წინადადებით დადგენილი უფლება დანამატია განათლების ძირითადი უფლებისა, რომელიც პირველი წინადადებით არის დადგენილი. უწინარესად მშობლები არიან პასუხისმგებელნი თავიანთი შვილების განათლებასა და სწავლაზე, და ამიტომ, მათ შეუძლიათ პასუხი მოსთხოვონ სახელმწიფოს, პატივი სცეს მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს (იხ. *Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”*, ზემოთ მითითებული, §§ 3-5 და *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen დანიის წინააღმდეგ*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 23, § 52). მეორე წინადადება მიზნად ისახავს განათლებაში პლურალიზმის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, რაც არსებითია „დემოკრატიული საზოგადოების“ შესანარჩუნებლად, როგორც ეს კონვენციით არის ჩაფიქრებული. ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფომ, განათლებისა და სწავლების დარგში თავისი ფუნქციის შესრულებისას, უნდა იზრუნოს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული ინფორმაცია და ცოდნა გადაცემული იყოს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური ფორმით. სახელმწიფოს ეკრძალება მისდიოს ინდოქტრინაციის მიზანს, რაც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსისადმი უპატივცემულობა (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, ზემოთ მითითებული, §§ 50 და 53; *Folgerø, cited above, § 84; Lautsi*, ზემოთ მითითებული, § 62).

139. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით დადგენილი უფლება თანაბრად გამოიყენება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო დაწესებულებების მიმართ (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, ზემოთ მითითებული, § 50). გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ დებულება გამოიყენება ყველა დონის - დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიმართ (იხ. *Leyla Şahin თურქეთის წინააღმდეგ* [GC], № 44774/98, §§ 134 და 136, ECHR 2005-XI).

140. თუმცა, სასამართლო აღიარებს, რომ მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, განათლების უფლება არ არის აბსოლუტური, და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს. იმ გარანტიის დაცვით, რომ არ უნდა იქნეს ხელყოფილი განათლების უფლების არსი, ამ შეზღუდვების დაშვება თავისთავად არის ნაგულისხმევი, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება “თავისი ბუნების გამო სახელმწიფო რეგულირებას მოითხოვს“ (იხ. *Case “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium”*, ზემოთ მითითებული, § 3). იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოყენებულმა შეზღუდვებმა ზიანი არ მიაყენოს უფლების ძირითად არსს და ძირი არ გამოუთხაროს მის ქმედითობას,

სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მათი განჭვრეტა შესაძლებელია და ემსახურება კანონიერ მიზანს. თუმცა, კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლებისაგან განსხვავებით, იგი, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, არ არის შებოროტილი „კანონიერ მიზანთა“ ჩამონათვალით (იხ. *mutatis mutandis, Podkolzina ლატვიის წინააღმდეგ*, № 46726/99, § 36, ECHR 2002-II). გარდა ამისა, შეზღუდვა მხოლოდ მაშინ იქნება 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან შეთავსებადი, როდესაც არსებობს პროპორციულობის გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ კანონიერ მიზანს შორის (*Leyla Şahin*, ზემოთ მითითებული, §154). თუმცადა, საბოლოო დაკვირვებას კონვენციის მოთხოვნების დაცულობაზე ახორციელებს სასამართლო, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ამ სფეროში სარგებლობენ შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლებით. ეს ფარგლები იზრდება განათლების შესაბამის დონესთან მიმართებაში, უკუპროპორციით ამ განათლების მნიშვნელობასთან მიმართებაში იმათთვის, ვისაც ეს შეეხება და საერთოდ, ფართო საზოგადოებისათვის (იხ. *Ponomaryovi ბულგარეთის წინააღმდეგ* № 5335/05, § 56, ECHR 2011).

## 2. დაირღვა თუ არა მოსარჩელეთა განათლების უფლება წინამდებარე საქმეში

141. სასამართლო აღნიშნავს, რომ არცერთ მოპასუხე სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხია მოსარჩელეთა მტკიცება მათი სკოლების დახურვის შესახებ. მართლაც, 2002 და 2004 წლის ძირითადი მოვლენები გახდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, OSCE-ს, დაკვირვებისა და დოკუმენტების საგანი (იხ. ზემოთ 66-ე პარაგრაფი). მოსარჩელეთა შემდგომი მტკიცების შესაბამისად, მართალია, მათ სკოლებს შემდეგ ხელახალი გახსნის ნება დართეს, მაგრამ მათი შენობები “MRT”-ს ხელისუფლების განკარგულებაში გადავიდა და ისინი იძულებული გახდნენ გადასულიყვნენ სხვა, უარესად ეკიპირებულ და ნაკლებად მოხერხებულ ადგილზე მდებარე შენობებში. მოსარჩელეთა მტკიცებით, ისინი დაექვემდებარნენ სისტემატიურ შევიწროებასა და დამცირებას “MRT”-ს რეჟიმის წარმომადგენელთა და კერძო ინდივიდთა მხრიდან. ბავშვებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას სკოლისაკენ მიმავალ გზაზე, მათ აჩერებდა და ხრეკდა “MRT”-ს პოლიცია და მესაზღვრეები, რომლებმაც ჩამოართვეს მათთვის აღმოჩენილი ლათინური ალფაბეტით დაწერილი წიგნები. გარდა ამისა, ორი სკოლის მიმართ, რომლებიც “MRT”-ს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა, ჩადენილი იქნა განმეორებადი ვანდალური მოქმედებები. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ალტერნატივა, რაც მოლდოველ ბავშვებსა და მათ მშობლებს გააჩნდათ, ის იყო, რომ ან ასეთი შევიწროება აეტანათ, ანდა შეეცვალათ სკოლა, სადაც სწავლა მიმდინარეობდა რუსულ, უკრაინულ ან „მოლდოვურ“, ანუ მოლდოვურ/რუმინულ ენაზე კირილიცას გამოყენებით. „მოლდოვური“ არსად მთელს მსოფლიოში, არ იყო გამოყენებული ან აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა მოლდოვას ერთ-ერთ ოფიციალურ ენას საბჭოთა პერიოდში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთადერთ სასწავლო მასალას, რომელიც

ხელმისაწვდომი იყო დნესტრისპირეთში მდებარე ე. წ. „მოლდოვურ“ სკოლებში თანამედროვე პერიოდში, წამოადგენდა ძველი საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები. არ არსებობდა „მოლდოვურ“- ენოვანი კოლეჯები და უნივერსიტეტები; ასე რომ, ბავშვებს ასეთი სკოლებიდან, ვისაც უმაღლესი განათლების მიღება სურდა, ახალი ენა ან ალფაბეტი უნდა

142. მართალია, რთულია სასამართლოსათვის დეტალურად დაადგინოს ფაქტები, რომლებიც მოსარჩელეთა სკოლების ხელახლა გახსნას უკავშირდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი აღნიშნავს შემდეგს. პირველი, „ენების შესახებ “MRT”-ს კანონის“ მე-6 მუხლი ძალაში იყო და ლათინური ალფაბეტის გამოყენება წარმოადგენდა დარღვევას “MRT”-ში (იხ. ზემორე 43-ე პარაგრაფი). მეორე, ცხადია, რომ სკოლები იძულებული გახდნენ სხვა შენობებში გადასულიყვნენ. ალექსანდრე კელ ბუნის სკოლა განაწილებულ იქნა სამ სხვადასხვა ადგილზე, ხოლო სტეფან კელ მარეს სკოლის მოსწავლეებს კი ყოველდღიურად უნდა გაეგლოთ 40 კმ.; მესამე, მოლდოვას მთავრობის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ჯერ კიდევ რეგისტრირებული იყვნენ “MRT”-ს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე არსებულ ორ სკოლაში, 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში განახევრდა. მართალია, როგორც ჩანს, დნესტრისპირეთში მოსახლეობის დაბერება შეინიშნება და მოლდოველები პრაქტიკულად ემიგრირებულები არიან (იხ. ზემორე მე-8 და 42-ე პარაგრაფები), მაგრამ სასამართლო მიიჩნევს, რომ 50%-იანი ვარდნა ევრიკასა და ალექსანდრე კელ ბუნის სკოლებში ძალიან მაღალია პროცენტია საიმისოდ, რომ იგი მხოლოდ დემოგრაფიული ფაქტორებით აიხსნას. სასამართლოსათვის ეს გაუპროტესტებელი ფაქტები ემსახურება საერთო ნდობის ჩამოყალიბებას ფიცის ქვეშ მიცემული 81 წერილობითი ჩვენებისადმი, რომლებიც მოსარჩელე მშობლებმა და მოსწავლეებმა წარმოადგინეს, სადაც მათ მიერ გადატანილი მუდმივი შევიწროების ფაქტები აღწერეს.

143. სკოლები ყოველთვის იყო რეგისტრირებული მოლდოვას განათლების სამინისტროში; ისინი იყენებდნენ სამინისტროს მიერ დამტკიცებულ კურიკულუმს და უზრუნველყოფდნენ სწავლებას მოლდოვას პირველ სახელმწიფო ენაზე. ამიტომ სასამართლო მიიჩნევს, რომ სკოლების ძალდატანებითი დახურვა, რომელიც დაფუძნებული იყო „ენების შესახებ “MRT”-ს კანონზე“ (იხ. ზემორე 43-44 პარაგრაფები) და შევიწროების შემდგომი ფაქტები წარმოადგენს მოსარჩელე მოწაფეების განათლების უფლებაში ჩარევას, ჰქონოდათ ხელმისაწვდომობა იმ დროისათვის არსებული განათლების დაწესებულებებისადმი და განათლება მიეღოთ თავიანთ სახელმწიფო ენაზე (იხ. ზემორე 137-ე პარაგრაფი). დამატებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ღონისძიებები იმავდროულად წარმოადგენს მოსარჩელე მშობელთა უფლებებში ჩარევას, უზრუნველყოთ შვილებისათვის განათლება და სწავლება თავიანთი ფილოსოფიური თუ რელიგიური მრწამსის

შესაბამისად. როგორ ზემოთ აღინიშნა, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი უნდა წაკითხულ იქნეს კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვასაც უზრუნველყოფს. მოსარჩელე მშობლებს ამ საქმეზე, სურდათ, რომ მათ შვილებს განათლება მიეღოთ მათი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელიც იმავდროულად მათ მშობლიურ ენასაც წარმოადგენდა. ამის სანაცვლოდ, ისინი ჩაყენებული იქნენ შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში, აერჩიათ - ან თავიანთი შვილები გაეგზავნათ სკოლებში, სადაც ისინი აღმოჩნდებოდნენ დაჩაგრულ მდგომარეობაში, რამდენადაც მოუწევდათ თავიანთი მთელი საშუალო განათლების კომბინირება ისეთ ენასთან ან ალფაბეტთან, რომელსაც ისინი მიიჩნევდნენ ხელოვნურად და რომელიც არც მსოფლიოში იყო სადმე აღიარებული, და ამასთან, გამოეყენებინათ საბჭოეთის დროინდელი სასკოლო მასალა, ანდა დაექვემდებარებინათ თავიანთი შვილები ხანგრძლივი მგზავრობისათვის, დაბალი სასკოლო სტანდარტების, შევიწროებისა და დამცირებისათვის.

144. სასამართლოს წინაშე არ არსებობს იმის მაუწყებელი მტკიცებულება, რომ “MRT”-ს მიერ ამ სკოლების მიმართ გატარებული ღონისძიებები ემსახურებოდა კანონიერ მიზანს. მართლაც, აშკარაა, რომ “MRT”-ს პოლიტიკა ენების დარგში, როგორც ის იყო გამოყენებული ამ სკოლების მიმართ, ემსახურებოდა დნესტრისპირეთში მცხოვრები მოლდოველების ენისა და კულტურის რუსიფიკაციის გაძლიერებას, იმ პოლიტიკური მიზნის შესაბამისად, რასაც “MRT” ისახავდა - მოლდოვადან გამოყოფასა და რუსეთთან შეერთებას. იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც დაწყებით და საშუალო განათლებას აქვს თითოეული ბავშვის პიროვნული განვითარებისა და მომავლისათვის, დაუშვებელი იყო ბავშვების სკოლებიდან ჩამოშორება, სასწავლო პროცესის შეწყვეტა და რთული არჩევანის წინაშე მათი დაყენება მხოლოდდამხოლოდ სეპარატისტული იდეოლოგიის გაღრმავების განზრახვით.

### *3. მოპასუხე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა*

#### **(a) მოლდოვას რესპუბლიკა**

145. სასამართლომ ახლა უნდა განსაზღვროს, შეასრულა თუ არა მოლდოვას რესპუბლიკამ თავის მოვალეობა გაეტარებინა შესაბამისი და საკმარისი ნაბიჯები მოსარჩელეთა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების დასაცავად (იხ. ზემორე 110-ე პარაგრაფი). *Ilascu*-ს გადაწყვეტილებაში (ზემოთ მითითებული, §§ 339-340) სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვას პოზიტიური ვალდებულებები შეეხებოდა არა მარტო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღსადგენად გასატარებელ ღონისძიებებს, როგორც თავისი იურისდიქციის გამოხატულებას, არამედ ღონისძიებებს უშუალოდ მოსარჩელეთა უფლებების დასაცავადაც. მოვალეობა, აღედგინა კონტროლი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, მოლდოვასაგან მოითხოვდა, პირველი, თავის შეკავებას სეპარატისტული

რეჟიმის მხარდაჭერისაგან, და, მეორე, მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური, სასამართლო და სხვა ღონისძიებები გატარებას ტერიტორიაზე თავისი კონტროლის აღსადგენად.

146. რაც შეეხება ამ პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას, სასამართლომ *Ilaşcu*-ს საქმეში ასევე დაადგინა, რომ 1991-92 წლებში საომარი მოქმედებების დაწყებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე 2004 წლის ივლისში, მოლდოვამ გაატარა ყველა ღონისძიება, რაც კი შეეძლო, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღსადგენად (ზემოთ მითითებული, §§ 341 - 345). სასამართლოს წინაშე არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაარწმუნებდა იმაში, რომ წინამდებარე საქმეზე განსხვავებული დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი.

147. *Ilaşcu*-ს საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოლდოვამ სრულად არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, იმ გაგებით, რომ არ გაატარა ყველა შესაძლებელი ღონისძიება “MRT”-სა და რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების პროცესში, რათა მოსარჩელეთა უფლებების დარღვევა დასასრულამდე მიეყვანა (ზემოთ მითითებული, §§ 348-352). ამის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოლდოვას ხელისუფლებამ სერიოზული ძალისხმევა განახორციელა მოსარჩელეთა მხარდასაჭერად. კერძოდ, სკოლების ყოფილი შენობების რეკვიზიციის შემდეგ, მოლდოვას მთავრობამ გადაიხადა სკოლისათვის განკუთვნილი ახალი შენობის ქირისა და აღდგენის, ასევე ყველა სასკოლო მოწყობილობის, თანამშრომელთა ხელფასებისა და ტრანსპორტის ხარჯები, რითაც ამ სკოლებს შესაძლებლობა მისცა, განეახლებინათ სასწავლო პროცესი და ბავშვებს გაეგრძელებინათ სწავლა მოლდოვურად, თუმცაღა, ყოველივე ეს ძალზე შორს იყო იდეალური პირობებისაგან (იხ. ზემორე 49-53, 56 და 61-63 პარაგრაფები).

148. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მოლდოვას რესპუბლიკამ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება ამ მოსარჩელებთან მიმართებაში. შესაბამისად, იგი არ მიიჩნევს, რომ არსებობს 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა მოლდოვას რესპუბლიკის მხრიდან.

#### (b) რუსეთის ფედერაცია

149. სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს მტკიცებულება რუსეთის აგენტების პირდაპირი მონაწილეობისა მოსარჩელეთა წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში. არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ რუსეთი ჩართული იყო ენის სფეროში “MRT”-ს პოლიტიკის განხორციელებასა ან შემუშავებაში საზოგადოდ. მართლაც, სწორედ უკრაინელ და OSCE-ის მედიატორებთან ერთად მოქმედი რუსი შუამავლების დამსახურებაც იყო, რომ “MRT”-ს ხელისუფლებამ სკოლებს, როგორც „კერძო განათლების უცხოურ დაწესებულებებს“, ხელახალი გახსნის ნება დართო (იხ. ზემორე 49-ე, 56-ე და 66-ე პარაგრაფები).

150. ამის მიუხედავად, სასამართლო ადგენს, რომ დროის განსახილველი პერიოდის განმავლობაში რუსეთი ახორციელებდა ქმედით კონტროლს “MRT”-ზე. ამ დასკვნის ქრილში, და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, აუცილებლობას არ შეადგენს იმის განსაზღვრა, ახორციელებდა თუ არა რუსეთი დეტალურ კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკასა და ქმედებებზე (იხ. ზემორე 106-ე პარაგრაფი). “MRT”-დმი მისი განგრძობადი სამხედრო, ეკონომიკური, და პოლიტიკური მხარდაჭერის გამო, რომელიც ამის გარეშე ვერ შეძლებდა არსებობას, რუსეთი იწვევს კონვენციის წინაშე პასუხისმგებლობას მოსარჩელეთა განათლების უფლების დარღვევისათვის. საბოლოოდ, სასამართლო ასკვნის, რომ სახეზეა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

...

## V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

161. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

162. მოსარჩელები ითხოვენ მორალური ზიანისა და სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებას.

...

166. აშკარაა, რომ მოსარჩელებმა, როგორც მშობლებმა, ისე ბავშვებმა, ენის დარღვაში “MRT”-ს პოლიტიკის შედეგად განიცადეს მორალური ზიანი, რომლისთვისაც მხოლოდ კონვენციის დარღვევის აღიარება არ წარმოადგენს საკმარის პასუხს. თუმცა, მოსარჩელების მიერ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია. სამართლიანობის საწყისებზე, სასამართლო თითოეული მოსარჩელის მორალურ ზიანს აფასებს EUR 6,000 ოდენობით.

...

## ამ მიზეზთა გამო სასამართლო:

1. მიიჩნევს, ერთხმოდ, რომ მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული ფაქტები ხვდება მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქციის ფარგლებში;

2. მიიჩნევს თექვსმეტი ხმით ერთს წინააღმდეგ, რომ მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული ფაქტები ხვდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ფარგლებში; და უარყოფს რუსეთის ფედერაციის წინასწარ შეპასუხებას;

3. *მიიჩნევს*, ერთხმით, რომ კონვენციის 1-ლი ოქმის მეორე მუხლი მოლდოვას რესპუბლიკის მხრიდან დარღვეული არ არის;

4. *მიიჩნევს*, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ კონვენციის 1-ლი ოქმის მეორე მუხლი დარღვეულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან;

...

7. *მიიჩნევს*, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ:

(a) რუსეთის ფედერაციამ მოსარჩელებს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:

(i) EUR 6,000 (ექვსი ათასი ევრო) გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს დაბეგვრას, მორალური ზიანისათვის, თითოეულ მოსარჩელეს, რომელიც დასახელებულია თანდართულ სიაში;

(ii) EUR 50,000 (ორმოცდაათი ათასი ევრო), გადასახადთან ერთად, რომელიც მოსარჩელებისათვის შეიძლება დაექვემდებაროს დაბეგვრას, სასამართლო ხარჯებისათვის ერთობლივად ყველა მოსარჩელეს;

(b) რომ ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის ზღვრული საპროცენტო განაკვეთით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

8. *უარყოფს*, ერთხმით, მოსარჩელეთა დანარჩენ მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილების თაობაზე.

შესრულებულია ინგლისურად და ფრანგულად, და გამოცხადებულია ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 19 ოქტომბერს.

მაიკლ ო' ბოილი,  
გამწესრიგებელი

ნიკოლას ბრატცა  
პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე (§ 2) მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 74 -ე (§ 2) მუხლის შესაბამისად, შემდეგი განცალკევებული აზრები ერთვის ამ გადაწყვეტილებას:

(a) მოსამართლეების ტიულკენსის, ვაიჩის, ბერო-ლეფევრის, ბიანკუს, პოალელუნგისა და კელერის ნაწილობრივ გამიჯნული აზრი;

(b) მოსამართლე კოვლერის ნაწილობრივ გამიჯნული აზრი.



ნ.ბ.

მ.ო.ბ.

განცალკევებული აზრები არ არის გადათარგმნილი, მაგრამ ისინი თან ახლავს გადაწყვეტილების ინგლისურ და ფრანგულ ოფიციალურ ტექსტებს, რომელთა ნახვაც შესაძლებელია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.

**© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).